გაზეთი ზიგრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

№53 (809) 15 – 16 მაისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

**20 გვერდი 40 თეთრი**

## „გამაკრიტიკეთ, რამდენიც გნებავთ, მე მომავალშიც ასეთი ვიქნები!“

გვ. 3–4

ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციის დეტალები

## „ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით მოიგო მხოლოდ... რუსეთმა!“

გელა ხვედელიძე ლაფანყურის საქმის გამოძიების გამო დააკავეს? გვ. 9

## „მე, როგორც ეთნიკური აფხაზი, თანამდებობიდან მაია ფანჯიკიძის გადაყენებას მოვითხოვ!“

რატომ უპირისპირდება საგარეო საქმეთა მინისტრს და აპროტესტებს გია ბარამიას სალონიკში საქართველოს კონსულად დანიშვნას **ალა მარშანია** გვ. 8

## „რა მტკიცებულებები უნდა მქონდეს? ადგნენ და მიჩივლონ!“

გივი თარგამაძე „მეცხრე არხს“ სკანდალურ ბრალებას უყენებს, გიორგი მარგველაშვილს ფისკოს უწინასწარმეტყველებს და საგამოძიებო ჟურნალისტიკაში დაბრუნებას აანონსებს გვ. 5

## დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

გვ. 2

## კორუფციული სქემა, რომლითაც სახელისუფლებო ჯაჭვმა ორთაჭალჰესი მეიჯარეს წაართვა

„იქნებ, პროკურატურამ პრეცედენტი მაინც შექმნას და ქონებრივი დავის საქმეზე გამოძიება დაასრულოს!“ გვ. 11

## „დინამოსთან“ ვაჭრობა აღარ იკრძალება

ეროვნული სტადიონის პავილიონებში ავეჯთან, საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და სამონადირეო სამოსთან ერთად, ქაღის თეთრეული გაიყიდება? გვ. 12

## „არ მესმის, ვინ და რატომ მებრძვის?“

რისკენ მოუწოდებს ოპონენტებს და ნიშნავს თუ არა ზესტაფონში თანამდებობებზე ნათესავებს გოგი ქავთარაძე გვ. 13

## ონკოლოგიური საავადმყოფო სახელმწიფოს უბრუნდება?!

რატომ ვერ შეასრულა კანადურმა „პეგასუსმა“ აღებული ვალდებულება, რატომ არ გზავნიან სადაზღვევო კომპანიები პაციენტებს ონკოლოგიურში და რას სთხოვენ ახალ ხელისუფლებას სიმსივნით დაავადებულები

გვ. 14

# ირმა ინაშვილის მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს!

ბატონო ირაკლი, არაერთგზის გამომიხატავს ჩემი აღშფოთება იმის თაობაზე, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ქვეყანაში მძვინვარებს ე.წ. შავი ფიარისა და ცილისწამების დაუსრულებელი კამპანია. „უხილავი ხელი“ მიზანმიმართულად ეწევა ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეებისა, თუ რიგითი ადამიანების დისკრედიტაციას. ბოლო თვეების განმავლობაში საჯაროდ არაერთხელ აღმინიშნავს, რომ მედია-კავშირ „ობიექტივს“ და პირადად მე, ასევე, ჩვენი გუნდის წევრებს: სოსო მანჯავიძეს, დავით თარხან-მოურავს, თუ სხვებს მუდმივად გვადანაშაულებდნენ და ბრალს გვდებდნენ სხვადასხვა აბსურდულ ქმედებებში, რაც, ცხადია, ჩვენ არ ჩაგვიდენია. ხშირად ისეთ თემებს „გვაკერებდნენ“, რომელთა შესახებ არც კი გვსმენია. „უხილავი ხელი“ ცდილობდა ჩვენს დაპირისპირებას პოლიტიკოსებთან, ჟურნალისტებთან, ექსპერტებთან და საერთოდ, მთელ საზოგადოებასთან. რა თქმა უნდა, შავი ფიარი და მისი მთავარი კომპონენტი- ცილისწამება არა მარტო ჩვენს მიმართ წარმოებდა. ამ კამპანიამ მთელი ქვეყანა მოიცვა. ძნელია, დაასახელო პოლიტიკოსი, თუ საზოგადო მოღვაწე, რომელსაც ერთხელ მაინც არ სწამეს ცილი. სიმართლე გითხრათ, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც „ობიექტივის“ ხელმძღვანელის პოსტი დავტოვე, სწორედ ეს დაუსრულებელი „შტურმი“ ოყო, რომელიც უკვე ტელევიზიას აზიანებდა.

მაგრამ ამ მიმართვას მე ბოლოდროინდელ მოვლენებს ვუძღვნი. ვგულისხმობ, სრულიად მიუღებელ ქმედებას, რომელიც გიორგი ფარესაშვილზე შურისძიების მოტვით, თქვენმა პირველმა მოადგილემ, გელა ხვედელიძემ განახორციელა. რამდენადაც ვიცი, ბატონმა ხვედელიძემ უკვე აღიარა, რომ ვიდეომასალა სნორედ მან გაავრცელა, თუმცა ამ საქმეში კვლავ იკვეთება „უხილავი ხელის“ ფაქტორი. მოგეხსენებათ, „ობიექტივში“ 400-ზე მეტი ჟურნალისტია, რომლებსაც განსხვავებულ წყაროებზე მიუწვდებათ ხელი, ამიტომ პირდაპირ გეტყვით: მეტ-ნაკლებად ინფორმირებულმა ადამიანებმა იციან, რომ გია ხუხაშვილს არავითარი კავშირი არ ჰქონია და არა აქვს კვერცხის ბიზნესთან და, მით უმეტეს, მოგელაძეების ოჯახთან. ამის მიუხედავად, „უხილავმა ხელმა“ მოახერხა სკანდალის გამოცხობა, რომელიც მიზნად ისახავს, ამ სკანდალში უდანაშაულო ადამიანების ჩათრევასა და კომპრომენტირებას. ხაზს ვუსვამ: უკლებლივ ყველა პირის კომპრომენტირებას, ვინც კი ამ ისტორიაში, ნებსით თუ უნებლიედ აღმოჩნდება ჩათრეული. ვითვალისწინებ რა, რომ ბოლო 7 თვის განმავლობაში „უხილავი ხელი“ ცდილობდა ჩემი და ჩემი მეგობრების ჩათრევას ყველგან და ყველაფერში, არ გამიკვირდა, რომ ამ შემთხვევაშიც ანალოგიური ტიპის მცდელობას აქვს ადგილი: სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვა ინფორმაციას მაწვდიან და ვხედავ, რომ „უხილავ ხელს“ ძალიან სურს ჩვენი დაპირისპირება, ერთი მხრივ, ხუხაშვილთან, ხოლო, მეორე მხრივ, ფარესაშვილთან. თუმცა, ვერაფრით გავიგე, რა საერთო გვაქვს ამ ბინძურ ისტორიასთან.

ბატონო მინისტრო, თავს უფლებას მივცემ, — გაგიზიაროთ ერთი აზრი, რომელიც ბოლო 2-3 დღის განმავლობაში, სხვადასხვა ადამიანებთან საუბრის შედეგად, მკაფიოდ ჩამომიყალიბდა. მიმაჩნია, რომ ახლა „უხილავი ხელი“ ცდილობს საზოგადოების დარწმუნებას, თითქოს ამ სკანდალში, ნებსით თუ უნებლიედ, ჩათრეული ადამიანები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ.

**ჩემი ეს მოსაზრება (მოულოდნელად) ერთმა გავლენიანმა წყარომ დამიდასტურა, რომელსაც დღეს დილით, მისივე თხოვნით შევხვდი და ვესაუბრე. ამ ადამიანისგან შევიტყვე, რომ „უხილავი ხელი“ უახლოეს დღეებში, ან საათებში გეგმავს ფიზიკურ ანგარიშსწორებას კონკრეტული პირების წინააღმდეგ. შესაძლოა, თავს დაესხნენ გიორგი ფარესაშვილს, ლაშა ამირეჯიბს, ან ელისო კილაძეს, რათა ეს ანგარიშსწორება, საბოლოოდ, კვლავ გია ხუხაშვილს დაბრალდეს... ანუ ხუხაშვილს კადრების გავრცელებას აბრალებდნენ და არ გამოუვიდათ, ახლა შეეცდებიან, რომ ფიზიკური ანგარიშსწორების დაკვეთა დააბრალონ.**

ბატონო მინისტრო, გთხოვთ, სასწრაფოდ მიიღოთ სათანადო ზომები, ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რათა დაუყოვნებლივ უზრუნველყოთ ხსენებული პირების უსაფრთხოება. მზად ვარ, ვითანამშრომლო გამოძიებასთან. იმედს ვიტოვებ, რომ ამ ბინძური სკანდალის ორგანიზატორები გამოვლენილნი იქნებიან და სათანადოდ დაისჯებიან.

*პატივისცემით, ჟურნალისტი ირმა ინაშვილი.*
*2013 წლის 14 მაისი. თბილისი.*

# ავღანეთში სამი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა

ავღანეთის საერთაშორისო მისიაში მონაწილე ქართველი სამხედროების ბაზაზე 12 მაისს აქამდე ყველაზე მასშტაბური ტერორისტული თავდასხმა განხორციელდა, რასაც სამი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა: კაპრალი ალექსანდრე კვიწინაძე, უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე და კაპრალი ვლადიმერ შანავა.

შემთხვევა ჰელმანდის პროვინციაში, ბაზა „შირგაზზე“ 16:17 საათზე მოხდა. არსებული ინფორმაციით, ბაზაზე, სადაც 42-ე ბატალიონია დისლოცირებული, თვითმკვლელმა ტერორისტმა და მეამბოხეთა ჯგუფმა იერიში მიიტანა.

ძლიერი აფეთქების შედეგად ტერორისტთა 5-კაციანი ჯგუფი ბაზაზე შეიჭრა. ქართველმა სამხედროებმა თავდასხმა მოიგერიეს და ყველა ტერორისტი ადგილზე გაანადგურეს.

უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე

კაპრალი ალექსანდრე კვიწინაძე

კაპრალი ვლადიმერ შანავა

**„ვერსია“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ავღანეთში დაღუპული გმირი სამხედროების გამო და უსამძიმრებს მათ ოჯახებს, ასევე სრულიად საქართველოს.**

# დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-იდან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.**

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

**საკონტრაქტო სამსახურის პირობები:**

**ვადა:** 12 თვე

**გრაფიკი:** სამ დღეში ერთხელ 24 საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).

ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;

**ყოველთვიური ანაზღაურება:** 90 ლარი;

**სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:**

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;

3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# „გამაკრიტიკეთ, რამდენიც გნებავთ, მე მომავალშიც ასეთი ვიქნები!“

## ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციის დეტალები

**მორიგი პრესკონფერენცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 13 მაისს, ავღანეთში დაღუპული მეომრების ოჯახების მისამძიმრებით დაიწყო. შესავალ სიტყვაში მოკლე განცხადებით შემოფარგლა, რადგან „ექსპო-ჯორჯიას“ საგამოფენო დარბაზში შეკრებილ ჟურნალისტებს, სხვადასხვა სამინისტროს მაგალითზე, განვლილი პერიოდის შემაჯამებელი ინფორმაცია დაურიგეს. ბიძინა ივანიშვილმა მოკლედ შეაჯამა საგარეო მდგომარეობა და აღნიშნა, რომ საერთაშორისო საზოგადოებას ახალ ხელისუფლებასთან კითხვები აღარ აქვს. იქვე სიამაყით დასძინა, რომ საქართველოს მოსახლეობამ უკვე ჩააბარა გამოცდა ევროპელობაზე. მოკლედ ისაუბრა სოფლის მეურნეობის სამინისტროში დატრიალებულ სკანდალზე, მაგრამ განაცხადა, რომ მინისტრი დავით კირვალიძე კულტურულად მოიქცა, გამოძიების დასრულებამდე დაწერა განცხადება და პოსტი დატოვა. პრესკონფერენციის შესავალი კი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მხიარულ ნოტზე“ დაასრულა — ბიძინა ივანიშვილი აღფრთოვანებულია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი დაასახელა და ამას არც მალავს. პირიქით, აცხადებს, რომ ის უალტერნატივოა, რადგან მარგველაშვილს ვერავინ გაუწევს კონკურენციას. „ვერსია“ პრესკონფერენციის მნიშვნელოვან დეტალებს გთავაზობთ, მაგრამ მანამდე აღვნიშნავთ, რომ კარგი იქნება, თუკი პრემიერ-მინისტრი მოთმინებით მოისმენს ნებისმიერ, თუნდაც უხერხულ კითხვას და ჟურნალისტებს, რომლებიც სხვათა შორის, მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, უფრო კორექტულად მოექცევა...**

**სოფო ოხანაშვილი,** ტელეკომპანია „პირველი არხი“: — თქვენთვის, როგორც პრემიერისთვის, ქვეყნის მართვაში ყველაზე დიდ სირთულეს რა წარმოადგენს, რომელია ყველაზე რთული რგოლი სამართავად? არაერთხელ აღნიშნეთ, რომ პოლიტიკიდან წასვლას გეგმავთ და კონკრეტული ვადაც დაასახელეთ, შემდეგ ამ თემაზე ვადის გარეშე ისაუბრეთ, დგას თუ არა დღის წესრიგში ეს საკითხი?

**ბიძინა ივანიშვილი:** — განსაკუთრებით რთული რგოლის დასახელება გამიჭირდება. თქვენი კითხვის შემდგომ დავიწყე ფიქრი და ვერ მივაკვლიე ასეთს. რაც შეეხება განცხადებას, რომელიც გავაკეთე, არ მინდა, ამას ზედმეტად ხაზი გავუსვა და საზოგადოებაში აჟიოტაჟი გამოვიწვიო. ვარწმუნებ საზოგადოებას, რომ ჩემი სამშობლოს სამსახურში ვარ და დავრჩები მანამ, სანამ საჭირო ვიქნები და თუ წავალ, ალბათ, უფრო რთულ ადგილზე. უარს არ ვიტყვი საკუთარი სამშობლოს სამსახურზე, სადაც უფრო საჭირო ვიქნები, უფრო მძიმე და საჭირო ფუნქციებს იქ ავიღებ.

ამის შემდეგ, კითხვა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა, ნათია გოგსაძემ დასვა, რომელიც ხანგრძლივ დიალოგში გადაიზარდა. „ვერსია“ ამ დიალოგის მნიშვნელოვან დეტალებს გთავაზობთ:

**ნათია გოგსაძე:** — ბატონო პრემიერო, შესავალ სიტყვაში ახსენეთ და მეც მინდა, ბოლო პერიოდის ყველაზე გახმაურებულ საქმეზე გკითხოთ, რომელიც ფარული კადრების გავრცელებით დაიწყო და მოგვიანებით, გელა ხვედელიძის დაკავებით დასრულდა. დაზარალებული გიორგი ფარესაშვილი ამბობს, რომ ამ საქმეში, ასევე ფიგურირებენ ლაშა ნაცვლიშვილი და გია ხუხაშვილი. „ქრონიკა პლუსის“ რედაქტორიც ითხოვს, გამოძიების პროცესში, ლაშა ნაცვლიშვილი არ იკავებდეს მთავარი პროკურორის მოადგილის თანამდებობას, თქვენი აზრით...

**ბიძინა ივანიშვილი:** — ვინ ითხოვს ამას, „ქრონიკა“?

**ნათია გოგსაძე:** — „ქრონიკა პლუსის“ რედაქტორი, ელისო კილაძე, რომელმაც გელა ხვედელიძის ორი აუდიოჩანაწერი გაავრცელა. შესავალში თქვით, რომ დავით კირვალიძე კულტურულად მოიქცა, როცა გამოძიების პერიოდში გადადგა. ფიქრობთ თუ არა, რომ გამოძიების მიმდინარეობის პროცესში, იგივე ნაბიჯი უნდა გადადგას ლაშა ნაცვლიშვილმაც? როდის ჩაერთეთ ამ საქმეში, ან როდის მიიღეთ შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისგან ეს ინფორმაცია?

**ბიძინა ივანიშვილი:** — კარგი შეკითხვაა, ეს იყო კომპლექსური კითხვა და შევეცდები, კომპლექსურად გიპასუხოთ. გამოძიება გრძელდება. ელისო კილაძე და სხვებიც რომ ლაშა ნაცვლიშვილის გადადგომას ან გია ხუხაშვილის დასჯას ითხოვენ, საზოგადოებას ვთხოვ, კარგად გაერკვეს სიტუაციაში. ჯერ არცერთი ბრალდება არ წარმოუდგენიათ და რამდენიმე კვირაა, აჟიოტაჟი გრძელდება. ამ აჟიოტაჟის მსხვერპლია გელა ხვედელიძე — მის წინააღმდეგ არავითარი საბუთი არ წარმოუდგენიათ, მაგრამ როგორც ჩანს, სუსტი პიროვნება აღმოჩნდა და გამოიყენა მასალები, რომელიც წინა ხელისუფლებამ მოიპოვა, რის გამოც კანონის შესაბამისად დაისჯება კიდეც. ის განცხადებები, რომელსაც ჟურნალისტები აკეთებენ, ჩემი აზრით... არ ვიცი, რა სიტყვა ვიხმარო ისეთი, რომ ჟურნალისტებს არ ვაწყენინო, მაგრამ ჟურნალისტები და ცალკეული პიროვნებები ვერ გადაწყვეტენ, ვინ, როდის უნდა გადადგეს და რატომ. დღემდე არცერთი მასალა არ წარმოუდგენიათ, გარდა ცარიელი აჟიოტაჟისა. ამ ორ ჩანაწერში დანაშაულებრივი არაფერია გარდა იმისა, რომ „რუსთავი 2“ ძალიან ამახინჯებს ამ ჩანაწერებს და იმას, რასაც ლაშა ამირეჯიბი საუბრობს, გელა ხვედელიძეს მიაწერს. თქვენ, ჟურნალისტები მხოლოდ სხვისი აზრის გამხმოვანებლები არ ხართ, როდესაც სხვის აზრს გადმოსცემთ, იგივე კითხვის თანამონაწილე ხდებით. შესაბამისად, ჯერ არც ერთი მასალა, რომ გია ხუხაშვილი, გელა ხვედელიძე ან ლაშა ნაცვლიშვილი უნდა დაისაჯონ, არ წარმოუდგენიათ. გამოძიებისას, ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, ლაშა ნაცვლიშვილიც აქტიურობდა და გელა ხვედელიძის დაკავებაში მასაც აქვს წვლილი, ორივე ღირსეულად მოიქცა, განსაკუთრებით ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც მისი მარჯვენა ხელი არ დაზოგა, როდესაც ნახა, რომ კანონს არღვევდა და ეს მისასალმებელია, ასეც უნდა მოქცეულიყო...

**თამარ ჩიხლაძე,** ტელეკომპანია „იმედი“: — შესავალ სიტყვაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავებაზე ისაუბრეთ. თქვით, რომ პროკურატურას საფუძვლიანი ეჭვი აქვს მათ მიმართ, თუმცა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში (საია) გაკეთდა განცხადება, რომ დაკავებულები პროკურორების მხრიდან სიტყვიერ და ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე საუბრობენ. შვიდიდან ოთხი დაკავებული, ერთსა და იმავე პროკურორს — შოთა რიჟამაძეს ასახელებს. საია მოუწოდებს ხელისუფლებას, ამ ფაქტებით დაინტერესდეს. ხართ თუ არა საქმის კურსში, რა ეტაპზეა გამოძიება და აქვე, შესაძლოა თუ არა, გამოძიების დასრულების შემდეგ, დავით კირვალიძე თანამდებობას დაუბრუნდეს, რომელიც როგორც თქვით, კულტურულად მოიქცა? თუ არ დაუბრუნდება, გყავთ თუ არა სავარაუდო შემცვლელი, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაიბარებს?

**ბიძინა ივანიშვილი:** — საია-ს განცხადებას რაც შეეხება, მათ უფლება აქვთ, ეჭვი გამოთქვან, პროკურატურაც და ჩვენც, კანონის შესაბამისად დავინტერესდებით. გამოძიებაში არ ვერევი, ამის უფლება არ მაქვს, შესაბამისად, ვერც იმას მოგახსენებთ, რამდენად სწრაფად დასრულდება. რაც შეეხება საია-ს, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ჩემი დიდი სურვილია და მოგვიანებით, ამ პროცესში ჩართვას ვაპირებ, მაგრამ საია-ც ვერ იქნება ახალი მოსამართლე და იმაზე მეტი ფუნქცია ვერ ექნება, რაც კანონით აქვს მინიჭებული. მინდა, საზოგადოება კარგად გაერკვეს, რომ სახელმწიფოს გააჩნია სტრუქტურები, რომლებსაც თავისი დანიშნულება აქვთ, სახელმწიფოში არსებობს კანონი და კანონის მიხედვით, ყველას აქვს თავისი უფლებების განხორციელების საშუალება. რა თქმა უნდა, ჩემი სურვილია და ოცნებაც, რომ გამართლდნენ არა მარტო კირვალიძე, არამედ სხვებიც, რომლებიც დაკავებულები არიან, თუმცა ეჭვი მეპარება ამაში. გამოძიებაში არ მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ პროცესებში ვმონაწილეობდი, ვმართავდი ამ სიტუაციას და მეც გამაჩნდა კითხვები. რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიქნები, თუ კირვალიძე გამართლდება, მაგრამ ეს გამოძიებამ უნდა გადაწყვიტოს. ჯერ შემცვლელს არ ვეძებ, რამეთუ შანსი რჩება.

**ნოდარ ჩაჩუა,** ტელეკომპანია „მეცხრე არხი“: — ბატონო პრემიერო, ბოლო დროს აშკარად შეინიშნება, რომ ნაციონალურ მოძრაობაში შიდადაპირისპირებაა. ეს ერთადერთი ოპოზიციური ძალაა პარლამენტში და ამ პარტიის დაშლის შემთხვევაში, რაც უკვე შეინიშნება, ერთპარტიული მმართველობის საფრთხე ხომ არ დადგება, რასაც 9 წლის განმავლობაში ვხედავდით. როგორ უნდა ავირიდოთ ეს ან რომელია რეალური ოპოზიციური ძალა?

**ბიძინა ივანიშვილი:** — თუ ნაციონალური მოძრაობა დაიშლება, ეს ქვეყნისთვის საფრთხე არ იქნება. ვცდილობ, მათ გამონათქვამებზე აღარ გავაკეთო რეაქცია, თუ გნებავთ, პრეზიდენტის გამონათქვამებზეც კი, რომელიც აბსოლუტურად უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებს. საკმარისია, გავიხსენოთ მისი განცხადება, როდესაც თქვა, რომ პრემიერ-მინისტრმა 2 000 000 გადაიხადა ციხის კადრებში. ამას ამბობს ყოველგვარი აპელირების გარეშე, პირდაპირ, მტკიცებულების სახით. აი, ასეთია ნაციონალური მოძრაობის ძირითადი სახე დღეს. ასეთი გამონათქვამებით ისინი შალვა ნათელაშვილს ემსგავსებიან. შესაბამისად, მათი დაშლა თუ გამაგრება საფრთხე არ არის. თუ ისინი კონსტრუქციულ ოპოზიციონერობას ვერ მოახერხებენ, დავრჩებით თუ არა ოპოზიციის გარეშე და არსებობს თუ არა ერთპარტიული სისტემის საფრთხე? კიდევ ერთხელ გავიმეორებ — დიდი ხნით ადრე დავიჭირეთ ამის თადარიგი, კოალიციაში არსებობს რამდენიმე პარტია და თუ გარეშე ძალა არ იქნება, ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივი პროცესი განვითარდება. კოალიციის შიგნით არსებული პარტიები დაიშლება და თვითონვე მოახერხებენ ოპონირებას ერთმანეთში. მესამე ძალას, რაც თქვენს კითხვაში იგულისხმებოდა, საუბედუროდ, ვერ ვხედავ. თუმცა დიდი სურვილი მაქვს, მოხერხდეს და მესამე ძალა გაჩნდეს.

**ნანუკა იორდანიშვილი,** ტელეკომპანია „მაესტრო“: — ახლოვდება ევროსაბჭოს მინისტერიალი, სადაც უკვე ვიცით, რომ ომის საკითხი არ განიხილება. თქვენმა ოპონენტებმა ეს ყველაფერი უკვე დაუკავშირეს თქვენს პირველ გამოსვლას ევროპარლამენტის წინაშე. ამბობენ, რომ თქვენი დიპლომატია საკმაოდ სუსტია. თუ გაქვთ რაიმე სახის დიპლომატიური ბერკეტები, რომ ეს საკითხი საერთაშორისო ასპარეზზე სათანადო დონეზე იყოს წარმოდგენილი?

**ბიძინა ივანიშვილი:** — ძალიან კარგი კითხვაა. რაც შეეხება ჩემს დიპლომატიასა და წარმატებულობას, კარგი იქნებოდა, მთლიანად გადაღებულიყო სტრასბურგში ჩემი ვიზიტი. როგორ გაოგნებულები მიყურებდნენ ვახშამზე, ნაციონალური მოძრაობის წევრები, როგორი მეგობრული ურთიერთობა მქონდა მინიონთან, თითქოს 100 წლის ნაცნობები ვიყავით. მარტივად მოვახერხე ყველა ლიდერთან დამეგობრება და აბსოლუტურად პირიქითაა ყველაფერი. თუ შეიძლება, ვიზიტს წარმატებული დაერქვას და დიპლომატიას, ვფიქრობ, მაქსიმალური ქულები დავწერე ყველგან. ახლახან ვთქვი, რომ უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებენ ჩვენი ოპოზიციონერები. ისინი თეთრზე შავს ამბობენ, რაც მათი მანერა იყო და დღესაც ასეა. რაც შეეხება ჩანაწერს, 2009 და 2011 წელსაც ზუსტად ასეთივე სიტუაცია იყო, რაზეც არაერთი განცხადება გაკეთდა. ეს ტრაგედია არაა და ეს საკითხი განიხილება. ყველაფერი ნორმალურადაა.

**თამარ ქემერტელიძე,** რადიო „კომერსანტი“: — ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა „იბიარდი“ საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5%-დან 3%-მდე შეამცირა. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დაგეგმილი, ეკონომიკური ზრდის 6%-იანი მაჩვენებელი, რეალურად ვერ გვექნება. თუ არსებობს ამ ციფრების მიხედვით შეშფოთების მიზეზი და რამ გამოიწვია კონკრეტულად ასეთი მონაცემები?

**ბიძინა ივანიშვილი:** — ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კეთილი ინებოს, თავი დაანებოს პოლიტიკურ განცხადებებს და საკუთარ საქმეს მიხედოს! რამდენჯერმე შევხვდი და ლამის, პატიება მთხოვა „ქართუ ბანკთან“ განხორციელებულ ზეწოლაზე, რაშიც მონაწილეობდა. რაც შეეხება რეალობას, 5%-დან 3%-მდე შემცირებას აბსოლუტურად ვეთანხმები და ეს ნორმალურია, საგანგაშო არ არის. წინა ხელისუფლება ეკონომიკურ ზრდაში, სხვადასხვა მშენებლობას გულისხმობდა, მათ შორის, პარლამენტის შენობისა და იუსტიციის სახლებისა. აქედან ფული ბიუჯეტშიც მიდის და ეს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდასაც ემატება, თუმცა იუსტიციის სახლები თუ პარლამენტის შენობა, კრედიტების საფუძველზე შენდებოდა, მაგრამ მშპ-ზე მოქმედებს. ამ წლის მეორე ნახევარი უფრო დატვირთული იქნება, რამეთუ ინფრასტრუქტურის სამინისტრო გაზაფხულიდან დაიწყებს ძირითად სამუშაოებს, გზების დაგებას, ხიდების მშენებლობებს და რა თქმა უნდა, საერთო ზრდა იქნება.

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# „გამაკრიტიკეთ, რამდენიც გნებავთ, მე მომავალშიც ასეთი ვიქნები!“

*მე-3 გვერდიდან*

მგონია, ეკონომიკა და ბიზნესი ვიცი და გამოცდილებაც მაქვს. წინა ხელისუფლების პირობებში, ეკონომიკური ზრდა პრაქტიკულად, ხელოვნური იყო, რამეთუ ეკონომიკის იმ მეთოდებით მართვა, რასაც წინა ხელისუფლება ახორციელებდა, წინააღმდეგობაში მოდის განვითარებასთან. ეკონომიკა ძალიან ინერტულია, მაგრამ მეორე წელს შეგვიძლია დავინახოთ ჩვენი მოღვაწეობის ნიშნები. გპირდებით, მესამე წელი კარგი იქნება, მეოთხე წელი — ძალიან კარგი იქნება და ჭეშმარიტი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდება. კარტელური შეთანხმებებით, ადეიშვილისგან მართული ეკონომიკითა და სააკაშვილის დანიშნული ბიზნესმენებით, ეკონომიკა ვერ აყვავდება.

ტელეკომპანია „აჭარის“ ჟურნალისტმა, პაატა შამუგიამ ყურადღება გაამახვილა ეკომიგრანტების პრობლემაზე, რომლებიც 2000 წელს, ზემო აჭარის მეწყერსაშიში ზონიდან წალკაში, ბერძნულ სოფლებში ჩაასახლეს. მაშინდელი ხელისუფლება ეკომიგრანტებს დაპირდა, რომ ბერძენი მოსახლეობისგან სახლებს გამოისყიდდა და მათ დაუმტკიცებდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ახლა, როდესაც ბერძნები საკუთარ სოფლებში ბრუნდებიან, ეკომიგრანტებს სახლების დაცლა უწევთ. ბიძინა ივანიშვილმა მადლობა გადაუხადა ჟურნალისტს დროული და კორექტული კითხვისთვის და ამ პრობლემის მოგვარებას დაპირდა.

**„ვერსიის“ კითხვა მთავრობის ეკონომიკური გუნდის შეფასებას, კონკრეტულად კი, სუსტ რგოლად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აღიარებას ეხებოდა, რამაც ბიძინა ივანიშვილი გააღიზიანა. „ვერსიისა“ და პრემიერ-მინისტრის კამათს უცვლელად გთავაზობთ:**

**„ვერსია“:** — როგორ შეაფასებთ მთავრობის ეკონომიკური გუნდის შვიდთვიან მუშაობას? იმიტომ გეკითხებით, რომ თქვენს მიერ დარიგებულ ჩამონათვალში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შესული არ არის. თქვენს გუნდში სუსტი რგოლი ეკონომიკის სამინისტრო ხომ არ არის, რადგან ქვეყანაში არ არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. რაც მთავარია, წინასაარჩევნოდ, ეკონომიკის აღორძინებას გვპირდებოდით, 7 თვის თავზე ცოტა ძნელი იქნება...

**ბიძინა ივანიშვილი:** — ცოტა ძნელი კი არა, შეუძლებელია. კითხვა დასვით კორექტულად. ვისაც ეკონომიკა ესმის, იცის, რომ ახალი ხელისუფლება 7 თვეში ეკონომიკას ვერ ააღორძინებს, ეს აბსურდია.

**„ვერსია“:** — მესმის, ბატონო ბიძინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თქვენ პოლიტიკაში ბიზნესიდან მოხვედით და საზოგადოების მოლოდინი უფრო მეტი იყო...

**ბიძინა ივანიშვილი:** — რაში იყო უფრო მეტი მოლოდინი?

**„ვერსია“:** — რომ რეალურ შედეგებს ვნახავდით.

**ბიძინა ივანიშვილი:** — როდის ვნახავდით, 7 თვეში რომ ეკონომიკა აღორძინდებოდა? არა, არა, დავაზუსტოთ, თქვენ ჟურნალისტი ბრძანდებით, მე — პრემიერ-მინისტრი და ყოფილი ბიზნესმენი, კარგია, რომ შემახსენეთ. მგონი, ეკონომიკა თქვენც გესმით, მედიაში უკვე გავაჟღერე და დავით ბაქრაძეც თქვა, რომ კარგად ვიცი, 6-7 თვეში ეკონომიკა ვერ აღორძინდება, მაგრამ გასაკრიტიკებლად მაინც კარგიაო.

**„ვერსია“:** — არა, ამის გამო არ გეკითხებით... ეკონომიკის სამინისტრო სუსტი რგოლი ხომ არ არის?

**ბიძინა ივანიშვილი:** — არა და თქვენს შეკითხვაზე კონკრეტულ პასუხს გაგცემთ. რაც შეეხება ეკონომიკურ გუნდს, ვფიქრობ, ძალიან წარმატებული გუნდი გვყავს და მათ რიცხვშია გიორგი კირვალიშვილიც, გუშინ მქონდა მასთან თათბირი...

**„ვერსია“:** — კვირიკაშვილი...

**ბიძინა ივანიშვილი:** — უკაცრავად, კვირიკაშვილი. კარგია, რომ შემახსენეთ. გუშინ მქონდა თათბირი ეკონომიკურ გუნდთან, თათბირის შინაარსს მოგახსენებთ და გაიგებთ, როგორი ფართოა საკითხების სპექტრი, რომლითაც დაკავებულია ეკონომიკის სამინისტრო. ჩვენს აეროპორტში, რომელსაც თურქული კომპანია „ტავი“ მართავს, პრობლემაა ასაფრენი ზოლი, სადაც კატასტროფული მდგომარეობაა. თვითონაც დავფრინავ და რამდენჯერმე დაენარცხა თვითმფრინავი. ისეთი ხმა აქვს, რომელ ქვეყანაშიც უნდა წახვიდეთ, მსგავსი ზოლებით აღარ სარგებლობენ, ასფალტი იყრება და შენობაც არ არის იდეალურ პირობებში. ხანგრძლივი თათბირი გვქონდა, მაგრამ ეს საკითხები რთული დასალაგებელია, გიორგი კვირიკაშვილი მუშაობს იმ საკითხზეც, რაც თბილისის ზღვაზე ჩინელების დასახლების მშენებლობას უკავშირდებოდა. შრომატევადი და რთული საქმე აქვს გიორგის, ძალიან წესიერი და წარმატებული კაცია, საერთოდ, ძალიან კარგი სამინისტროები გვაქვს. მე თითოეული მინისტრი მიყვარს. მათ რიცხვში, გიორგიც. ასეთივე მაგარია ნოდარ ხადური, რომელიც წარმატებით ართმევს თავის ფუნქციებს თავს. საერთოდ, კარგი მინისტრები გვყავს და მათ შორის კონკურსი ტყუილად არ არის. ამ კონკურსზეც შევჩერდები. როდესაც მარგველაშვილზე ჟურნალისტები ჩამეკითხნენ, თვითონ მარგველაშვილმა საოცრად უპასუხა — გამოვსწორდებიო. რა უნდა გამოასწოროს მარგველაშვილმა, არ ვიცი, რადგან ვფიქრობ, ძალიან წარმატებული მინისტრი იყო. ის, რაც აქვს მარგველაშვილს და არ აქვს სხვა მინისტრს, ისაა, რომ სახელმწიფო პიროვნებაა, აქვს სახელმწიფო დონის ხედვა, კარგ ანალიზს აკეთებს და უკვე გამზადებული ხელმძღვანელია სახელმწიფოსი. ვფიქრობ, კარგი და წარმატებული პრეზიდენტი იქნება. რაც შეეხება 7 თვის შეფასებას, თუ პრობლემებს შევხედავთ, ძალიან ცუდი მდგომარეობა გვექნება, თუ რეალობიდან და დაპირებებიდან გამოვალთ და ისე შევაფასებთ, ვფიქრობ, ყველა სამინისტრო წარმატებით ფუნქციონირებს, მათ რიცხვში, სოფლის მეურნეობის სამინისტროც. მართალია, კითხვები არსებობს, მაგრამ ამას გამოძიება გასცემს პასუხს... შეფასებები თქვენგან უფრო საინტერესო იქნება ჩვენზე, მაგრამ ვფიქრობ, თავი გავართვით და საკმაოდ წარმატებულადაც.

**გიორგი კობერიძე,** ტელეკომპანია „კავკასია“: — სუსტი რგოლების თემას განვაგრძობ. ეთანხმებით თქვენი ოპონენტების შეფასებას, რომ სუსტი რგოლი შინაგან საქმეთა სამინისტროა და აპირებთ თუ არა ფარული ჩანაწერების განადგურებას?

**ბიძინა ივანიშვილი:** — ერთ-ერთი ძლიერი რგოლია. ნახეთ, რა მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ნახეთ, როგორ მუშაობს ირაკლი ღარიბაშვილი. ჯერ ნახეთ, საიდან წამოვიდა ეს ფარული ჩანაწერები და რა ხელწერა შემოიტანა იმ ხალხმა ჩვენს საზოგადოებაში. სირცხვილია, რომ ამ ჩანაწერების მთელი ფონდია შექმნილი. რაც შეეხება განადგურებას, თუ მიაქციეთ ყურადღება, კონფერენცია გავმართეთ, რომელსაც ლაშა ტუღუში უძღვებოდა, იქ დაისვა კითხვა ჩანაწერების განადგურებაზე, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილმა თავი შეიკავა, რამეთუ შეიძლება, გამოძიებას გამოადგეს. ის, რომ ვერ შევძელით ამ მასალების დაცვა, ამით შესაძლოა, გამოძიება დაზარალდეს. უნდა განადგურდეს ეს არქივი და ღარიბაშვილმა ლოგიკური განცხადება გააკეთა. რაც შეეხება სუსტ რგოლს, ძალიან ცუდია, თუ საზოგადოებაში ისე ჩანს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი სუსტი რგოლია. სამწუხაროა, რაც მოხდა და თუ სისუსტედ ის მიგაჩნიათ, რომ ეს ფაქტი შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ეხებოდა, ამაში გეთანხმებით. მთავარია, რაც ამას მოჰყვა — კანონის უზენაესობა შინაგან საქმეთა სამინისტროში! როგორ გგონიათ, რთული იყო ღარიბაშვილისთვის ამის მიჩქმალვა? იმ ჩანაწერებში ისეთი არაფერია, რომ ხვედელიძისთვის ბრალი წაეყენებინათ, მხოლოდ კეთილსინდისიერი გამოძიების შედეგია ეს ყველაფერი. ამ გამოძიებაში ნაცვლიშვილს ლომის წილი აქვს ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად და რატომღაც, მის გადადგომას ითხოვს ელისო კილაძე. აი, ეს არის ჩვენი გუნდის ხელწერა. გაიხსენეთ და შეადარეთ გირგვლიანის საქმეს. ჩვენ არც ისე სერიოზულ საქმეზე დავსაჯეთ მინისტრის პირველი მოადგილე და ადამიანის მკვლელობაზე, რამდენ ხანს „გულაობდნენ“ პოლიციის მაღალჩინოსნები, გაიხსენეთ. სტრასბურგის ჩანაწერებიც ნახეთ, რომლითაც ირკვევა, რომ პრეზიდენტის ჩათვლით, ყველა ხელს აფარებდა გირგვლიანის მკვლელებს. სწორედ, შინაგან საქმეთა სამინისტროა ძლიერი რგოლი! გასაგებია, რომ გელა ხვედელიძემ სისუსტე გამოიჩინა, მაგრამ მთავარია, არავინ დაფიქრებულა, რომ კანონისთვის გვერდი აევლო. აი, ეს არის ირაკლი ღარიბაშვილის წარმატება!

**მორიგი დაპირისპირება პრემიერ-მინისტრსა და კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტ გელა მთივლიშვილს შორის შედგა. ჟურნალისტი ინტერესთა კონფლიქტის სამი ფაქტით დაინტერესდა. პირველი — ფარესაშვილი პირდაპირ ადებდა ხელს ხვედელიძესა და ხუხაშვილს, ხელისუფლებამ კი გამოძიება დაავალა ნაცვლიშვილს, რომელმაც ხვედელიძე ჩასვა ციხეში. მეორე ფაქტი, რომელზეც გელა მთივლიშვილმა გაამახვილა ყურადღება, ლაფანყურის საქმეს უკავშირდება. საია და სახალხო დამცველი იცავენ სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებულ პირთა ოჯახის წევრების უფლებებს და აცხადებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი ამ საქმეს არ უნდა იძიებდეს, რადგან შსს თავად იყო ამ სპეცოპერაციის ორგანიზატორი. გარდა ამისა, გელა მთივლიშვილმა პრემიერ-მინისტრს ისიც შეახსენა, რომ სწორედ კონტრდაზვერვის დეპარტამენტი იწვევდა „ბოევიკებს“ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან, წვრთნიდნენ და დერეფანს პირდებოდნენ. მესამე ფაქტი — ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საქართველოდან გაუჩინარდა ორი მოჯაჰედი, რომლებსაც ხელისუფლებისგან თავშესაფარი, ანულტოლვილის სტატუსი ჰქონდა მოთხოვნილი.**

**ფაქტების დაზუსტების მიზნით, გელა მთივლიშვილს პრემიერ-მინისტრი ხშირად აწყვეტინებდა კითხვას, მაგრამ საბოლოოდ უპასუხა, რომ პირველი ფაქტი ჟურნალისტმა დაამახინჯა, რადგან ნაცვლიშვილი კი არ უძღვებოდა გამოძიებას, არამედ — შს მინისტრთან ერთად, მონაწილეობდა გამოძიებაში. რაც შეეხება ლაფანყურს, ბიძინა ივანიშვილი ჟურნალისტს დაპირდა, რომ ამ ფაქტით დაინტერესდებოდა, მაგრამ ვიდრე გელა მთივლიშვილი კითხვას დაასრულებდა, პრემიერ-მინისტრის პრესსპიკერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი დაუკავშირდა და აცნობა, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებული პირების ოჯახის წევრები თანახმა არიან, დამოუკიდებელი ექსპერტიზა ჩატარდეს. რაც შეეხება ორი მოჯაჰედის გაუჩინარებას, შსს ამ ფაქტს არ ადასტურებს.**

# „რა მტკიცებულებები უნდა მქონდეს? ადგნენ და მიჩივლონ!“



## გივი თარგამაძე „მეცხრე არხს“ სკანდალურ ბრალდებას უყენებს, გიორგი მარგველაშვილს ფიასკოს უწინასწარმეტყველებს და საგამოძიებო ჟურნალისტიკაში დაბრუნებას აანონსებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**რუსეთში ძებნილმა „რევოლუციონერმა“ დეპუტატმა გივი თარგამაძემ საქართველოში დაბრუნებისთანავე, ბრიფინგი ჩაატარა და რამდენიმე სკანდალური განცხადება ერთდროულად გააკეთა: გვიამბო, როგორ „დაუძვრა ხელიდან“ ვლადიმერ პუტინს, „მეცხრე არხს“ ბრალდება წამოუყენა და განაცხადა, რომ ივანიშვილთან ერთად, ამ ტელეკომპანიის მფლობელი პუტინიცაა და გვამცნო, რომ შესაძლოა, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანოს.**

**„ლიტვის სეიმის ზოგიერთი დეპუტატების მიწვევით, ვილნიუსში გავემგზავრე და იქ, თებერვალში, მედიასაშუალებებით შევიტყვე, რომ ჩემზე საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული. ლიტვის პროკურატურაში მივედი, სადაც განვაცხადე დევნისა და ჩემი ადგილსამყოფელის შესახებ და თანამშრომლობის სურვილი გამოვთქვი. ამ დროის განმავლობაში, ლიტვაში ვიყავი — ამ პროცესს სულ სამი თვე დასჭირდა, 5 მარტს კი რუსეთმა ჩემზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. მიმდინარეობდა გარკვეული მიმოწერა ინტერპოლთან. შემდგომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა წერილი მისწერა ინტერპოლის გენერალურ მდივანს, რამაც შედეგი სწრაფად გამოიღო — მდივანმა განიხილა ჩემი საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ რუსეთის მიერ წარდგენილი საქმე ინტერპოლის კონსტიტუციას, კერძოდ, მის მესამე მუხლს არ შეესაბამება. ეს მუხლი კი ითვალისწინებს ჩაურევლობას იმ საქმეებში, რასაც შეიძლება პოლიტიკური დევნის ნიშანი ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, მათ მოთხოვნას ანულირება გაუკეთეს და ინტერპოლის სისტემიდან მასალები ჩემს შესახებ მთლიანად ამოიღეს. ექსტრადიციის საქმე გაგრძელდა ლიტვის პროკურატურაში და, საბოლოოდ, რუსეთს ჩემს გადაცემაზე უარი ეთქვა, საქმეში სწორედ პოლიტიკური დევნის ნიშნების გამო. ვილნიუსის სასამართლომ კი შესაბამისი დადგენილება მიიღო, ამგვარად, ვლადიმერ პუტინს დავუმტკიცე, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, მისთვის ცივილიზებული ქვეყნების სივრცე დახურულია და ერთი გზა აქვს — კაცს ატომური ბომბი უნდა აჭამოს ან დაქირავებული მკვლელი მიუგზავნოს“.**

ბრიფინგის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი „მეცხრე არხის“ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება იყო — თარგამაძის მტკიცებით, რუსეთის საგამოძიებო სამსახურებმა ლიტვაში მისი ადგილსამყოფელი „მეცხრე არხის“ საშუალებით დაადგინეს. **„ერ-ტე-ერ“-ის ჟურნალისტები ლიტვაში ჩემგან ინტერვიუს იღებდნენ და სწორედ მათ დამიდასტურეს, რომ „მეცხრე არხმა“, რომელიც ლიტვაში ჩემს სახლთან ჩასაფრდა და მერე ჩემი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია გაამჟღავნა, მათი დაკვეთით იმუშავა! თავად „მეცხრე არხმა“ პატარა, რიგით მასალად ოთხი დღის შემდეგ, დილის გადაცემაში გაუშვა ეს ინფორმაცია, რათა მერე იგი „ერ-ტე-ერ“-ს გამოეყენებინა. „ერ-ტე-ერ“-მა ორი დღის მანძილზე ატრიალა ეს მასალა და რუსეთის საგამოძიებო კომიტეტს საშუალება მიეცა, ლიტვის პროკურატურისთვის ოფიციალურად მიემართა! ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ „მეცხრე არხს“ ხელმძღვანელად ბიძინა ივანიშვილის გარდა, ვლადიმერ პუტინიც ჰყავს“,** — განაცხადა გივი თარგამაძემ და ბრიფინგზე მყოფი „მეცხრე არხის“ გადამღები ჯგუფის განყენებულ კითხვებს კოჰაბიტაციურად უპასუხა.

ამას გარდა, ოპოზიციონერმა დეპუტატმა ბოდიში მოგვიხადა იმის გამო, რომ ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ უფრო ხშირად იყო, ვიდრე საქართველოში. თარგამაძე იქვე დაგვპირდა, ამიერიდან, პარლამენტსა და ქვეყნის შიდაპოლიტიკაში მიმდინარე პროცესებში უფრო აქტიურად ჩავერთვებიო და თავის დროზე, „ვერსიისთვის“ მიცემული ექსკლუზიური ინტერვიუს შემდეგ, ამჯერად ყველა მედიასაშუალებისთვის დააანონსა, საგამოძიებო ჟურნალისტიკაში ვბრუნდები, ოღონდ ჯერ ვერაფერს დავაკონკრეტებო.

პრესკონფერენციის შემდეგ **გივი თარგამაძემ** „ვერსიის“ კითხვებსაც უპასუხა და კოალიციის მიერ დასახელებული საპრეზიდენტო კანდიდატი შეაფასა:

**— „მეცხრე არხს“ ბრალდებები წამოუყენეთ, რომ გიჩივლონ, რამე მტკიცებულებები გაქვთ?**

— „მეცხრე არხს“ არაფერს ვერჩი, თვითონ მერჩიან. ეგ ერთი. მეორე, რა მტკიცებულებები უნდა მქონდეს — ადგნენ და მიჩივლონ!

**— გიორგი მარგველაშვილი „ოცნების“ უალტერნატივო კანდიდატია. მის კანდიდატურას როგორ აფასებთ?**

— ალბათ, თავიდანვე უნდა მივმხვდარიყავით, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავარი ინტერვიუ მისი პირველი ინტერვიუ იყო, სადაც ფილოსოფიაზე ლაპარაკობდა — შესაბამისად, კანდიდატად დაასახელა ადამიანი, რომელთან ერთადაც, ყოველ საღამოს ფილოსოფოსობს და, როგორც ჩანს, ახლა უკვე მათთან ერთად, მთელ ქვეყანას ფილოსოფოსობა მოუწევს. ამ კაცის კანდიდატურის სხვა პლუსი არ ვიცი, თან მარგველაშვილს პრეზიდენტობისთვისაც ცოტა უხერხული „სივი“ აქვს — მისი ერთადერთი სამუშაო გამოცდილება „ჯიპას“ ინსტიტუტია. მე მაინც მიმაჩნია, რომ პოლიტიკაში მთავარი, პოლიტიკოსობაა. გიორგი მარგველაშვილი ვერ ერკვევა პოლიტიკაში და ბიძინა ივანიშვილმა კი არა, მამაზეციერმა რომ დაასახელოს პრეზიდენტად, მაინც ვერ გაერკვევა! მან განათლების სამინისტროში, ამ 7 თვეში, უკვე ბევრი შეცდომა დაუშვა, განსაკუთრებით, სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით და ეს თემა აუცილებლად წამოეწევა, პრეზიდენტობის შემთხვევაშიც.

**— მას პრეზიდენტობას უწინასწარმეტყველებთ?**

— პრეზიდენტობას კი არა, ფიასკოს ვუწინასწარმეტყველებ!

**— ამბობენ, რომ ის ივანიშვილმა სპეციალურად დაასახელა, როგორც სუსტი კანდიდატი, რათა თქვენ ორ ძალას შორის გარიგების თანახმად, ნაციონალების კანდიდატმა, სავარაუდოდ, ვანო მერაბიშვილმა გაიმარჯვოს...**

— საოცარი თეორიაა — შეთქმულების თეორიები ყოველთვის საოცარია ხოლმე საქართველოში. რაზე ეტყობა ახლა ბიძინა ივანიშვილს, რომ ნაციონალებისთვის რამის დათმობა უნდა? ერთადერთი ფაქტორი, რის გამოც ბიძინა ასეთ ისტერიკაშია, ისაა, რომ ჩვენ კვლავ ვარსებობთ. ჩვენ რომ არ ვარსებობდეთ, მისი არაკომპეტენტურობა ასე მკვეთრად არ გამოჩნდებოდა და ვიღაცას შეიძლება დაეჯერებინა, თითქოს ივანიშვილი ბიზნესსა და ეკონომიკაში მართლა ერკვევა. ჩვენს ფონზე კი, ეს არ გამოსდის და ამიტომაა ნერვებმოშლილი. ასე რომ, დაივიწყეთ თეორია გარიგებაზე და ისიც, რომ ივანიშვილმა რაღაც ჩახვეული პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა — არ იცის ამ კაცმა პოლიტიკა და „ჩახვევები“! მოსწონს ეს მარგველაშვილი, როგორც ფილოსოფოსი — მერე პრემიერი და პრეზიდენტი ერთად დასხდებიან და იფილოსოფოსებენ!

## სასჯელაღსრულების №8-ე დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მთავარი ინსპექტორი სამსახურიდან გაათავისუფლეს

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურებრივი შემოწმების საფუძველზე, №8-ე დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მთავარი ინსპექტორი, იუსტიციის უფროსი ლეიტენანტი დათო პოლიკარპეს ძე ხუროძე სამსახურიდან გათავისუფლდა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ცნობით, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით დადგინდა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8-ე დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მთავარი ინსპექტორი დათო ხუროძე 2009-2012 წლების პერიოდში, №8-ე დაწესებულებაში შესახლებულ მსჯავრდებულებს სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ახდენდა მათზე ძალადობას და არღვევდა მსჯავრდებულთა უფლებებს.

დასკვნის ასლი შემდგომი მსჯელობისთვის საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაეგზავნა.

დათო ხუროძე, მეტსახელად „ხონსკი“ მოხსენიებულია საქართველოს სახალხო დამცველის, უჩა ნანუაშვილის მოხსენებაშიც.

*„ინტერპრესნიუსი“*

## პარლამენტში სასოფლო ბარათებთან დაკავშირებულ საკითხზე ისაუბრეს

საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-რეგიონები“ და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-მაჟორიტარები“ ერთობლივ სხდომაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდნენ. საუბარი შეეხებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და სასოფლო ბარათებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროგრამის ძირითად პრობლემად ხარისხიანი სიების არარსებობას ასახელებს და აცხადებს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს სიების გადამოწმებისა და დამატებითი სიების წარდგენის საშუალება 3-ჯერ მიეცათ, რაც არ გაუკეთებიათ. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, შოთა ფიფიას განმარტებით: **„სამწუხაროდ, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ხარისხიანი სიების მოწოდება. ადამიანების გარკვეული რაოდენობა, სავარაუდოდ, შეიძლება გამორჩენილი იყოს, თუმცა 715 000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო პირდაპირი დახმარება. აქვე აღვნიშნავ, რომ ტრაქტორები საკმაოდ ოპტიმალურადაა გადანაწილებული ქვეყნის მასშტაბით, უდიდესი ნაწილი ფართობის დახნულია. ამინდთან დაკავშირებული პრობლემები იყო, თუმცა მიწები კვლავაც იხვნება და მთელ რიგ რეგიონებში ტექნიკა მუშაობს, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# ლაშა ნაცვლიშვილის წინააღმდეგ კომპრომატების ახალი სერია მომდევნო კვირაში დაიდება

ნინო კომახიძე
599-95-33-16

გელა ხვედელიძის სკანდალური დაკავების შემდეგ შს სამინისტრო და პროკურატურა ლაშა ნაცვლიშვილის მხარდამჭერი განცხადებებით გამოვიდა. გიორგი ფარესაშვილი, ფარული ჩანაწერების მთავარი გმირი, ხვედელიძესთან ერთად, ბიზნესმენების დარეკეტებაში ხელს ლაშა ნაცვლიშვილსაც ადებდა, შემდეგ კი, ნარკოტესტზე მისი შემოწმება მოითხოვა. 14 მაისს, მთავარმა პროკურატურამ გელა ხვედელიძის დაკავების საქმეზე განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ ეს საქმე სწრაფად და ეფექტურად, საქართველოს მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა გამოიძია: **„რაც შეეხება საჯარო განცხადებებს საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ ბიზნესის ლობირების თაობაზე, ისინი არაფრითაა დასაბუთებული და წარმოადგენს მხოლოდ ცალკეულ პირთა პირად მოსაზრებებს. შესაბამისად, საქართველოს მთავარი პროკურატურა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მათ საფუძველზე გამოძიებას ვერ დაიწყებს“.** პრემიერ ივანიშვილის განსაკუთრებული აღშფოთებაც სწორედ ამ თემებზე საუბარმა გამოიწვია ჟურნალისტებთან პრესკონფერენციაზე, თუმცა ბოლო ორ დღეში დატრიალებული მოვლენების შემდეგ, საზოგადოებას კითხვა მეტი აქვს, ვიდრე — პასუხი: თუ ხვედელიძის საქმე გამოძიებულია, რატომ არაა დაკითხული მთავარი მოწმე გიორგი ფარესაშვილი, ასევე ელისო კილაძე და ერთ-ერთი მოქმედი პირი ლაშა ამირეჯიბი. თუკი გელა ხვედელიძის წინააღმდეგ არსებობდა ფარული ჩანაწერი, რომელიც გასაჯაროვდა კიდეც, რა ფაქტები აქვს დაზარალებულ ფარესაშვილს ნაცვლიშვილის წინააღმდეგ; რა სტატუსით ესწრებოდა შს მინისტრის პირველი მოადგილისა და ლაშა ამირეჯიბის შეხვედრას ყოფილი ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი — მოკლედ, „ვერსია“ ამ კითხვების ყველა ადრესატს დაუკავშირდა და შეეცადა, ამომწურავი პასუხები მიეღო.

როგორც დაზარალებული **გიორგი ფარესაშვილი** აცხადებს, მას ხვედელიძე-ნაცვლიშვილის წინააღმდეგ კონკრეტული დოკუმენტები აქვს, რაც 2003-2005 წლებში მათ უკანონო მოქმედებებს ადასტურებს — იგი მთავარი პროკურორის მოადგილეს შპს „გიორგის“ გაკოტრებაში ადანაშაულებს: **„2001 წელს შპს „გიორგიმ“ მოიგო ტენდერი და აღადგინა რუსთავის სარეზერვო წყალსადენი „ხრამი“. 2003 წლიდან ამ კომპანიაზე ზეწოლა დაიწყო გელა ხვედელიძემ, რომელიც მაშინ ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურს ხელმძღვანელობდა.**

**2003 წელს შპს „გიორგის“ დამფუძნებელს, ზურაბ მაისურაძეს ხვედელიძისგან მიუვიდა წერილი, რომლის მიხედვით, ამ კომპანიას ლიცენზია არ გააჩნდა და უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა. სინამდვილეში, მაისურაძეს ეს ლიცენზია ჰქონდა. მერე ამ კომპანიაზე ზეწოლა უშიშროების მინისტრის მაშინდელმა მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილმა განაგრძო და 2005 წელს შპს „გიორგის“ გასაკოტრებლად ყველაფერი გააკეთა. შპს „გიორგის“ მიწიდან ამოუთხარეს მილები, რომლითაც კომპანია რუსთავს წყალს აწვდიდა, დაჭრეს და ჯართში ჩააბარეს, კომპანია კი გაკოტრებულად გამოაცხადეს. სხვათა შორის, ზურაბ მაისურაძემ პრემიერ-მინისტრსაც მიმართა და წერილს დოკუმენტებიც დაურთო; ასევე მიმართა იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანსა და მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს, თუმცა პროკურატურაში იმ გამომძიებელთან გადაამისამართეს, რომელიც 2005 წელს ამ საქმეში იყო ჩართული. დღეს, ამ ყველაფრის შემდეგ, პრემიერ ბიძინა ივანიშვილისგან მოვისმინეთ — ნაცვლიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგებაო, მაგრამ საინტერესოა, რას იზამს ახლა, როცა ნაცვლიშვილის წინააღმდეგ კონკრეტული მტკიცებულებები არსებობს? სიცრუეა ისიც, როცა ამბობენ, რომ სწორედ ნაცვლიშვილმა აწარმოა გამოძიება ხვედელიძის წინააღმდეგ, რადგან 2003-2005 წლის ამ დოკუმენტებითაც მტკიცდება მათი დანაშაულებრივი კავშირის შესახებ. ასევე, ხვედელიძის საქმეზე ჩემი დაკითხვა არ მომხდარა პროკურატურის მიერ ისევე, როგორც გამოძიებას ჩვენგან ფირი არ მოუთხოვია“,** — აცხადებს გიორგი ფარესაშვილი და ირწმუნება, რომ კვერცხის ბიზნესის გამოძიების შესახებ ინფორმაციას ლაშა ნაცვლიშვილის დაკავებისთანავე გაასაჯაროებს.

ყოფილი ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი, რომელიც ხვედელიძე-ამირეჯიბის საუბრის ჩანაწერის ახალი გმირია, კომენტარს საერთოდ არ აკეთებს და არ აზუსტებს, რა სტატუსით იმყოფებოდა შს მინისტრის მოადგილისა და სახალხო კრების წევრის პრივატულ შეხვედრაზე. **ლაშა ამირეჯიბი** კი „ვერსიისთვის“ ასეთ კომენტარს აკეთებს: **„არავის საქმე არ არის, იმ სახლში შეხვედრაზე რა სტატუსით და რატომ ვიყავი მისული. უახლოეს დღეებში, ნამდვილად დაიდება ინფორმაცია ნაცვლიშვილის შესახებ და საზოგადოება მასზე კიდევ ბევრ რამეს შეიტყობს“.**

დავუკავშირდით ჟურნალისტ **ელისო კილაძესაც,** რომელიც ხვედელიძის საქმეზე გამოძიებას ასევე არ დაუკითხავს, თუმცა იგი აქტიურად ეხმაურება გია ხუხაშვილის განცხადებასა და პრემიერის რეაქციას ნაცვლიშვილის დაკავების მოთხოვნაზე:

— დავიწყოთ იმით, რომ გია ხუხაშვილმა თქვა, თითქოს, კვერცხის ბიზნესთან მას არავითარი შეხება არ აქვს და, თითქოს, ეს მე დავუდასტურე. დაწერეთ, რომ მე მისთვის არასოდეს დამირეკავს და ახლა სწორედ „მაგთის“ ოფისში მივდივარ, ჩემი სატელეფონო ჩანაწერების არქივის ამოსაღებად! ჩემი ტელეფონიდან ხუხაშვილის ნომერზე ერთადერთი მესიჯია შესული, რომელიც გიორგი ფარესაშვილს ეხება. ვწერ, რომ ფარესაშვილი ჩემთან ოფისში იმყოფება და თანახმაა მასთან შეხვედრაზე. სხვა შეხება ამ კაცთან არც მქონია და არც მომავალში მექნება!

**— ნაცვლიშვილზე კონკრეტულად, რა ინფორმაციები არსებობს?**

— ხვედელიძეზეც ამბობდა პრემიერი, არაფერ შუაშიაო, მაგრამ მას მერე, რაც მტკიცებულებები მიიღო, ხვედელიძემ თანამდებობაც დატოვა და დაიჭირეს კიდეც. მიმდინარე კვირაში დავდებთ ბიზნესმენების ჩვენებებს, აქედან ერთი ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია. ჩვენებებში ეს ხალხი ღიად ყვება, როგორ ატერორებს მათ ლაშა ნაცვლიშვილი, ბიზნესმენები არ დამალავენ ვინაობას და ყველაფერს იტყვიან. თუ პრემიერისთვის ესეც არ იქნება მტკიცებულება, ეს უკვე ჩემი კომპეტენციის სფეროს სცილდება!

**— ვერ გავიგე, ეს თქვენი გამოძიებაა, გიორგი ფარესაშვილისა, თუ ერთი გუნდი ხართ?**

— გიორგი ფარესაშვილი გავიცანი მხოლოდ მაშინ, როცა გავრცელდა ეს სკანდალური ვიდეოები — იგი ლაშა ამირეჯიბმა მოიყვანა ჩემთან, ოფისში... რაზეც ახლა ვსაუბრობ, ეს სულაც არაა კვერცხის ბიზნესი, საქმე ეხება სულ სხვა ბიზნესს, რომლის მეპატრონემ პირადად ჩემთან განაცხადა, რომ მას ნაცვლიშვილი დევნის. ჯერ ამ ბიზნესმენების სახელებს ვერ ვიტყვი და, საერთოდ, ვაპირებდი, ეს მასალები მოგვიანებით გამომექვეყნებინა, მაგრამ რაკი ბატონმა პრემიერმა თქვა, მტკიცებულებები მჭირდებაო, იგი მტკიცებულებებს ამ კვირაში მიიღებს.

**— ბევრი კითხვა დატოვა შეხვედრამ ამირეჯიბს, მამაცაშვილსა და ხვედელიძეს შორის. ეს საუბარი ამირეჯიბმა ჩაწერა და, საერთოდ, რისი გარკვევა უნდოდათ ამ შეხვედრით?**

— არ ვიცი, ამ საუბარსა და შეხვედრას რამდენი მხარე იწერდა. ლაშა ამირეჯიბს დაურეკეს და ჩანაწერშიც მკაფიოდ ჩანს, რომ მას გიორგი ფარესაშვილისთვის თავის დანებებას სთხოვენ, ეუბნებიან, რომ ფარესაშვილის წინააღმდეგ რაღაც ვიდეომასალა არსებობს... დანამდვილებით ვამბობ, რომ ამ ვიდეოს შესახებ არაფერი ვიცოდი და ლაშა ამირეჯიბის განცხადებების მერე დავინტერესდი ამ საქმის დეტალებით, თუმცა ლაშას ჩემთვის ეს ფირი ნამდვილად არ გადმოუცია. ახლა შევეცდებით, მტკიცებულებები პრემიერს მივაწოდოთ და მის რეაქციასაც ვნახავთ! მინდა ვთქვა, რომ დღეს პრემიერი შეცდომაშია შეყვანილი და კოკა ყანდიაშვილს მოვუწოდებ, ბიძინა ივანიშვილს ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს. თუ პრემიერის დეზინფორმირება გაგრძელდება, იძულებული გავხდები, ადამიანთა უფრო ფართო წრე დავასახელო, ვინც ამ საქმეშია ჩართული.



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**საქართველოში აღარავის უკვირს, ექიმების შეცდომის გამო, ადამიანები კონკრეტულ კლინიკებს რომ უჩივიან, მაგრამ ამჯერად, საქმე პირიქითაა — 4 ოპერაციის შემდეგ გარდაცვლილის ოჯახს რკინიგზის საავადმყოფო სასამართლოში უჩივის, ითხოვს 16 000 ლარის გადახდასა და მათი ბინის დაყადაღებას, ხოლო თუ გარდაცვლილის შვილი 16 000 ლარს არ გადაიხდის, ბინა გაიყიდოს და კლინიკას თანხა აუნაზღაურდეს. 14 სექტემბერს, საქალაქო სასამართლოში ამ საქმის განხილვაზე პირველი სხდომა იყო ჩანიშნული, რომელიც იმის გამო გადაიდო, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მედიაციის სამსახურს ამ საქმეზე დასკვნა ჯერ არ მოუმზადებია.**

## ბრმანაწლავის ოპერაციის შედეგად გარდაცვლილის შვილს საავადმყოფო სახლს უყიდის!

**სიმართლის გარკვევაში გარდაცვლილი ლიზა ხუზნიაშვილის შვილს, მარინა ბეჟიტაშვილს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ეხმარება. მისი განმარტებით:** „გაუგონარი რამ ხდება. პენსიონერი ლიზა ხუზნიაშვილი ექიმთა დაუდევრობით გარდაიცვალა — მას დიღმის მასივში, ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოში ჩაუტარდა ბრმანაწლავის ოპერაცია და გაწერეს, მაგრამ პაციენტს ექიმთა დაუდევრობის გამო განუვითარდა პერიტონიტი, რომელიც 99%-ში მაშინ ვითარდება, თუ ოპერაცია არასწორად გაკეთდა ან არასტერილური ხელსაწყო გამოიყენეს. იმის მიუხედავად, რომ საავადმყოფოს პასუხი ეგო ამ დაუდევრობის გამო, გაუგონარი რამ მოხდა — კლინიკის ხელმძღვანელობა გარდაცვლილის შვილს, ასევე პენსიონერ მარინა ბეჟიტაშვილს სასამართლოში უჩივის და 16 000 ლარის გადახდას სთხოვს. ასეთი უსამართლო სისტემაა დღეს ჩვენთან, პირადად მე, გადავუგზავნე ეს საქმე ჯანდაცვის სამინისტროს მედიაციის სამსახურში თამარ ლებანიძეს. შთაბეჭდილება მრჩება, მას გულწრფელად უნდა ვითარებაში გარკვევა და იმედია, ასეც მოხდება. საავადმყოფოში ამბობენ, პაციენტი იმიტომ გარდაიცვალა, კლინიკაში გვიან მოიყვანესო. მას მწვავე აპენდიციტი ჰქონდა, მაგრამ ამით, ნორმალურ კლინიკებში, ადამიანები არ იხოცებიან. სასამართლოსგან ვითხოვთ, გაარკვიოს საავადმყოფოს ბრალეულობა და იქით დააკისროს მას კომპენსაცია. ალბათ საჭიროა, პარლამენტმა, რომელიც დაკავებულია პრეზერვატივის ხარისხის გარკვევით, სიგარეტის რეკლამის აკრძალვითა და მსგავსი სულელური საკანონმდებლო ინიციატივების განხილვით, რაიმე ზომები მიიღოს, კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს, რათა მსგავს გაუგებრობას ადგილი აღარ ჰქონდეს. ჯანდაცვის მინისტრი კვალიფიციური ექიმი და წესიერი ადამიანია, მაგრამ ეს არაა საკმარისი დარგის ხელმძღვანელობისთვის — მან დაუყოვნებლივ უნდა გაატაროს რეფორმა და მსგავს საკითხებს მეტი ყურადღება დაუთმოს“.

**მარინა ბეჟიტაშვილი (გარდაცვლილი ლიზა ხუზნიაშვილის შვილი):** „2012 წლის 24 აგვისტოს დედა მწვავე აპენდიციტით სასწრაფოთი რკინიგზის საავადმყოფოში გადაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს. მდგომარეობა რომ გართულდა, ექიმებმა განმარტეს — იწყება პერიტონიტი და საჭიროა ორი ოპერაციაო. 74 წლის ქალს, 9 დღეში 4 ოპერაცია გაუკეთეს ნარკოზით. თუ იცოდნენ, რომ ქალი მომაკვდავი იყო, რაღაზე აწვალეს?! თავიდან, კლინიკა 20 000 ლარის გადახდას ითხოვდა, ახლა — 16 000-ზე ჩამოვიდნენ. დედა ექთნად მუშაობდა 45 წელი, ნუთუ იმის ღირსი არ იყო, სახელმწიფოს დახმარება გაეწია და საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში, დაეფინანსებინა?! ბაღის მასწავლებელი 16 000 ლარს რომ ვერ გადავიხდი, ცხადია ღირებული კი არაფერი გამაჩნია, რომ გავყიდო და ეს თანხა დავფარო. სასამართლო პროცესი მედიაციის სამსახურის დასკვნის არქონის გამო გადაიდო და 28 მაისს დაინიშნა“.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# „ვერ გეტყვით, ამ პოსტზე დანიშვნა არ მინდა-მეთქი“...

## დავით ფაცაცია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დროებით თავმჯდომარეს კანონის ორი მუხლის დარღვევაში ადანაშაულებს და მის გადაყენებას აპირებს

**„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა წევრი დავით ფაცაცია, პოლიტიკურ კულუარებში, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატად მოიაზრება. მართალია, საზოგადოებაში დიდი ცნობადობით არ გამოირჩევა, თუმცა ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, პოლიტგამოცდილება დიდი აქვს, პოლიტგემოვნება კი — ჭრელი. გარდა ამისა, ბოლო დღეების გმირმა, გიორგი ფარესაშვილმა „ოცნებაში“ მასთან ერთ-ერთ დაპირისპირებულ მხარედ, დაკავებული გელა ხვედელიძის გარდა, ფაცაციაც დაასახელა. „ვერსია“ ინტერვიუს სწორედ ДАВИТ ФАЦАЦИАСТАН გთავაზობთ.**

**— გიორგი ფარესაშვილი ამბობდა, „ოცნების“ ახალგაზრდულიდან დავით ფაცაციამ გამომაგდოო — ასე იყო?**

— არც უმაგისობაა... უფრო სწორად, მე არავის ვაგდებ, უბრალოდ, უზნეო და უღირსი ადამიანის მიმართ ხისტი ვარ. მგონი, ფარესაშვილმა თავი უკვე აჩვენა, ამიტომ არც მინდა, ამაზე რაიმე კომენტარი გავაკეთო და ჩემი და ფარესაშვილის ურთიერთობაზე დავწვრილმანდე.

**— ფარესაშვილი ამბობდა, რომ „ოცნების“ ახალგაზრდულის ლიდერი ვერ გახდა, რადგან სესიაშვილი-ხუხაშვილი გლობირებდნენ. ეს ბრალდებაა.**

— რაც შეეხება ლობირებას, ირაკლი სესიაშვილი ოქტომბრის მერე გავიცანი, ხუხაშვილთან კი ბევრჯერ მქონია გარკვეული საექსპერტო შეხება, მეგობრული რჩევაც მითხოვია, არავის ლობირება არ მჭირდება! ღმერთმა დამიფაროს, ფარესაშვილის მეტოქე ვყოფილიყავი, თუმცა როცა ვხედავ, ვინმე დანაშაულს სჩადის, მე სასტიკი ვარ!

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ მალე, შესაძლოა, აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედაც მოგვევლინო. თურმე, მხარდამჭერებიც გყოლიათ და ისინი საქართველოს მასშტაბით, ხელმოწერებს გიგროვებენ.**

— ყველა გავაჩერე, ვინც ჩემს მხარდამჭერ ხელმოწერებს აგროვებდა. ბედნიერი ვარ, რომ დევნილები, აფხაზებიც, მათ შორის, ცნობილი ადამიანები, სოხუმში ჩემს მიმართ მხარდაჭერას გამოხატავენ.

**— ანუ ამ პოსტზე ისევ ვახტანგ ყოლბაია დარჩება, რომელიც თავმჯდომარის მოვალეობას დროებით ასრულებს?**

— მას აქვს გარკვეული დამსახურება, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 22 წლის განმავლობაში იყო, 10 წელზე მეტხანს საქართველოს პარლამენტის წევრი გახლდათ და ბურჯანაძის პარლამენტის ვიცე-სპიკერი, თუმცა

**დღეს აღნიშნულ პოსტზე ყოლბაიას ყოფნა, ხაზგასმით ვამბობ, დანაშაულია. მე არანაირი პრობლემა არ მაქვს ამ ადამიანთან, მაგრამ მისი ამ პოსტზე დანიშვნა მთელი რიგი კანონდარღვევებით მოხდა. ჯერ ერთი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არ უნდა გახდეს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი და ეს კონსტიტუციის 53-ე მუხლის დარღვევაა. ორგანული კანონის, „პატრიოტის აქტის“ თანახმად, უშიშროების ყოფილ წევრებს, რაიკომის მდივნებსა და მსგავსი თანამდებობის მქონე პირებს არ აქვთ უფლება, დაიკავონ მაღალი პოსტები და მან ეს კანონიც დაარღვია. არ ვამბობ, რომ ამ კანონს ვეთანხმები, მაგრამ ვიდრე არ შევცვლით, უნდა დავემორჩილოთ კიდეც. ამ ორი კანონდარღვევის მიუხედავად, 19 აპრილს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ყოლბაიას დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყვიტა, მაგრამ მანამდე მან კანონის ორი ნორმა უხეშად დაარღვია. ამ ყველაფერზე მივუთითე დეპუტატებს, მიმდინარე კვირაში მათთან საუბარი მექნება და ვფიქრობ, ყველაფერი ლამაზად დალაგდება.**

**— „ყველაფრის ლამაზად დალაგებაში“ რა იგულისხმება?**

— ჩემი ამოცანაა, უმაღლესი საბჭო აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყოს და ყველა პროცედურა კანონის ფარგლებში მოექცეს. ვფიქრობ, სწორი იქნება, თუ კანონის შესაბამისად ვიმოქმედებთ და ყოლბაიას გადააყენებენ. თანაც, კანონის მიხედვით, გია ბარამიას მოვალეობა მისმა მოადგილემ, კვარაცხელიამ უნდა შეასრულოს.

**— დამრჩა შთაბეჭდილება, ამ ყველაფერს იმიტომ ამბობთ, რომ საბჭოს თავმჯდომარეობა გინდათ.**

— სხვათა შორის, 30 წლის იყო ირაკლი ალასანია, როცა ამ პოსტზე დაინიშნა. ნამდვილად ვერ გეტყვით, არ მინდა-მეთქი. ვფიქრობ, შეიძლება, პოლიტიკა სუფთადაც აკეთო. რაც შეეხება კონკრეტულად ამ თანამდებობას, ვფიქრობ, ამ ასაკში ასე არ უნდა ხდებოდეს. ცუდია, როცა 25 წლის მინისტრი ან 21 წლის დეპუტატი ხარ, თუმცა ნამდვილად არ ვიტყვი, რომ გია ბარამიას თუ შეეძლო, მე ვერ შევძლებ ამ საქმიანობას.

**— რა ვიცი, ბარამიასთან პრეტენზიები გაქვთ და თან ელჩად ისევ თქვენი გუნდი უშვებს...**

— ვიცი... შესაძლოა, ამ პოსტზე მაინც ვიყო, მაგრამ ამ ეტაპზე, ვფიქრობ, ეს სწორი არ იქნება. ისე, დროც არ ითმენს, რადგან იქ კარგი, წესიერი ადამიანია საჭირო.

**— ვახტანგ ყოლბაია უწესო ადამიანია? მას მამათქვენი, გოგი ფაცაცია, რომელიც ახლა დევნილთა მინისტრის მოადგილეა, სახალხო კრებიდან კარგად უნდა იცნობდეს.**

— მამაჩემი სახალხო კრების წევრი არ ყოფილა, მათ უბრალოდ, ეხმარებოდა. ყოლბაია მამაჩემის მეგობარია და მასთან მეც ვმეგობრობ, მაგრამ კანონდარღვევა კანონდარღვევაა! ისე, მამაჩემი „ქართული ოცნების“ დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი იყო, მერე სოხუმის აეროპორტის ხელმძღვანელი, ომის შემდეგ — აფხაზეთის ავიაციის ხელმძღვანელი. საერთოდ, ვამართლებ მამაჩემის მოქმედებებს და სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს მიშას წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ მოქმედებას დადებითად ვაფასებ, თუმცა პირადად მე, მას მხოლოდ ერთი გუნდიდან ვებრძოდი.

**— ქრონოლოგიურად მივყვეთ — ჯერ ახალი მემარჯვენეების წევრი იყავით, მერე გულუას პარტიის, ახლა „ოცნებაში“ ხართ!**

— მე ვიყავი მხოლოდ ახალი მემარჯვენეების წევრი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სააკაშვილი ჩემთვის ქარაფშუტა და არაადეკვატური ადამიანი იყო, ირაკლი ოქრუაშვილი შეგნებული დამნაშავე გახლდათ... ზუსტად ეს პოზიცია ჰქონდათ „ახალ მემარჯვენეებს“. მიუხედავად იმისა, რომ მათ დაბალი რეიტინგი ჰქონდათ, 2003 წლიდან 2011 წლამდე მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების 99%-ს ვეთანხმებოდი. იმ პარტიაში სერიოზულ პერსპექტივას ვერ ვხედავდი და არც იმის ილუზია მქონდა, რომ დავით გამყრელიძე პრეზიდენტი გახდებოდა. უბრალოდ, მინდოდა, ქვეყანაში საპირწონე ძალის გაძლიერება. 2007 წლის ოქტომბრიდან „ახლებში“ ვიყავი, მოძრაობა „რატომ“ კი 2009 წლის დეკემბერში დაფუძნდა და მისი თავმჯდომარეც მე გახლდით, შემდეგ ისევ „მემარჯვენეებში“ დავბრუნდი.

**— „ახლებიდან“ რატომ წამოხვედით?**

— დღეს უკვე აშკარაა რატომაც. „მემარჯვენეებშიც“, სხვათა შორის, პოლიტსაბჭოს წევრი და ახალგაზრდულის ხელმძღვანელი ვიყავი. ჩემთვის „რვიანის“ თემა ძალიან მძიმე იყო, „ახლებმა“ კი, ვფიქრობ, არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს, თუმცა პარტიიდან მანამდე წამოვედი, შიდასამზარეულოში უკვე იგრძნობოდა, რომ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და ნაციონალებს ამ თამაშში გაყვნენ.

**— მე სხვა ვერსია ვიცი — ახალგაზრდულში თქვენი მიზეზით დაპირისპირება მომხდარა...**

— კი ბატონო, იყო ასეთიც. როცა მე მოვითხოვე დამნაშავეების სასტიკად დასჯა მათი უპასუხისმგებლო ქმედებების გამო, ადეკვატური პასუხი ვერ მივიღე. ჩემი განცხადება 2011 წლის 19 აპრილს, გამყრელიძეს უკვე მაგიდაზე ედო.

**— გულუაც უსამართლოდ მოგექცათ, როცა მის პარტიაში იყავით?**

— თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, მასზე ბინძური ადამიანი არ შემხვედრია. 2012 წლის აგვისტოს დასაწყისში დამიკავშირდნენ და მითხრეს, მინდია გულუას შენთან შეხვედრა სურსო. მაშინ მთელი ოპოზიციური სპექტრი მკვდარი იყო და მეც ამ ადამიანს შევხვდი.

**— უცნაურია, „ახლებიდან“ „პრორუს“ გულუასთან რატომ წახვედით?**

— ასე, შეიძლება, ყველას დაარქვა პრორუსი. იარლიყების მიკერებას მირჩევნია, თავად გადავამოწმო. გულუა აფხაზეთიდანაა და იგი ჩემი ბევრი ახლობლის ახლობელი აღმოჩნდა. მის მიმართ, მეტ-ნაკლებად, კარგი აზრიც გამოითქვა და ჩავთვალე, რომ ამ ადამიანს კარგის გაკეთება შეეძლო. ილუზია, რომ პოლიტიკურ სასწაულს მოახდენდა, არ მქონია, უბრალოდ, შეხვედრისა და მასთან საუბრის შემდეგ გადავწყვიტე, ცდად ღირდა. იგი ამბობდა, რომ მზად იყო, სერიოზული სახსრები ჩაედო სააკაშვილის დამარცხებაში, სერიოზულ საინვესტიციო გარემოს შექმნიდა სოფლის მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებისთვის, რუსეთის ბაზარზე ქართულ პროდუქციას დააბრუნებდა და ა.შ. ეს ყველაფერი ჩემთვის მისაღები იყო, თუმცა დღეს უკვე იმ ადამიანზე ვსაუბრობ, ვისზე საუბარიც არ მინდა.

**— მისი პარტიიდან, დაახლოებით, ერთ თვეში წამოხვედით, რატომ?**

— აღმოჩნდა, რომ მთელი ეს პროცესი მის მიერ სპეციალურად ინსპირირებული იყო — სურდა, პოლიტიკურ ოპოზიციურ სივრცეში დარჩენილი ყველა წესიერი ადამიანი შემოეკრიბა და მერე „გაესვარა“, „გაეფუჭებინა“, რაც ყველა პოლიტიკურ პროცესს საბოლოოდ დაასრულებდა საქართველოში. ეს პირდაპირ, ვანო მერაბიშვილის ხელწერა იყო, სხვათა შორის, ვანოს გარდა, ამ საქმეში გიგი უგულავაც იყო ჩართული. ეს ფაქტია!

**— ფაქტი რატომაა, იქნებ დააზუსტოთ?**

— არ აქვს მნიშვნელობა, ახლა არ მინდა დეტალებზე საუბარი, თუმცა ეს პროცესი ბინძურად იყო ჩაფიქრებული და იმ პარტიიდან წამოვედი!

**— ახლა „ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი ხარ — აქამდე როგორ მოხვედით?**

— 16 თებერვალს, ვზივარ ფილარმონიის დარბაზში, ცხადდება სახელები და გვარები და უცებ, ჩემი გვარიც ისმის. ნებისმიერ ნეგატიურ შოკს გავუძლებ, მაგრამ პოზიტიური შოკი ცხოვრებაში არ მქონია. იმ დღეს სწორედ ეს გამოვცადე — დავიბენი, სცენიდან რომ ჩამოვედი, მერე მივხვდი ჩემს პასუხისმგებლობას. ახლა მაინცდამაინც საჯარო-სატელევიზიო აქტიურობა არ მჭირდება, ჩემს საქმეს ვაკეთებ. დასამალი არაფერი მაქვს ცხოვრებაში და ნებისმიერ დეტალზე, თუნდაც ყველაზე მძიმეზე, თავისუფლად ვისაუბრებ. უბრალოდ, დღეს ხალხთან უშუალოდ ვმუშაობ და ესაა ჩემი საქმე.

ВЕРСИАНИУСИ

## საბერძნეთში ქართველი ადვოკატი დააკავეს

ქალაქ სალონიკში საბერძნეთის მოქალაქე ქართველი ადვოკატი საბუთების გაყალბების ბრალდებით დააკავეს. საბერძნეთიდან ინფორმირებულმა წყარომ გვაცნობა, რომ იქაური მოქალაქე, წარმოშობით ქართველი ადვოკატი გ.ხ. საბერძნეთში მყოფ არალეგალებს საბუთების მოწესრიგებაში ეხმარებოდა. ამ საქმიანობაში კი, ძმა და საქართველოში დაბადებული, წარმოშობით ბერძენი ქმარი ეხმარებოდნენ. პოლიციამ ყველა დააკავა.

დაკავებულნი იყვნენ აგრეთვე, საბერძნეთის სახელმწიფო უწყების ის წარმომადგენლებიც, რომლებიც ადვოკატს ეხმარებოდნენ, თუმცა ისინი მალევე გაათავისუფლეს. ინფორმაციის გადასამოწმებლად სალონიკში საქართველოს საკონსულო წარმომადგენლობას დაუკავშირდა, სადაც განაცხადეს, რომ აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაცია აქვთ და მიმდინარეობს გამოძიება: **„ვინაიდან დაკავებული პირები საქართველოს მოქალაქეები არ არიან, მათი საკითხის გადაწყვეტა საბერძნეთის ხელისუფლების პრეროგატივაა. ეთნიკური წარმომავლობა კავშირში არ არის მოქალაქეობასთან. შესაბამისად, საბერძნეთის ხელისუფლება ვალდებული არ არის, საქართველოს მხარეს, ანუ საკონსულოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაცია მიაწოდოს. ჩვენ ვიცით ამ ფაქტის შესახებ. მიმდინარეობს გამოძიებაც, მაგრამ რაიმე კომენტარს ვერ გავაკეთებთ. ეს ჩვენი კომპეტენცია არ არის“.**

არსებული ინფორმაციით, სალონიკში, ზემოაღნიშნულ ოჯახში, ორი კვირის წინ ტრაგედია დატრიალდა — პატიმრობაში მყოფი ადვოკატის 18 წლის შვილმა ბაბუა მოკლა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ბარაკებში მცხოვრები მოსახლეობა დაპირების შესრულებას მოითხოვს

ბათუმში, ბარაკებში მცხოვრები მოსახლეობა დაპირების შესრულებას მოითხოვს. მოსახლეობამ საპროტესტო აქცია ე.წ. ბენზეს დასახლებაში, ლტოლვილების კორპუსთან გამართა. მათი მოთხოვნაა, განახლდეს პროგრამა „ბათუმი — ბარაკების გარეშე“.

მოსახლეობის თქმით, მშენებარე კორპუსებში ბინების გადაცემას მათ პრეზიდენტი შეპირდა, თუმცა ახალი მთავრობა პრეზიდენტის დანაპირებს ტყუილს უწოდებს: **„ჩვენ პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლნი ვართ. პრეზიდენტი დაგვპირდა ბინების გადმოცემას, ეს მთავრობა კი ამბობს, რომ ბინები თქვენთვის განკუთვნილი არ იყო და პრეზიდენტმა მოგატყუათო. საბუთები ვნახეთ, ერთი ბინა ჩვენია, თუმცა გავიგეთ, რომ ეკომიგრანტებს უნდა გადასცენ“.**

აქციის მონაწილეებმა პლაკატებიც გამოფინეს წარწერებით: „მოვითხოვთ დაპირების შესრულებას“, „კმარა, მთავრობის უმოქმედობა, კმარა, აჭარის უუნარობა“.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ნაციონალები ხულოს გამგებელს თანამშრომლებზე ზეწოლაში ადანაშაულებენ

ნაციონალური მოძრაობის აჭარის ორგანიზაცია ხულოს გამგებელს გურამ ხოზრევანიძეს თანამშრომლებზე ზეწოლაში ადანაშაულებს.

როგორც რაულ თავართქილაძემ პარტიის ბათუმის ოფისში გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, გამგებელს გადაწყვეტილი აქვს, ხულოს გამგეობაში ახლობლები დაასაქმოს. თავართქილაძის თქმით, გურამ ხოზრევანიძე გამგეობის თანამშრომლებს, მოადგილეებს, განყოფილების უფროსებსა და თემის რწმუნებულებს ეუბნება, რომ თუ არ დატოვებენ თანამდებობებს, პროკურატურა და ფინანსური პოლიცია მათი წარსული საქმიანობით დაინტერესდება: **„გამგეობის განყოფილებების შვიდმა უფროსმა დაწერა განცხადება თანამდებობის დატოვების შესახებ, ასევე დაწერეს გამგებლის მოადგილეებმა და აღნიშნულთან დაკავშირებით, თათბირი ჩაუტარდა რწმუნებულებს, რათა დროულად დატოვონ სამსახურები. ზეწოლა შემდეგში მდგომარეობს: თუ ისინი არ დატოვებენ თანამდებობებს, პროკურატურა და ფინანსური პოლიცია შეისწავლის მათი საქმიანობის განვლილ პერიოდს“.**

რაულ თავართქილაძე სამთავრობო უწყებებს საკითხით დაინტერესებას სთხოვს.

ხულოს გამგებელი გურამ ხოზრევანიძე კი აცხადებს, რომ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია, რადგან 10-მა თანამშრომელმა განცხადება საკუთარი ნებით დაწერა. მისივე თქმით, აუდიტის სამსახურს გაწერილი გეგმა აქვს, რის მიხედვითაც, ახორციელებს სამსახურების შემოწმებას: **„რაულ თავართქილაძე და მისი ხელისუფლება 9 წლის განმავლობაში აჩანაგებდნენ ქვეყანას. რაც გააკეთეს, მადლობა, მაგრამ რაც დაანგრიეს, იმისთვის პასუხი მოეთხოვებათ. ზეწოლა არავისზე განხორციელებულა. განცხადება საკუთარი ნებით 10-მა თანამშრომელმა დაწერა. არავითარ შემთხვევაში, არავის დავმუქრებივარ. სრული უფლება მაქვს, ნებისმიერ სამსახურში შევუშვა აუდიტი და ფინანსები გადავამოწმო. გეგმის მიხედვით როგორცაა გაწერილი, თუ სად უნდა შევიდეს აუდიტი, იმის მიხედვით ვხელმძღვანელობთ“.**

გურამ ხოზრევანიძე ხულოს გამგებლად 16 აპრილს დაინიშნა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „მე, როგორც ეთნიკური აფხაზი, თანამდებობიდან მაია ფანჯიკიძის გადაყენებას მოვითხოვ!“

## რატომ უპირისპირდება საგარეო საქმეთა მინისტრს და აპროტესტებს გია ბარამიას საღონიკში საქართველოს კონსულად დანიშვნას ადა მარშანია

ირუსუდან შელია
557-100-768

**აფხაზეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე გიორგი ბარამია, რომელიც, როგორც ამბობენ, უშუალოდ, ახალაიების მიერ დანიშნული კადრი იყო, სალონიკში საქართველოს კონსულად ინიშნება. რა შეთანხმება დაიდო მმართველ გუნდსა და ბარამიას შორის, რატომ არ ინტერესდება საგარეო საქმეთა მინისტრი მისი ბეგრაუნდით და უნდა მიეცეს თუ არა აფხაზებსა და ოსებს საქართველო-რუსეთს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა? „ვერსიას“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ადა მარშანია ესაუბრა.**

— გიორგი ბარამია 2007-2009 წლებში, სანამ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნებოდა, სალონიკში საქართველოს კონსულად მუშაობდა. ახალი ხელისუფლება მას ძველ სამსახურში აბრუნებს, რაც პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ნაციონალებსა და „ქართულ ოცნებას“ შორის კოჰაბიტაციის პოლიტიკა გრძელდება.

**— გაქვთ ინფორმაცია, რა სახის გარიგება შედგა ხელისუფლებასა და გიორგი ბარამიას შორის, თუ მმართველმა გუნდმა, ახალაიებთან მოლაპარაკების ფონზე, მისი, როგორც ახალაიების კადრის ფაქტორი გაითვალისწინა?**

— ვერ ვიტყვი, გიორგი ბარამია ახალაიების კადრია თუ მერაბიშვილისა, თუმცა ფაქტია, იგი უშიშროების წარმომადგენელი იყო და დღემდეა. პირადად მე, არ მიკვირს, რომ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს უშიშროების კადრი ხელმძღვანელობდა, გასაოცარი ამ თანამდებობაზე გიორგი ბარამიას დანიშვნის პროცესი იყო. მოდი, საკითხის განხილვა ცოტა შორიდან დავიწყოთ და კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, როგორ ინიშნებოდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში. კერძოდ, ზვიად გამსახურდიას პერიოდში, როცა პოსტზე არძინბას დანიშვნის საკითხი დადგა, აფხაზეთის ადგილობრივმა დეპუტატებმა თუ ცენტრალურმა ხელისუფლებამ, აფხაზი პატრიოტების არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, გადაწყვეტილება არ შეცვალა. მაშინ აფხაზეთში კარგად იცოდნენ, რომ არძინბას დანიშვნა ომს ნიშნავდა, რადგან მისი ბუნება იყო ასეთი და, საბოლოოდ, მივიღეთ ის, რაც ქართველებსა თუ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს დღემდე მოუგვარებელ პრობლემად დაგვრჩა. გიორგი ბარამიას არძინბას ნამდვილად ვერ შევადარებ, მაგრამ იგი აბსოლუტურად დეკორატიული ფიგურა იყო და მხარდაჭერა არ ჰქონდა არც ცენტრალური ხელისუფლებისგან, რომელმაც ბარამია თანამდებობაზე მექანიკურად დაამტკიცა. სხვათა შორის, როცა ბარამია აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ინიშნებოდა, შენობის დერეფანი უშიშროების თანამშრომლებით იყო გადაჭედილი. ძალის დემონსტრირებით დაგვიმტკიცეს, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე სუსტი კადრი ინიშნებოდა.

**— სწორედ ამიტომაა გაუგებარი, ხელისუფლებას დღეს რაში დასჭირდა სუსტი კადრი — გიორგი ბარამია, მით უმეტეს, კონსულად მისი დანიშვნის ფაქტს საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები ნეგატიურად შეხვდნენ და პროტესტის ნიშნად, მასშტაბური აქციის გამართვასაც გეგმავენ.**

**— დიახ, თანამდებობაზე ბარამიას დანიშვნის პროცესიც სწორედ იმიტომ გავიხსენე, რომ კიდევ ერთხელ შემეხსენებინა ხელისუფლებისთვის — ის ავტორიტეტული ფიგურა არც ერთ სამსახურში არ ყოფილა და შესაბამისად, დღეს მე, ადა მარშანიას მაწუხებს კითხვა — რა აუცილებელი გარემოება შეიქმნა, გიორგი ბარამია კონსულის თანამდებობაზე რომ დაებრუნებინათ? ჩემ კითხვაზე პასუხს კატეგორიულად მოვითხოვ!**

**— მით უმეტეს, გიორგი ბარამიასთან დაკავშირებით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ იგი რუსეთში არა პოლიტიკური, არამედ კრიმინალური მუხლით, თაღლითობისა და ქურდობის ბრალდებით ძებნილი იყო, მოიხმარდა ნარკოტიკებს...**

— დიახ, ამ საკითხით მეც დავინტერესდი, მაგრამ როგორც ვიცი, ბარამიას ძებნილობის ფაქტი ოფიციალურად ვერ დადასტურდა. გარდა ამისა, ბევრი კითხვა იყო და მსგავსი ინფორმაციების ფონზე, ხელისუფლების გადაწყვეტილება ორმაგად გაუგებრად მეჩვენება.

**— გიორგი ბარამიას მიერ ბიოგრაფიის გაყალბებასთან დაკავშირებით, „ვერსია“ თანამდებობაზე მისი დანიშვნის პერიოდში წერდა, თუმცა როგორც მაია ფანჯიკიძე განმარტავს, მსგავსი ფაქტების შესახებ მას არც კი სმენია. საგარეო საქმეთა მინისტრი სათანადოდ ინფორმირებული არ არის თუ გიორგი ბარამიას ხელისუფლებაში დამცველები ჰყავს?**

**— სამწუხაროდ, მაია ფანჯიკიძე მის დაქვემდებარებაში არსებულ საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხებს ზერელედ უყურებს, აბა, სხვა რა უნდა დავარქვათ, როცა იმ კადრის მოღვაწეობითა და ცხოვრებით არ ინტერესდები, რომელსაც საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ნიშნავ?! მაია ფანჯიკიძეს ვურჩევ, როცა საქმე ჩვენი ქვეყნის პრესტიჟსა და, რა თქმა უნდა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იმიჯს ეხება, მეტი დაკვირვებით მოიქცეს. კონსული და ელჩი საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის სახეს წარმოადგენს და არავის აქვს უფლება, ამ მიმართულებით რომელიმე მაღალჩინოსანმა უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება მიიღოს.**

**— მაია ფანჯიკიძის კიდევ ერთ განცხადებას — აფხაზებსა და ოსებს არჩევანის საშუალება უნდა მივცეთ, საქართველოსთან უნდათ თანაცხოვრება თუ რუსეთთანო — სოციალურ ქსელში საკმაოდ უარყოფითი გამოხმაურება მოყვა. საგარეო საქმეთა მინისტრს ეთანხმებით?**

— როგორც მინიმუმ, ამ განცხადების შემდეგ მაია ფანჯიკიძე საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან უნდა გადავაყენოთ! ამას მე, როგორც ეთნიკური აფხაზი ადა მარშანია გეუბნებით, რადგან მაია ფანჯიკიძე მსგავსი განცხადებებით თეორიულად და, ალბათ, პრაქტიკულადაც, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ხელყოფს. მეტიც, კანონის მიხედვით, საქართველოს ერთიანობის ხელმყოფი ადამიანები სათანადოდაც ისჯებიან. თუ მაია ფანჯიკიძეს ამის შესახებ არაფერი სმენია, შემიძლია შევახსენო, რომ აფხაზეთში, აფხაზების გარდა, ქართველები და სხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ, რომელთათვისაც საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება საკმაოდ შემაშფოთებელი სიგნალი იქნება. იგივე შეიძლება ე.წ. სამხრეთ ოსეთზეც ვთქვათ. ასე რომ, საზოგადოებამაც ფანჯიკიძის განცხადებაზე სწორი რეაგირება უნდა მოახდინოს!

# „ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით მოიგო მხოლოდ... რუსეთმა!“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

## გელა ხვედელიძე ლაფანყურის საქმის გამოძიების გამო დააკავეს?

ორი დღის წინ, პანკისის ხეობაში ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ქისტების ოჯახის წევრებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს და საქართველოს ხელისუფლებას ცხედრებისთვის ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება კიდევ ერთხელ მოსთხოვეს, რაზეც შსს-მ თანხმობა განაცხადა. ლაფანყურის სპეცოპერაცია და მისი გამოძიება დღემდე რჩება საკითხად, რომელიც საქართველოსა და მის ახალ ხელისუფლებას, შესაძლოა, „აქილევსის ქუსლად“ ექცეს, იმის მიუხედავად, რომ პასუხისმგებლობა წინა ხელისუფლებას ეკისრება. ლაფანყური საქმე ერთ-ერთია იმ მძიმე „ნაციონალური მემკვიდრეობიდან“, რომელიც ივანიშვილის ხელისუფლებას დახვდა და რომლის გამოძიებაც ახალ მმართველ ძალას მოუწევს.

ამ მტკივნეულ და ბურუსითმოცულ თემას „ვერსიამ“ არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა. გამოძიების დასრულებამდე, მომხდარის შესახებ წიაღსვლების გაკეთებას, ობიექტური მიზეზების გამო, აღარ ვაპირებთ. უბრალოდ, ლოგიკურ ჯაჭვს გავყევით და რამდენიმე ახალი კითხვა გაგვიჩნდა, რომელიც, ძირითადად, ამ სპეცოპერაციის მიზეზებს შეიძლება უკავშირდებოდეს და რომელზე პასუხის გაცემას ახალი ხელისუფლებისთვის, სამომავლოდ, გარკვეული პრევენციული ხასიათიც ჰქონდეს — შესაძლოა, ლაფანყურში მომხდარი ინციდენტი და შემდეგ განვითარებული მოვლენები უკავშირდებოდეს საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წელს, რუსეთის იმპერიის მიერ რუსეთ-კავკასიის ომის დროს, ჩერქეზთა გენოციდის აღიარებას? ხომ არ გამოიწვია ამ ფაქტმა ჩეჩნების, ქისტების, ინგუშებისა და, ზოგადად, კავკასიელების განრისხება, რასაც შემდეგ, როგორც წინა ხელისუფლება ამტკიცებს, მათი ერთი, შეიარაღებული ჯგუფის საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრა მოჰყვა?

ამ კითხვებზე პასუხს ალბათ მაშინ ვიპოვით, როცა გავაანალიზებთ, რა მოუტანა საქართველოს, ჩერქეზთა გენოციდის აღიარებამ. სადავო არაა — ზოგადად, ჩერქეზების მიმართ სოლიდარობის გრძნობა უნდა გვქონდეს, მაგრამ რამდენად სწორი იყო მათი გენოციდის აღიარება იმ ფონზე, რომ არ გვიღიარებია ჩეჩნების გენოციდი და არც სომხებისა, რომლებმაც, სხვათა შორის, საქართველოს წინა ხელისუფლებას სთხოვეს ამის შესახებ? და საერთოდ, რას ემსახურებოდა სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან ეს აღიარება? ეს უკანასკნელი დღემდე დიდ გამოცანად რჩება კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილისთვის. მისი თქმით, რეალურად, საუკუნეების განმავლობაში ამ მიძინებული თემის გაცოცხლებას სამი მიზანი შეიძლება ჰქონოდა.

მათგან პირველი და ალბათ, ყველაზე ლოგიკური, რუსეთის გამწარებაა. ამის მისაღწევად კი, კავკასიაში გაცილებით ეფექტური თემები არსებობს, თუნდაც გაყინული კონფლიქტების სახით და წინა ხელისუფლებას მათი გამოყენება შეეძლო. ამ შემთხვევაში კი, რუსეთი, განრისხების ნაცვლად, მოგებული დარჩა: ამ გენოციდის აღიარებას, კასრელიშვილის თქმით, ჩერქეზთა სერიოზულ დიასპორებში დიდი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია. დამტკიცდა, რომ ეს გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლებამ მათთან შეთანხმების გარეშე მიიღო, მსოფლიო კი დარწმუნდა, რომ ეს თემა თითიდან გამოწოვილია.

**ზაალ კასრელიშვილი: „საქართველო პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც ჩერქეზთა გენოციდი აღიარა, რუსეთმა კი მსოფლიოს აჩვენა, რომ რეალურად, ამის მოთხოვნილება არ არსებობდა — გენოციდის აღიარება საყოველთაო ჩერქეზული სურვილი არ ყოფილა. ჩერქეზების საერთო რაოდენობა დღეს, დაახლოებით, 51 ათასია. ისინი ცხოვრობენ ყარაჩაი-ჩერქეზეთში, მაგრამ უმრავლესობა ახლო აღმოსავლეთშია გადასახლებული... მათი გენოციდის აღიარების შემდეგ, დაახლოებით 1 საათში, ჩრდილოკავკასიაში გამოჩნდა მანქანები, რომლებიც რამდენიმე წუთი, დამოუკიდებელი ჩერქეზეთის დროშებით მოძრაობდნენ. საქმე ამის იქით აღარ წასულა, რადგან ჩერქეზეთის ფარგლებსგარეთ მცხოვრებ დიდ, გავლენიან დიასპორებთან ეს აღიარება შეთანხმებული არ ყოფილა... რაც შეეხება ჩერქეზთა იმ ნაწილს, რომელიც რუსეთის ფედერაციის ფარგლებშია, ისინი იქ თავს კარგად გრძნობენ, ზოგი აქტიურად უპირისპირდება კრემლს, მაგრამ ჩერქეზ ერს, რუსეთის ფედერაციის ფარგლებსგარეთ მაინც არ განიხილავს. ასე რომ, საქართველოს ხელისუფლების ამ ნაბიჯით მოიგო მხოლოდ რუსეთმა, რომელსაც ყოველთვის ექნება წამოსაძახებელი საქართველოსთვის ეს აღიარება“.**

მეორე, რაც ამ გენოციდის აღიარების მიზანი შეიძლება ყოფილიყო, რუსეთთან ვაჭრობაა — აღიარე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, მე ვაღიარებ ჩერქეზების გენოციდს! ამაში ლოგიკა არის, მაგრამ რადგან „ჩერქეზულ ამბავს“ გაგრძელება აღარ მოჰყვა, ეს მიზანიც გამოირიცხა.

მესამე მიზანი მსოფლიოსთვის იმის დამტკიცების სურვილი შეიძლება ყოფილიყო, რომ საქართველო კავკასიის რეგიონში დღემდე ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ ჩერქეზეთის გენოციდის აღიარებას ჩეჩენ-ინგუშები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, საქართველოს პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას მათი მხრიდან პროტესტი არ მოჰყოლია. გარკვეული პერიოდი კავკასიელ ხალხთა ნაწილს იმის მოლოდინიც კი გაუჩნდა, რომ საქართველო ლიდერის პოზიციას მართლაც დაიბრუნებდა და შეინარჩუნებდა. შესაბამისად, გაჩნდა იმედი, რომ საქართველოს ხელისუფლება, გამოასწორებდა შეცდომას და თუნდაც ჩერქეზების შემდეგ, კავკასიელი სხვა ხალხების გენოციდსაც აღიარებდა. მალე გაირკვა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამგვარი ზრახვები არ ჰქონდა, რამაც, როგორც მოსალოდნელი იყო, კავკასიელების გულისწყრომა გამოიწვია.

პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი ავრცელებს ინფორმაციას, რომ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საქმეში აქტიურობდა ამერიკის, ჯეიმსთაუნის ინსტიტუტი და ამავე სახელწოდების ფონდი. მათი შექმნა, ზბიგნევ ბჟეზინსკის სახელს უკავშირდება, „ჯეიმსთაუნის“ ფონდს კი, ახლო ურთიერთობა ჰქონდა თბილისში, „კავკასიის ფონდთან“, რომელიც 2008 წელს შსს-მ და კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა შექმნეს. მისი ფარული მიზანი კი იყო, ჩრდილოეთ კავკასიაში დაძაბულობისა და არეულობის მოსაწყობად, ხალხის გადმობირება.

თუ ჩერქეზების გენოციდის აღიარების მიზეზი არც ამერიკის ინტერესია რუსეთის წინააღმდეგ, გამოდის, ეს მხოლოდ პიარკამპანიის ნაწილი ყოფილა, რომელსაც ზაალ კასრელიშვილი „ცრუ და მანკიერ მანევრს“ უწოდებს. კასრელიშვილი „ვერსიას“ უმხელს, საქართველოს ხელისუფლებას როგორი თანმიმდევრობით, რა ნაბიჯები უნდა გადაედგა, რომ კავკასიის ხალხები არ გაენაწყენებინა: **„ჯერ უნდა გვეღიარებინა ჩეჩნეთისა და ინგუშეთის დამოუკიდებლობა და გენოციდი, მერე სოლიდარობა გამოგვეცხადებინა დაღესტნისთვის, მერე — გვეღიარებინა ჩერქეზების გენოციდი და ამის მერე შეიძლება გველაპარაკა სომხების გენოციდზე“.**

აი, ეს უკანასკნელი კი, ნებისმიერ შემთხვევაში ჩიხია საქართველოსთვის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სომხების გენოციდი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას არა მარტო თურქეთის, არამედ მსოფლიოს ძალიან ბევრი ქვეყნისთვის და მეორეც — სომხეთის გენოციდის არაღიარება, მეზობელ სომხებთან გაგვიფუჭებდა ურთიერთობას, აღიარება კი — აზერბაიჯანსა და თურქეთთან.

ამ ეტაპამდე არ მივსულვართ, მაგრამ სომხების უკმაყოფილება მაინც დავიმსახურეთ და, პრინციპში, საფუძვლიანადაც. მათთვის დღემდე გაუგებარია, ჩერქეზების გენოციდს თუ ვაღიარებთ, რატომ არ ვაკეთებთ ამას სომხების შემთხვევაში. იგივე გაურკვევლობაში აღმოჩნდნენ ჩეჩნები, ინგუშები, ქისტები... ამ ფონზე, ლოგიკურად ჩნდება კითხვა, საქართველოს წინა პარლამენტის მიერ 2011 წლის 20 მარტს მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოსა და მისი დღევანდელი თუ მომავალი ხელისუფლებისთვის, არის თუ არა ნაღმი, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს? ფაქტს ასე ტრაგიკულად ვერ აღიქვამს ზაალ კასრელიშვილი, მაგრამ „ვერსიას“ ეთანხმება, რომ ნებისმიერ დროს, კავკასიელ ხალხებს ექნებათ საშუალება, საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვონ, ჩემი გენოციდიც აღიარეო. ეს „მოთხოვნა“ კი, რა ტონით მოხდება ან რა ფორმით, არავინ უწყის.

რაც შეეხება ლაფანყურს, ზაალ კასრელიშვილი ჩერქეზთა გენოციდის აღიარებას, ჩეჩნების, ინგუშების, ქისტების... განაწყენებასა და ამ სპეცოპერაციას შორის, კავშირს ვერ ხედავს. **„ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეს სპეცოპერაცია, რუსეთის სპეცსამსახურებთან გარიგებული აქტი მგონია. თითქმის დარწმუნებული ვარ, ასე იყო — საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება, ამ ჯგუფის ლიკვიდაციას, სხვაგვარად ვერ გაბედავდა, რასაც განვითარებული მოვლენების თანმიმდევრობაც ადასტურებს — 15 აგვისტოს კლავენ კავკასიური ერთიანობის იდეის მხარდამჭერ უსერიოზულეს ავტორიტეტ შეიხს, 16-ში ზუსტად იმ მონაკვეთში შემოდის რუსეთის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები და 17 აგვისტოს იწყება ბრძოლა ვაჰაბიტების წინააღმდეგ“.**

ზაალ კასრელიშვილი აცხადებს, რომ სწორედ ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიებას ელოდება დღეს სულმოუთქმელად მთელი კავკასია: **„კავკასიის ხალხები ელოდებიან გამოძიების დასრულებას. აინტერესებთ, როგორ გზას აირჩევს საქართველოს ახალი ხელისუფლება — სიმართლის თუ კვლავ პიარის.**

**პირადად მე, დარწმუნებული ვარ, გამოძიება ობიექტურად ჩატარდება და ყველაფერი გაირკვევა. ეს მოლოდინი განსაკუთრებით მას შემდეგ გამიმძაფრდა, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა თავისი პირველი მოადგილე გაათავისუფლა და დააკავა. ეს ფაქტი, შემთხვევით არ დაემთხვა იმას, რომ გამოძიება თითქმის დასასრულისკენ მიდის. გელა ხვედელიძე და ლაფანყურის საქმეში მთავარი ფიგურა გიორგი ლორთქიფანიძე ახლო ნათესავები არიან. ხვედელიძე კაგებე-ს ყოფილი თანამშრომელია, რომელიც ამ სქემასა და, საერთოდ, „ქართულ ოცნებაში“ შემთხვევით არ მოხვდა. მაინტერესებს, ვინ იყო ამ ადამიანის რეკომენდატორი... ასე რომ, ხვედელიძის დაკავება მხოლოდ ფარესაშვილის კადრების გავრცელებას არ უკავშირდება, ის შეიძლება მხოლოდ საბაბი გახდა... დარწმუნებული ვარ, მან ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ ბევრი რამ იცის და... უახლოეს მომავალში, ყველაფერს ფარდა აეხდება“.**

უკავშირდება თუ არა ხვედელიძის დაპატიმრება ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიებას, დრო გვიჩვენებს, ის კი ცხადია — ამ საქმის გამოძიებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული, მათ შორის ისიც, შეძლებს თუ არა საქართველო კავკასიაში ლიდერის პოზიციის დაბრუნებას. **„თუ ეს ხელისუფლება გამოძიებას არაობიექტურად წარმართავს, ამას კავკასიაში სერიოზული პრობლემები მოყვება და საქართველოს ლიდერობა რეგიონში უფრო დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ეს რუსეთისა და დასავლეთის სპეცსამსახურებს მისცემს საშუალებას, კავკასიაში თავისი, დამოუკიდებელი არხებით იმოქმედონ, თუმცა დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ხელისუფლება, კაცობისა და სიმართლის გზას დაადგება და ამ საქმეს ობიექტურად გამოიძიებს“.**

ვერსიანიუსი

## შპს Iphone +-ის ხელმძღვანელები დააკავეს

შპს Iphone +-ის ხელმძღვანელი პირები საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე დააკავეს. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, დაკავებულნი არიან Iphone +-ის დამფუძნებელი, რომელიც ამავდროულად, გენერალური დირექტორიცაა, ასევე, მენეჯერი და მენეჯერის თანაშემწე.

აღნიშნული პირების მიმართ საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს და ბრალი წაყენებული ჯერ არ აქვთ. **„ისინი ამჟამად იმყოფებიან ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში და მათ მიმართ მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. ბრალი წარედგინებათ კანონით განსაზღვრულ ვადებში“,** — აღნიშნეს საგამოძიებო სამსახურში.

დღის განმავლობაში აღნიშნული შპს-ს სავაჭრო ობიექტები დაკეტილია.

*„ინტერპრესნიუსი“*

## დაკავებული ქართველების საქმეში საქართველოს საკონსულოები ჩაერთნენ

ესპანეთსა და იტალიაში დაკავებული ქართველების საქმეში საქართველოს საკონსულოები აქტიურად არიან ჩართულნი, — აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი.

მისი ინფორმაციით, ქვეყნის საგარეო უწყება ორივე ქვეყნის შესაბამის სტრუქტურებთან კავშირშია და სწორედ მათთან შეთანხმებით, მიიღებენ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

წინასწარი ინფორმაციით, ესპანეთსა და იტალიაში ქართველები ძარცვის ბრალდებით არიან დაკავებულნი.

*„ინტერპრესნიუსი“*

## „როსპოტრებნადზორმა“ კონიაკის ხუთ სახეობაზე უარი თქვა

რუსული მედიის ცნობით, კომპანია „ძმები ასკანელების“ მიერ წარმოებული კონიაკის ხუთ სახეობას „როსპოტრებნადზორმა“ რუსეთში რეგისტრაციაზე უარი უთხრა. **„ამას კონიაკსაც კი ვერ ვუწოდებთ. მათ მიერ წარმოდგენილი კონიაკები საკონიაკე სპირტსაც კი არ შეიცავს“,** — განაცხადა რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშჩენკომ, რომელმაც ქართული კონიაკის ამ სახეობებს „წარსულის გადმონაშთი“ უწოდა.

თუმცა „ძმები ასკანელების“ მიერ წარდგენილმა ღვინის ცხრა სახეობამ რეგისტრაცია გაიარა, „როსპოტრებნადზორში“ თითქმის დასრულებულია ქართული ღვინის კომპანიების – „ბადაგონისა“ და „ბატონოს“ რეგისტრაცია.

„როსპოტრებნადზორში“ რეგისტრაცია უკვე გაიარეს კომპანიებმა — „ქინძმარაულის მარანი“, „დუგლაძეების ღვინის სახლი“, „ალავერდი“, ღვინისმწარმოებლებმა – „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა“, „მარნისკარი“ და „საირმე“, ასევე მინერალური წყლის „ბორჯომის“ მწარმოებელმა კომპანიამ IDS Borjomi International.

კომპანია „ასკანელი ძმები“ გენადი ონიშჩენკოს განცხადებას ოფიციალური განცხადებით გამოეხმაურა, სადაც ვკითხულობთ: **„კომპანია „ასკანელი ძმები“ 15 წელზე მეტია, პროდუქციას ყიდის მრავალ ქვეყანაში, მათ შორისაა: უკრაინა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესტონეთი, ინდოეთი, ჩინეთი, აშშ და სხვა. კომპანიის პროდუქტის მაღალი ხარისხის დასტურია სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენასა და დეგუსტაციაზე მიღებული ასზე მეტი ჯილდო.**

**კომპანიის მენეჯმენტისთვის მოულოდნელი იყო ონიშჩენკოს ამგვარი განცხადება. ვფიქრობთ, ადგილი აქვს გაუგებრობას. ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, „როსპოტრებნადზორში“ გაგზავნილია ოფიციალური წერილი და ველით შესაბამის პასუხს“.**

*„ვერსიანიუსი“*

# თუ დანაშაული ჩავიდინე, მზად ვარ, სრული სიმკაცრით ვაგო პასუხი!

რუსუდან შელია
557-100-768

**11 მაისს, რესტორან „ლა ტრუფეში“ განვითარებული მოვლენების შესახებ რამდენიმე ვერსია გავრცელდა. ნაცემი ნაციონალები ინციდენტში „ობიექტივის“ ჟურნალისტს მამუკა ბაკურიასა და მასთან ერთად რესტორანში მყოფ მეგობრებს ადანაშაულებენ, მეორე მხარე კი, პირიქით, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს პროვოკაციის მოწყობაში სდებს ბრალს. საპარლამენტო უმცირესობის დაზარალებული წევრის, დავით საყვარელიძის განცხადებით, ბაკურია და მისი მეგობრები ყოფილი სახელისუფლო გუნდის მიმართ თავიდანვე აგრესიულად განეწყნენ: „ფაქტობრივად, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩხუბის პროვოცირება მოეხდინათ. დეტალურად ვუყურებდი და თვალ-ყურს ვადევნებდი ინციდენტს, განსაკუთრებით, ნიკა მელიასთან მიმართებაში, როდესაც მამუკა ბაკურიას მეგობარმა ჩემთან მომავალი ნიკა მელია გააჩერა და აგრესიულად ლაპარაკი დაუწყო. ეს ყველაფერი ჩემი თვალით დავინახე, რის შემდეგაც მათთან სიტუაციის განსამუხტად მივედი. გამოძიებას ყველა ჩვენება და დეტალი მივაწოდე და თუ რამე დამატებითი გახდა ჩემი მხრიდან საჭირო, გამოძიებასთან აუცილებლად ვითანამშრომლებ “, — აცხადებს დავით საყვარელიძე. მამუკა ბაკურიამ კი, „ლა ტრუფეში“ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით 13 მაისს, „ობიექტივის“ ოფისში ბრიფინგი გამართა და მედიის წარმომადგენლებს დაპირისპირების საკუთარი ვერსია გააცნო. მამუკა ბაკურია „ვერსიასთან“ ინციდენტის დეტალებს იხსენებს.**

— „ლა ტრუფეში“ დიდი ხანია დავდივარ. 11 მაისს, მეგობარმა მანანა გიორგობიანმა მითხრა, ბარში წავიდეთ, მუსიკას მოვუსმინოთ, თან ცოტა დავლიოთო. როცა თამარაშვილის ქუჩის დაღმართს მივუახლოვდით, შავი „ჯიპების“ კოლონა შევნიშნეთ, მაგრამ რესტორანი პრესტიჟული დაწესებულებაა და ძვირადღირებული მანქანების რიგი არ გამკვირვებია. რესტორანში შევნიშნე, რომ მიხეილ სააკაშვილი თინა ბოკუჩავასა და ჩემთვის უცნობ მამაკაცსა და ქალთან ერთად საუბრობდა. დანარჩენ მაგიდებთანაც ნაციონალური მოძრაობის სხვა წარმომადგენლები ისხდნენ, მათ შორის ვანო მერაბიშვილი, დავით საყვარელიძე, გიორგი ვაშაძე, ლევან ბეჟაშვილი... ჩემს მეგობარს ვუთხარი, აი, დარდი, ნაციონალები არიან, მერე რა, ისხდნენ თავისთვის-მეთქი, რის შემდეგაც კლუბში გართობა გავაგრძელე. ცოტა ხანში მეგობრები, ხათუნა და ბექა მაზიაშვილი შემოგვიერთდნენ.

**— დაშავებული ნაციონალები ამტკიცებენ, რომ თქვენ პათოლოგიურად მთვრალ მდგომარეობაში მყოფნი ხმაურობდით, უწმაწურ სიტყვებს ყვიროდით, ბექა მაზიაშვილმა კი იქვე მყოფ მთაწმინდის გამგებელ ნიკა მელიას პროვოკაციული კითხვები დაუსვა. ჩხუბი შენ დაიწყე?**

— მაგიდასთან ვიჯექი და ჰაერში ვიგინებოდი?! ჩემი იმიჯის მქონე, ჭაღარა მამაკაცს ეს არ შეეფერება, მით უმეტეს, ამ რესტორანში ყოველთვის ვცდილობ, სოლიდურად გამოვიყურებოდე. ყველაფერი კი ასე დაიწყო: ნიკა მელია ჩვენი მაგიდის უკან იჯდა, ცოტა ხანში წამოდგა და ბექა მაზიაშვილს მიესალმა. აღმოჩნდა, რომ უბნელები და სკოლელები არიან... წესით, ყველაფერი ჩვეულებრივი მისალმებით უნდა დასრულებულიყო და მელიას ვისკის დალევა გაეგრძელებინა, მაგრამ ასე არ მოიქცა, პირიქით, ჩემ მეგობარ ბექას ფამილარულად, აგდებულად და თავხედურად რამდენჯერმე მხარზე ხელი შემოარტყა, რაზეც, რა თქმა უნდა, აღვშფოთდი.

**— მელიას ფამილარობამ რატომ აღგაშფოთა, თუ თავად ამბობ, რომ ისინი დიდი ხნის ნაცნობები არიან?**

— არა, უბრალოდ, წყნარად ვუთხარი, ჩვენ ჩვენთვის ვართ, თქვენ თქვენთვის იყავით-მეთქი. მელიამ ისევ აგდებულად მიპასუხა — ვეფერებიო. ამ დროს შუაში ჩავდექი და ზუსტად მელიას ჟესტი გავიმეორე, რა დროსაც, ნაციონალური მოძრაობის წევრები მაგიდებიდან წამოფრინდნენ და გინება დაიწყეს. ასე რომ, პირველი ფიზიკური შეურაცხყოფა მათი მხრიდან დაიწყო. ამ დროს, ნიკა მელიას უკნიდან ვიღაცამ მუშტი მოიქნია და ბექას სახეში ჩაარტყა. ასე დაიწყო ჩხუბი, ჭურჭლის ლეწვა... ამ დროს სააკაშვილი და მერაბიშვილი უკვე რესტორნიდან გასულები იყვნენ, დარჩენილი 20 კაცი ერთდროულად დაგვესია, სხვათა შორის, ამ ორომტრიალში ერთმანეთიც კი ვერ გაარჩიეს და ერთმანეთსაც ურტყამდნენ.

**— დათო საყვარელიძეს, ზაზა გოროზიასა და გიორგი ვაშაძეს ფიზიკური დაზიანებები საკუთარმა თანაგუნდელებმა მიაყენეს? ისიც საინტერესოა, 20 ადამიანის „შესევის“ ფონზე, გარეგანი დაზიანებები შენ რატომ არ აღგენიშნება?**

— არა, იცით, განსაკუთრებული აგრესია ბექას მიმართ ჰქონდათ, მე კი მის დაცვას ვცდილობდი. ჩემი მეგობარი სასტიკად ნაცემია, ყვრიმალზე 7 ნაკერი ადევს, ტვინის შერყევა აქვს. რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების დაზიანებებს, ეს ფაქტი ჯერ კიდევ გამოსაძიებელია, რადგან დარწმუნებული ვარ, დავით საყვარელიძემ ყალბი ტომოგრაფია გაიკეთა — „ავერსის“ კლინიკაში მისი დედა მუშაობს, ასე რომ, ყალბი დასკვნის დაწერა არ გაუძნელდებოდა. ის საკმაოდ უზრდელია და კარგად იფურთხება. ჩხუბის შემდეგ, სიტუაცია რომ განეიტრალდა, რესტორნის ზედა სართულზე ავედი, რომ დავბრუნდი მანანა გიორგობიანს კისერზე, ყელსა და ნიკაპზე ჩალურჯებები ჰქონდა.

**— სხვათა შორის, ინციდენტის შემდეგ გიორგობიანმა განაცხადა, დაზიანებები 20 ნაციონალში „ბზრიალად“ ღირდაო... ინციდენტი ამით ამოიწურა?**

— არ ვიცი, მანანას განცხადების შესახებ, როცა მანანა ვნახე, აღშფოთებულმა ვიკითხე, ეს რომელმა გარეწარმა გააკეთა-მეთქი, რასაც აგრესიის მორიგი ტალღა, დედის გინება და იერიში მოყვა, თუმცა უკვე პატრულმა გაგვაშველა. მანანას ვინ დაარტყა, სახელი არ ვიცით, მაგრამ ამბობს, რომ მისი ამოცნობა შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება მაქვს, ნამდვილად არ შემქმნია პრობლემა, ნაციონალები კლუბში ჩვენთან ერთად ყოფილიყვნენ, თუმცა ინციდენტის მთავარი მოქმედი პირი ნიკოლოზ მელია იყო.

**— რესტორნებში მსგავსი პოლიტიკური გარჩევები „მხედრიონის“ პერიოდში ხდებოდა. წარსულს დავუბრუნდით თუ, მსგავსი აქტიურობა რას უნდა დავუკავშიროთ?**

— არ ვიცი, ეს ვაშაძესა და იმ ნაძირლებს ჰკითხეთ, რომლებიც თავს დაგვესხნენ. მათ აწყობთ მსგავსი პროვოკაციები, რათა საზოგადოებაში საწყალი ადამიანების იმიჯი შეიქმნან. ნაციონალებს გაცვეთილი კოზირი აქვთ — პოლიტიკურად გვდევნიან. ნამდვილად არ მაქვს ამბიცია, ვიღაც პოლიტიკოსს კუდში ვდიო. ადრე, როცა მსგავსი შემთხვევები ხდებოდა, ნაციონალები მათთან დაპირისპირებულ ადამიანებს კოჯრის ტყეში მიათრევდნენ და წამებით კლავდნენ. მათდა საუბედუროდ, ახლა ამის საშუალება არ აქვთ. ამ ინციდენტს ჩემს საქმიანობასაც ვუკავშირებ და ვფიქრობ, ნაციონალებმა „ობიექტივის“ წინააღმდეგ პროვოკაცია შეგნებულად დაგეგმეს, რადგან მათი მმართველობა სწორედ მედიაკავშირმა „ობიექტივმა“ დაასრულა.

**— თუმცა ცნობილია, რომ თინა ხიდაშელის მამიდაშვილი ხარ. ბევრი იმასაც ამბობს, „რესპუბლიკელების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ე.წ. კრიშა გყავს.**

— მე ადრეც ვბლატაობდი! ჩემ სუფრასთან მყოფი მანდილოსანი ვიღაც ნაძირალა დეპუტატმა ცემა და ამაზე რეაქცია თუ მქონდა, ეს სითამამედ რატომ უნდა ჩავთვალოთ? ასე, რომ არ მოვქცეულიყავი, საზოგადოებამ განსაჯოს, რა ვიქნებოდი. რაც შეეხება თინა ხიდაშელს, საქართველო ისეთი ქვეყანაა, ყველა ერთმანეთის ნათესავია. თუ საზოგადოებას აინტერესებს, დაგიდასტურებთ, რომ თინა ჩემი ნათესავია. დედაჩემი გვარად ხიდაშელია, თუმცა ახლა ზუსტად ვერ განსაზღვრავ, თინა ხიდაშელი ჩემი გარე ბიძაშვილია თუ დეიდაშვილი. უბრალოდ, ნათესავია. მასთან ურთიერთობა არ მაქვს. ზოგადად, კონფლიქტური არ ვარ, მაგრამ თინა ხიდაშელთან დიდი ხანია, კარგი ურთიერთობა არ მქონია. წლებია, მასთან კონტაქტი გავწყვიტე და საერთოდ, ამ საკითხზე საუბარი არ მინდა. მეც გავიგე, რომ თურმე გამოძიებამ ჩვენება იმიტომ არ ჩამომართვა, რომ თინა ხიდაშელი მფარველობს. არადა, ინციდენტის შემდეგ პოლიციაში პირველი მივედი და დეტალებიც მოვყევი. ასე რომ, ე.წ. კრიშაზე საუბარი აბსურდია. თუ დანაშაული ჩავიდინე, მზად ვარ, სრული სიმკაცრით ვაგო პასუხი!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# კორუფციული სქემა, რომლითაც სახელისუფლებო ჯაჭვმა ორთაჭალჰესი მეიჯარეს წაართვა

**ორთაჭალჰესის ყოფილი მმართველი კომპანია „ორთაჭალენერჯი“ პროკურატურას უკვე დაწყებული გამოძიების დასრულებას სთხოვს. ყოფილი მმართველები აცხადებენ, რომ საქმე, რომელშიც კითხვის ნიშნები არ არსებობს და გამოძიება 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაიწყო, პროკურატურამ უყურადღებოდ დატოვა და დროში გაწელა. 2008 წელს, ეკონომიკის სამინისტროს ინიციატივით, ორთაჭალჰესი ყოფილ მმართველს წაართვეს და ჩეხურ „ენერგო-პრო ჯორჯიაზე“ გაყიდეს. „ორთაჭალენერჯის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თემურ ჭიჭინაძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ამ კორუფციულ სქემაში მაშინდელი ექსპრემიერი, ზურაბ ნოღაიდელი ფიგურირებდა, რომლის უშუალო მითითებით, ჩეხურმა კომპანიამ ორთაჭალჰესი შეძინა.**

თემურ ჭიჭინაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ბოლო წლებში განხორციელებული ჩუქება-გადაფორმების საქმეებისგან განსხვავებით, ორთაჭალჰესის საქმე იშვიათი გამონაკლისია: **„ჩვენს შემთხვევაში, ძალადობის განხორციელების პირველივე დღიდან დავიწყეთ სამართლებრივი დავა სახელმწიფოსთან, რომელიც ამ ეტაპზე, უკვე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომდეა მისული. საკუთრების შელახული უფლების სრულად და უპირობოდ აღდგენას, ასევე ზარალის სრულად ანაზღაურებას ვითხოვთ. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, ვფიქრობთ, საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებში მივაღწევთ სასურველ შედეგს და სახელმწიფო გათავისუფლდება სოლიდური ხარჯისგან, რასაც სტრასბურგის სასამართლო, სავარაუდოდ, ჩვენს სასარგებლოდ დააკისრებს. ამ მოტივით შევიტანეთ განცხადება მთავარ პროკურატურაში რამდენიმე თვის წინ, საქმე აღიძრა, მაგრამ ჯერ მხოლოდ ჩვენი მხარე დაკითხეს და არც გამოძიების პროცესის დაჩქარებას უჩანს პირი“.**

ყველაფერი ასე დაიწყო: შპს „ორთაჭალენერჯი“, რომელიც 1994 წლიდან, იჯარისა და ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად მართავდა სახელმწიფო ქონებას ანუ ორთაჭალჰესს, 2008 წლის ბოლოს, საიჯარო ვადის ამოწურვამდე 11 წლით ადრე, კანონმდებლობის უხეში დარღვევით, გააძევეს ობიექტიდან. მეიჯარე სახელმწიფო კომპანია „ორთაჭალჰესი 2007“-მა, რომლის მესაკუთრე- ბენეფიციარი საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო იყო, „ორთაჭალენერჯის“ ცალმხრივად შეუწყვიტა იჯარა და ამით კანონი დაარღვია. თემურ ჭიჭინაძის თქმით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ლიზინგი ანუ ფინანსური იჯარა მოქმედებდა და კომპანიას ობიექტზე უკვე რამდენიმე მილიონიანი ინვესტიცია ჰქონდა განხორციელებული: **„ვითარებას ამძაფრებს ის, რომ იჯარის შეწყვეტის გადაწყვეტილებამდე რამდენიმე თვით ადრე, იმავე „ორთაჭალჰესი 2007“-ის მოთხოვნით, ახალი შეთანხმება შედგა, რაც იჯარის ღირებულების გასამმაგებას ითვალისწინებდა და ასევე იმას, რომ ეს ნიხრი, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, არ უნდა შეცვლილიყო. ამ უკანონობაზე, წერილებით მივმართეთ „ორთაჭალჰესი 2007“-საც და ეკონომიკის სამინისტროსაც. პარალელურად, სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ. ყველა ინსტანციაში წავაგეთ. ბიზნესის ტერორის ეპოქაში, სხვა შედეგს არც კი ველოდით, ამიტომ სტრასბურგის სასამართლოს მივმართეთ. ძალადობრივი გზით იჯარის შეწყვეტის შემდეგ, ეკონომიკის მაშინდელმა მინისტრმა ლაშა ჟვანიამ, სასწრაფო წესით, აუქციონზე გასაყიდად გაიტანა ამავე სამინისტროს კუთვნილი „ორთაჭალჰესი 2007“ — კომპანია, რომლის ბალანსზეც ირიცხებოდა ორთაჭალჰესი. უალტერნატივო მყიდველი ჩეხური კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“ აღმოჩნდა, რომელმაც ეს აქტივი საოცრად მაღალ ფასად — 25 000 000 აშშ დოლარად შეიძინა. არადა, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ხელმძღვანელობა წერილობით და ოფიციალურადაც გავაფრთხილეთ, რომ გასაყიდ ობიექტთან დაკავშირებით, სასამართლო დავა მიმდინარეობდა და, ცხადია, კეთილსინდისიერ მყიდველად არ ჩაითვლებოდა“.**

თემურ ჭიჭინაძის თქმით, ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, ამ საქმეში საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) და საჯარო რეესტრის ეროვნულო სააგენტოც მონაწილეობდა. სემეკ-მა „ენერგო-პრო ჯორჯიას“, ობიექტის დაპატრონებიდან რამდენიმე დღეში, ის ტარიფი გადაუფორმა, რომელიც თემურ ჭიჭინაძის კუთვნილ კომპანიას ეკუთვნოდა და რისი უფლებაც არ ჰქონდა. რაც შეეხება საჯარო რეესტრს, გაურკვეველი პიროვნების განცხადების საფუძველზე, უკანონოდ და ცალმხრივად გააუქმა იჯარის ხელშეკრულება მაშინ, როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ სასამართლო დავა მიმდინარეობდა: **„რა თქმა უნდა, სემეკ-ისა და საჯარო რეესტრის წარმომადგენლების ქმედება დასჯადია, მაგრამ იმ პერიოდში, არავინ დასჯილა. არადა, ორივე ორგანიზაციის „მოღვაწეობის“ ისტორია სავსეა ასეთი და ამაზე უარესი გადაწყვეტილებებით და თუ ოდესმე პროკურატურა მოიცლის, შესაძლოა, ორთაჭალჰესის საქმე აღმოჩნდეს გასაღები, რომლითაც სემეკ-ისა და საჯარო რეესტრის უკანონო გადაწყვეტილებებს გამოიძიებენ. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი კომპანიის მიერ ინვესტირებულ ტექნიკურ საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებს, რომლებიც ახლაც კი ჩვენს ბალანსზეა, მართავს და მათით სარგებლობს „ენერგო-პრო ჯორჯია“. ყველაზე უარესი კი ისაა, რომ არც ქონებათა გამიჯვნა და არც კომპენსაციის საკითხის დასმა, არავის აზრად არ მოსდის. სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით (რაც ითვალისწინებს მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნასა და ქონების გადასახადის სახით, გადახდილი თანხის დაბრუნებას), ჩვენს მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელი, საქალაქო სააპელაციო ინსტანციაში უკვე იხილება. იმედი გვაქვს, სასამართლო ახლა მაინც გადაწყვეტს ობიექტურად ამ საქმეს და მოპასუხეს იმას დააკისრებს, რაც კანონით ეკუთვნის. ჩვენი 100-კაციანი კოლექტივის მსგავს მდგომარეობაში ასობით ბიზნესი და ათასობით ადამიანი აღმოჩნდა. კარგად გვესმის, რომ პროკურატურა ერთია და სახელმწიფოსთან ქონებრივი დავის საქმე — ათასი, მაგრამ მაინც გაუგებარია, სისხლის სამართლის საქმე რატომაა შეჩერებული, გამოძიებას მოპასუხე მხარე არც კი დაუკითხავს“.**

თემურ ჭიჭინაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ თუკი პროკურატურა ენერგიულად შეუდგება სახელმწიფოსთან ქონებრივი დავების საქმეების გამოძიებას, ამით საზოგადოებაში ისედაც გაჩენილ ეჭვებსა და კითხვებს მოხსნის. მეტიც, „ორთაჭალენერჯის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ დროა, პროკურატურამ ერთი პრეცედენტი მაინც შექმნას, როდესაც სახელმწიფოსთან ქონებრივი დავის საქმეზე გამოძიებას დაასრულებს.

„ვერსიის“ კითხვაზე, კონკრეტულად, ვინ უშლის ხელს გამოძიებას, ან წინა ხელისუფლების რომელი მაღალჩინოსნის ინტერესი იკვეთება ორთაჭალჰესის მითვისების საქმეში, თემურ ჭიჭინაძემ გვიპასუხა, რომ ამ საქმეში საქართველოს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, ზურაბ ნოღაიდელი ფიგურირებს: **„საქართველოში ზურაბ ნოღაიდელის „ენერგეტიკული ხანა“ ჯერ კიდევ 2002 წლიდან დაიწყო, როდესაც საკონსულტაციო კომპანია შექმნა და სხვადასხვა კომპანიას, ეკონომიკურ-ფინანსურ კონსულტაციებს უწევდა. ზურაბ ნოღაიდელის ინტერესი იკვეთება ჩეხურ „ენერგო-პრო ჯორჯიაშიც“. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მწვანე შუქი ნოღაიდელმა კი აუნთო, მაგრამ პრემიერობიდან მისი წასვლის შემდეგაც, ნიკა გილაური და ენერგეტიკის მაშინდელი მინისტრი, ალეკო ხეთაგურიც იგივეს აგრძელებდნენ. დარწმუნებული ვარ, ორთაჭალჰესი „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ზურაბ ნოღაიდელის მითითებით შეიძინა, მაგრამ ამ ობიექტს ისეთი ეკონომიკური ღირებულება არ აქვს, რომლის ხელში ჩაგდებაზე ნებისმიერი ინვესტორი იოცნებებდა. ეს ჰესი, 12 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რაც საერთო სისტემას ემატება და რასაც „თელასს“ ვაწვდიდით. ორთაჭალჰესის დანიშნულებაა, თბილისის მეტროპოლიტენის უავარიო მუშაობას შეუწყოს ხელი. ისეთი სისტემა შევქმენით, თუ მოულოდნელად ქალაქში სინათლე გაითიშება, ამ ჰესის საშუალებით, მეტროპოლიტენს ელექტროენერგია მიეწოდება და მგზავრები მეტროში არ დარჩებიან. როგორც ჩანს, „თელასისა“ და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გარდა, მაშინდელმა ხელისუფლებამ, ამ ბაზარზე სხვა მოთამაშე ვერ აიტანა და ეს იყო მიზეზი, რის გამოც ორთაჭალჰესი წაგვართვეს, თორემ ამ ობიექტს განსაკუთრებული ეკონომიკური ეფექტი არ აქვს“.**

„ვერსია“ ჩეხური კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, **ავთო დვალიშვილს** დაუკავშირდა, რომელმაც ვრცელი კომენტარი გამოგვიგზავნა:

**„2008 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, აუქციონზე გასაყიდად გაიტანა შპს „ორთაჭალჰესი 2007“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი, რომლის საწყისი ფასი 25 000 000 აშშ დოლარს შეადგენდა. აუქციონის მოთხოვნის თანახმად, ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“, მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა აუქციონში. კომპანიამ, საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით, შპს „ორთაჭალჰესი-2007“ 25 250 000 აშშ დოლარად შეიძინა. 2009 წლის 19 თებერვლიდან, სახელმწიფო ბიუჯეტში ქონების ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ, რაც ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი სავალუტო კურსის შესაბამისად, 42 088 250 ლარი იყო, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მესაკუთრე ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“ გახდა. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ, საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე, ლიზინგი-ფინანსური იჯარის ხელშეკრულება უკვე შეწყვეტილი იყო, ორთაჭალჰესის ტერიტორიაზე არსებული უძრავ-მოძრავი ქონება იპოთეკური ან სხვა ვალდებულებით დატვირთული არ ყოფილა და სრულად იმყოფებოდა მესაკუთრის – შპს „ორთაჭალჰესი 2007“-ის პირდაპირ და უშუალო მფლობელობაში. ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას იცავს. აუქციონის პირობებისა და ეკონომიკის სამინისტროსთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების შესაბამისად, ქონების ღირებულების (საპრივატიზაციო თანხის) სრულად გადახდის გარდა, ახალი მესაკუთრის ერთადერთ ვალდებულებას წარმოადგენს, ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის, არანაკლებ 70%-ის გამომუშავება. თუმცა ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, დღევანდელი მდგომარეობით, ჰესი დადგმული სიმძლავრის 90%-ს გამოიმუშავებს. რაც შეეხება ქონების გადასახადის საკითხს, იჯარის ხელშეკრულების გაუქმების მომენტიდან, ორთაჭალჰესის ტერიტორიაზე არსებულ უძრავ-მოძრავ ქონებაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“ სრული მოცულობით იხდის. რაც შეეხება ზურაბ ნოღაიდელის ინტერესს „ენერგო-პრო ჯორჯიაში“, კატეგორიულად უარვყოფთ რაიმე ტიპის კავშირს მასთან და საერთოდ, ყველა პოლიტიკურ ჯგუფთან. „ენერგო-პრო ჯორჯია“ ბიზნესკომპანიაა და საქართველოში ბიზნესის საკეთებლად შემოვიდა“.**

ორთაჭალჰესის საქმე ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, სადაც დაზარალებული ბიზნესმენები კითხვებზე პასუხებს პროკურატურისგან და შემდგომ სასამართლოსგან ითხოვენ. ფაქტია, რომ ქონებრივი დავების გამოძიების პროცესი გაჩერებულია. რატომ? — კითხვაზე პასუხი არც მომჩივნებს აქვთ და არც საზოგადოებას...

„ვერსია“ საქართველოს მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, **ხათუნა პაიჭაძეს** დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ „ორთაჭალენერჯის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, თემურ ჭიჭინაძის სარჩელი პროკურატურაში 2013 წლის 19 იანვარს შევიდა:

**„ეს საქმე 01/13-833887 შევისწავლეთ, შემდგომი მოკვლევისა და რეაგირების მიზნით კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადავუგზავნეთ“.**

„ვერსია“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსს, **ნათია სუხიაშვილს** დაუკავშირდა. მისი თქმით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ამ საქმეზე ინტენსიურ გამოძიებას ატარებს და, შესაბამისად, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებს არ აკონკრეტებენ.

## ავღანეთში დაჭრილი ქართველების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება!

ავღანეთის საერთაშორისო მისიაში მონაწილე ქართველი სამხედროების ბაზაზე, 12 მაისს მომხდარი ყველაზე მასშტაბური ტერორისტული თავდასხმის შედეგად დაჭრილი ქართველი ჯარისკაცების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ამის შესახებ ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა: **„ავღანეთში განხორციელებული თავდასხმის შედეგად დაჭრილი სამხედროები ამ დროისთვის ბაზა „ბასტიონზე“, მთავარ ჰოსპიტალში არიან გადაყვანილი. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია და არც ერთი მათგანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ბაზაზე, სადაც თავდასხმა განხორციელდა, მიღებულია უსაფრთხოების საგანგებო ზომები“.**

შემთხვევა ჰელმანდის პროვინციაში, ბაზა „შირგაზზე“, 16:17 საათზე მოხდა. არსებული ინფორმაციით, ბაზაზე, სადაც 42-ე ბატალიონია დისლოცირებული, თვითმკვლელმა ტერორისტმა და მეამბოხეთა ჯგუფმა იერიში მიიტანა.

ქართველმა სამხედროებმა თავდასხმა მოიგერიეს და ყველა ტერორისტი ადგილზე გაანადგურეს. შეტევის შედეგად გარდაცვლილია სამი სამხედრო მოსამსახურე, დაჭრილია რამდენიმე ჯარისკაცი. ირაკლი ალასანიას თქმით: **„ინფორმაციის მიღებისთანავე, გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობას მივეცი დავალება, რომ ბოლომდე დააზუსტონ შეტევის დეტალები. უკვე მიღებულია უსაფრთხოების საგანგებო ზომები. მე ვესაუბრე 42-ე ბატალიონის მეთაურს, მაიორ კალანდაძეს. მოცემული დროისთვის ცნობილია შემდეგი: ბაზაზე განხორციელდა მეამბოხეთა კომბინირებული თავდასხმა, თვითმკვლელი ტერორისტის მიერ სატვირთო მანქანაზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებით. თავდასხმა ქართველმა სამხედროებმა მოიგერიეს, ყველა ტერორისტი ადგილზე გაანადგურეს და ამ დროისთვის სრულად აკონტროლებენ ოპერატიულ ვითარებას მათი პასუხისმგებლობის ზონაში.**

**ყველა დაჭრილის ოჯახის წევრი ინდივიდუალურად არის ინფორმირებული. საქართველოს ხელისუფლება, თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალები დაღუპული და დაჭრილი სამხედროების ოჯახების გვერდით დგას და განიცდის ამ მოუშუშებელ ტკივილს. კიდევ ერთხელ მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო ქართველი სამხედროების თავდადება და გმირობა, სწორედ ამ თავდადებამ და სამხედროების პროფესიონალურმა მოქმედებამ აგვაცილა გაცილებით უფრო დიდი ტრაგედია“.**

ავღანეთში მომხდარ თავდასხმას, ტელეკომპანია ბი-ბი-სი გამოეხმაურა: **„სამი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა ავღანეთში ჰელმანდის პროვინციაში ამბოხებულების მხრიდან თავდასხმის შედეგად. თავდაცვის მინისტრმა ტელევიზიით განაცხადა, რომ სამხედროები ტერორისტების მიერ დანაღმული სატვირთო მანქანის აფეთქებას ემსხვერპლნენ. არიან დაჭრილებიც.**

**2009 წლიდან ავღანეთში 22 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ნატო-ს არაწევრ ქვეყნებს შორის საქართველო სამხედრო ძალის ყველაზე დიდი დისტრიბუტორია ავღანეთში 1570 სამხედრო მოსამსახურით.**

**სატელევიზიო განცხადებაში ალასანიამ თქვა, რომ ყველა ის პირი, ვინც ქართულ სამხედრო ბაზაზე შეიჭრა, ლიკვიდირებულია. მინისტრის განცხადებით, სამი დაღუპულის გარდა, 42-ე ბატალიონს ჰყავს რამდენიმე დაჭრილიც.**

**ამ უკანასკნელ თავდასხმამდე, ყველაზე სისხლიანი ინცინდენტი სამი წლის წინ მოხდა, როდესაც ნაღმზე ოთხი ქართველი ჯარისკაცი აფეთქდა, მათ შორის ერთი პოლკოვნიკი.**

**საქართველომ, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, თავის დროზე, სამხედრო შენაერთები გაგზავნა კოსოვოში და ერაყში. ამ დროს მას სერიოზული პრობლემები აქვს საკუთარ საზღვრებთან დაკავშირებით. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, რომლებმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ხელს უშლიან საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას“.**

*„ვერსიანიუსი“*

# „დინამოსთან“ ვაჭრობა აღარ იკრძალება

**ეროვნული სტადიონის პავილიონებში ავეჯთან, საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და სამონადირეო სამოსთან ერთად, ქაღის თეთრეული გაიყიდება?**

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**დინამოს სტადიონს ავეჯის მაღაზიები ნელ-ნელა შემოემატა. სტადიონის გარშემო თითქმის ყველა პავილიონი უკვე გაქირავებულია. აქ სპორტული ინვენტარისა და ტანსაცმლის ორი მაღაზიაა, ერთი — საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ერთ მაღაზიაში სამონადირეო სამოსი და აქსესუარები იყიდება, ერთში კი, როგორც უნდა გაგიკვირდეთ — ანაბოლიკური სტეროიდები ანუ პოპულარულ ენაზე რომ ვთქვათ, საკვები დანამატები, იგივე ვიტამინები. მაღაზიების უმრავლესობა კი საკმაოდ ძვირადღირებული ავეჯით ვაჭრობს. ზოგში სარემონტო სამუშაოები ახლახან დასრულდა და უახლოეს მომავალში გაიხსნება. „ვერსიასთან“ საუბრისას მოვაჭრეებმა აღნიშნეს, რომ ფართები აქ 100-110 კვადრატული მეტრის ფარგლებში მერყეობს, 1 კვ მ-ს ფასი კი 15 დოლარია, თუმცა თავიდან, 25 დოლარი ყოფილა. გამოდის, თითოეული მოვაჭრე, საშუალოდ, 1500-1700 დოლარამდე იხდის. მოვაჭრეთა ნაწილი აქ ავეჯის სავაჭრო ცენტრ „საბადან“ გადმოვიდა იქ გაჩენილი ხანძრის შემდეგ. ნაწილმა კი, როგორც ირკვევა, ბიზნესი ახლა დაიწყო.**

**მოვაჭრეთა ნაწილს, სავაჭრო ცენტრ „საბაშიც“ აქვს მაღაზია, თუმცა სიძვირის მიუხედავად, ფართი დინამოზეც აიღო და თავად გაარემონტა. ისინი ამბობენ, რომ წლების წინ „დინამოზე“ ვაჭრობდნენ, მაგრამ მერიის უაზრო კაპრიზით, ნახალოვკაში გადაისროლეს. „დინამოზე“ უკეთესი ვაჭრობა ჰქონდათ და მეტი მოგებაც რჩებოდათ... ამას იმით ხსნიან, რომ „საბაში“ იმაზე მეტმა ადამიანმა დაიწყო ვაჭრობა, ვიდრე „დინამოზე“. სიშორის გამო კი, იქ კლიენტები არ მოდიოდნენ, ერჩივნათ, მაღაზიებში ეყიდათ ავეჯი და ცოტა მეტი გადაეხადათ.**

**დღეს „დინამოზე“ კარგი ვაჭრობა არ აქვთ, მაგრამ ამბობენ, რომ აქ ყოფნა უღირთ — ხალხი გაიგებს, რომ აქ ვართ და ნახავენ, რომ საკმაოდ იაფი ფასები გვაქვს. ასე რომ, მალე მყიდველების ტევა აღარ იქნებაო, იმედი აქვთ მოვაჭრეებს, მაგრამ აქ ვაჭრობა რომ სასურველი არაა, წინა ხელისუფლება, ჯერ კიდევ 7 წლის წინ ალაპარაკდა და თბილისის მერიამ ავეჯით მოვაჭრეებს „დინამოს სტადიონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ვაჭრობა აუკრძალა. არაერთი თხოვნისა თუ პროტესტის მიუხედავად, მერია დათმობაზე არ წავიდა და ისინი ნაძალადევის რაიონში, სავაჭრო ცენტრ „საბაში“ გადაიყვანეს. მაშინ ქალაქის ხელისუფლებას პრინციპული პოზიცია ჰქონდა — „დინამოს სტადიონზე“ ავეჯის მაღაზიებისა და, ზოგადად, სავაჭრო ობიექტების ფუნქციონირება არ შეიძლებაო. საინტერესოა, რა შეიცვალა დღეს და ახლა რატომაა მიზანშეწონილი სტადიონის ტერიტორიაზე ავეჯით, სამოსითა თუ საყოფაცხოვრებო ნივთებით ვაჭრობა? „ვერსია“ დაინტერესდა, ვინ გასცა სავაჭრო ობიექტების გახსნის ნებართვა. ამის გასარკვევად „დინამოს სტადიონის“ დირექტორს ნიკა ჯღარკავას ვესაუბრეთ.**

— 2006 წელს სტადიონს სხვა მფლობელი ჰყავდა — გოჩა ძასოხოვი. მაშინ სტადიონის განახლების გეგმა ორ ნაწილს შეიცავდა: საფრანგეთთან თამაშისთვის სარემონტო კოსმეტიკური სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო და მეორე ეტაპზე, სავაჭრო ცენტრი უნდა აღმდგარიყო, თუმცა მეორე ნაწილი ინვესტორმა კომპანიამ ვერ დააფინანსა. მერე დინამო ბადრი პატარკაციშვილის კომპანიას გადაეცა, ბოლოს მერიის ხელში აღმოჩნდა, ამ უკანასკნელმა კი კერძო კომპანიას გადასცა. იმისთვის, რომ სტადიონმა არსებობა შეძლოს, სავაჭრო ცენტრი უნდა არსებობდეს. ევროპასა და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ცდილობენ, სტადიონებზე იყოს ოფისები, მაღაზიები და კომერციული ობიექტები. მაგალითად დონეცკში, ახალგახსნილ სტადიონზე ორი დიდი რესტორანი, ათამდე ბარი და ბევრი ოფისია. „დინამოს სტადიონზე“ მაღაზიების გახსნა მისასალმებელია და ეს ჩვენი ინვესტორების გადაწყვეტილება იყო.

**— თუ ასეა, მაშინ რატომ დახურა მერიამ ის მაღაზიები?**

— იმიტომ, რომ ის მაღაზიები სამარცხვინო იყო. ავეჯი გარეთ იდგა და აქაურობა უსახურ ბაზრობას ჰგავდა. მსოფლიოში, სტადიონის არსებობისთვის აუცილებელი პირობაა, რომ ცივილური კომერციული ფართები განთავსდება.

**— კომერციული ფართები, მაინცდამაინც ავეჯის პავილიონებს არ გულისხმობს, როგორც ეს ჩვენ შემთხვევაში ხდება. ხომ შეიძლება, ეს ფართები სპორტული ინვენტარისა და ტანსაცმლის მაღაზიებს დაეთმოს?**

— ეს კერძო ბიზნესია. ჩვენ აქ სავაჭრო ცენტრი შევქმენით და ვინ იქირავებს ფართს, ამას უკვე ბიზნესი განსაზღვრავს. მთავარია, შემოსავალი შემოვიდეს.

**— ანუ შესაძლოა, „დინამოს სტადიონზე“ თეთრეულის საცვლების ან სურსათის მაღაზიებიც ვიხილოთ?**

— რატომაც არა, თუ მომგებიანია — კი. ტურინის სტადიონზე 30 000 კვ მეტრი სავაჭრო ფართია, სადაც ყველაფერი იყიდება, მათ შორის, თეთრეულიც. ჩვენთან კი, სავაჭრო ფართი, მხოლოდ 5 000-ია.

**— „დინამოს სტადიონზე“ სავაჭრო ფართების დაბრუნება არჩევნებსა და ახალი ხელისუფლების მოსვლას უკავშირდება?**

— არა, ეს არჩევნებთან არაფერ შუაშია, როცა გაკეთდა ყველაფერი, მაშინ გაიხსნა.

**— გასაქირავებელი ფართების ფასმა, მოკლე დროში, 25-დან 15 დოლარამდე რატომ დაიწია?**

— ზოგადად, ფასი მერყეობს. გააჩნია, სად არის განთავსებული — აქ მხოლოდ მაღაზიები, სპორტული და ფიტნეს-დარბაზები არ იქნება.

**— „დინამოს სტადიონზე“ არსებობს მაღაზია, სადაც სპორტსმენებისთვის განსაზღვრული საკვები დანამატები, ანაბოლიკური სტეროიდები იყიდება. რამდენად მიზანშეწონილია ეს — ამ ე.წ. ვიტამინების მიღება, განსაკუთრებით ჩემპიონატების წინ, სპორტსმენებს ეკრძალებათ?**

— ამ ნივთიერებების გაყიდვა არაა აკრძალული და ჩვენ რატომ უნდა შევზღუდოთ იმ მაღაზიის მეპატრონე, ვინც **ანაბოლიკური სტეროიდებით ვაჭრობს?** ეს სპორტსმენისთვის საჭიროცაა.

**— ყველა ფართი გაქირავებულია?**

— თითქმის. 26 პავილიონიდან მხოლოდ რამდენიმეა დარჩენილი.

**— ადმინისტრაცია იძლევა გარანტიას, რომ ეს ხალხი, ერთ დღეს, თავისი საქონლით კვლავ ქუჩაში არ აღმოჩნდება?**

— რა თქმა უნდა, სტადიონიც თავის სახეს შეინარჩუნებს. კოსმეტიკური რემონტის შემდეგ, ჩვენი სტადიონი მზადაა, მსოფლიოს ნებისმიერი დონის შეჯიბრს უმასპინძლოს.

ნათია ვასაძე
555-98-61-65

# „არ მესმის, ვინ და რატომ მებრძვის?“

## რისკენ მოუწოდებს ოპონენტებს და ნიშნავს თუ არა ზესტაფონში თანამდებობებზე ნათესავებს გოგი ქავთარაძე



**ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის ხელმძღვანელი, ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატი... — ეს გოგი ქავთარაძის წოდებათა არასრული ჩამონათვალია. პროფესიით რეჟისორს, არაერთი როლი აქვს შესრულებული თეატრსა და კინოში. თბილისისა და თითქმის ყველა რეგიონის თეატრში მოუხდა მუშაობა, თუმცა შემოქმედებითი გზის დასაწყისში მარჯანიშვილის თეატრმა შეიფარა. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ „ვერსიასთან“ საუბარი ბატონმა გოგიმ სწორედ ამ თეატრით დაიწყო.**

— მარჯანიშვილის თეატრში 1958 წელს მოვხვდი — მასობრივ სცენებში სცენის თანამშრომლად ამიყვანეს. ვერც კი წარმოიდგენთ, რას ნიშნავდა 18 წლის ბიჭისთვის ამ დიდ თეატრალურ ტაძარში შესვლა. თეატრთან ახლოს ვცხოვრობდი, გზის მოპირდაპირე მხრიდან ვუყურებდი შენობიდან გამოსულ მსახიობებს და ვერ წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მათთან ერთად ვითამაშებდი. ბედნიერი ვარ, ამ თეატრის ყველა კორიფეს მოვესწარი, შალვა ღამბაშიძის გარდა.

**— სარეჟისოროზე სწავლობდით და მსახიობობა რატომ დაიწყეთ...**

— რადგან ყოველთვის ვოცნებობდი რეჟისორობაზე, საკუთარი ინიციატივით, გავხდი თეატრში რეჟისორის თანაშემწე. თავდადებით ვშრომობდი, რაც სამომავლოდ, ძალიან დამეხმარა. როცა გიგა ლორთქიფანიძემ გადაწყვიტა, მარჯანიშვილში „მე ვხედავ მზე“ დაედგა, თეატრიდან წამოსული ვიყავი. აწგანსვენებულმა ბონდო გოგინავამ მომილოცა, სპექტაკლში მთავარ როლზე აგიყვანესო. ამ დროს თეატრალურში ვსწავლობდი, სარეჟისორო ფაკულტეტზე. ჩემს ჯგუფს თუმანიშვილი ხელმძღვანელობდა და წარმოუდგენელი იყო მისი ლექციის გაცდენა, ამიტომ რეპეტიციებზე ლექციების შემდეგ მივდიოდი.

**— რუსთაველის თეატრში როგორ მოხვდით?**

— რობიკო სტურუას მაშინ არ ვიცნობდი. ვიცოდი, რომ რუსთაველის თეატრში ახალგაზრდა, ნიჭიერი რეჟისორი დგამდა სპექტაკლებს. ერთხელ სახლში მომაკითხა. მითხრა, გადავწყვიტე, მცირე სცენაზე „ვახშმობის წინ“ დავდგა და ერთ-ერთი როლი მინდა შეასრულოო. დავთანხმდი. ამ სპექტაკლში ჩემი პარტნიორები იყვნენ: ეროსი მანჯგალაძე, გოგი გეგეჭკორი, ტრისტან ყველაიძე, იზა გიგოშვილი, სალომე ყანჩელი, ზინა კვერენჩხილაძე, ბელა მირიანაშვილი, მერაბ თავაძე... მათთან ურთიერთობა დიდი ბედნიერება იყო.

**— პირველი სადიპლომო ნამუშევარიც რუსთაველის თეატრში დადგით, არა?**

— სადიპლომოზე მუშაობის დაწყებამდე, სტურუას კიდევ ორ სპექტაკლში ვითამაშე: „ბრალდება“ და „მზიანი ღამე“. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი კი, პირველი სპექტაკლი გახლდათ ჩემი რეჟისორობით. თეატრის მაშინდელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა მომცა სიკო დოლიძის კინოსცენარი და მითხრა: აქედან თუ პიესა გამოვა, დადგი სპექტაკლი და შენი სადიპლომო ნამუშევარიც ეს იყოსო. სპექტაკლს „მისი უდიდებულესობა“ ერქვა, მთავარი როლში სერგო ზაქარიაძე ვათამაშე — ეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იყო. 1967 წელს, როცა ქართული თეატრი პირველად გავიდა საზღვრებსგარეთ, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, რუმინეთში გასტროლი რუსთაველის თეატრმა სწორედ ამ სპექტაკლით გახსნა. იმავე პერიოდში, მიხეილ კობახიძემ მიმიწვია კინოფილმში „ქორწილი“. ეს იყო ჩემი პირველი და წარმატებული შეხება კინოსთან — სწორედ ამ როლით გავხდი პოპულარული. შემდეგ იყო სხვა, არანაკლებ წარმატებული ფილმები. მოკლედ, ბედი მქონიაო, მე უნდა ვთქვა.

**— რეჟისორები მოღვაწეობას ხშირად რეგიონის თეატრებში იწყებენ. თქვენ პირიქით, რუსთაველის თეატრიდან ბათუმის თეატრში რატომ წახვედით?**

— კულტურის მაშინდელმა მინისტრმა ოთარ თაქთაქიშვილმა ბათუმის თეატრის მთავარი რეჟისორობა შემომთავაზა. 4 წლის განმავლობაში, ამ თეატრში უამრავი საინტერესო სპექტაკლი დავდგი. ეს იყო საუკეთესო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. მეტიც, ხშირად ვფიქრობ, ნეტავ, კიდევ რამდენიმე წელი დავრჩენილიყავი-მეთქი. მერე ცოტა ხნით რუსთაველის თეატრში დავბრუნდი. ამის შემდეგ გამიშვეს ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად. ასეა, ერთხელ რომ დათანხმდები ქალაქიდან გასვლას, მერე ხშირად „აგკიდებენ“ პასუხისმგებლობას. ქუთაისის თეატრში ყველაზე მეტი სპექტაკლი დავდგი, მათ შორის, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც მაშინ პირველად დაიდგა ქართულ სცენაზე და მოგვიანებით, სოხუმშიც ჩავიტანე.

**— სოხუმის თეატრში მაშინ მოღვაწეობდით, როცა კონფლიქტი მომწიფების ფაზაში იყო... როგორ გგონიათ, შესაძლებელი იყო კონფლიქტის თავიდან აცილება?**

— სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად 1982-1992 წლებში ვიმუშავე. ვფიქრობ, უფრო ფაქიზად რომ მოვქცეულიყავით, შესაძლებელი იყო კონფლიქტის აცილება, თუმცა შეიძლება ვცდებოდე.

**— როგორი ურთიერთობა გქონდათ აფხაზებთან?**

— შესანიშნავი. მართალია, სოხუმში რომ ჩავედი, აფხაზური თეატრი უკვე ქართულისგან დამოუკიდებლად არსებობდა, მაგრამ ვმეგობრობდით.

**— ადრე ამბობდით, ომის გარეშე აფხაზეთში დაბრუნება გარდაუვალიაო. ახლაც ასე ფიქრობთ?**

— დიახ. აფხაზეთში ახალი თაობა ქართველებისადმი სიძულვილით აღზარდეს. მათი შემობრუნება ძნელი იქნება. მაინც მჯერა, რომ ახალი ხელისუფლება ნელ-ნელა, ეტაპობრივად იპოვის აფხაზურ მხარესთან ურთიერთობების აღდგენის გზებს — ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ შესარიგებლად. კარგი იქნება, თუ შეიქმნება ჯგუფი, რომლებიც ორგანიზებას გაუკეთებს აფხაზურ მხარესთან შეხვედრებსა და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას, ქართული თეატრებისა თუ ანსამბლების ჩასვლას აფხაზეთში... ეს იქნება ხანგრძლივი და რთული პროცესი, მაგრამ არა შეუძლებელი.

**— რეგიონებში მუშაობის დიდი გამოცდილებით გამოირჩევით... რა ვითარებაა დღეს რეგიონულ თეატრებში?**

— სხვადასხვაგვარი... მძიმე მდგომარეობაა რუსთავის თეატრში, რომელსაც ჯერ სამხატვრო ხელმძღვანელიც კი არ ჰყავს. ქუთაისის თეატრს ნიჭიერი, მიზანდასახული ახალგაზრდა უდგას სათავეში და თეატრიც საკმაოდ წარმატებულია; ნორმალური მდგომარეობაა ბათუმის თეატრშიც...

**— თეატრების შესახებ კანონის ერთ-ერთი ინიციატორი ბრძანდებით. ეფექტურად იმუშავებს ეს კანონი დღევანდელ რეალობაში?**

— რა თქმა უნდა, იმუშავებს. ამ კანონში ახალი არაფერია — თეატრებში მმართველის თანამდებობა წინა ხელისუფლებამ მოიგონა. მანამდე, პირველი პირიც და დირექტორიც სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

**— მესამე წელია, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირს ხელმძღვანელობთ. რა გაკეთდა ამ დროის მანძილზე?**

— საქართველოში თეატრის დღეს ორჯერ აღვნიშნავთ — 14 აპრილს (ქართული თეატრის დღე) და 27 მარტს (თეატრის საერთაშორისო დღეს). ტრადიციისამებრ, ამ დღესასწაულებთან დაკავშირებით, უზრუნველვყოფთ სხვადასხვა თეატრის მოღვაწეთათვის პრემიების მინიჭებას. ახლახან დავაწესეთ აკაკი ხორავას სახელობის პრემია, რომელიც მოვასწარით და, პირველად, ოთარ მელვინეთუხუცესს გადავეცით... სრულიად საქართველოს ვუსამძიმრებ ამ დიდებული პიროვნებისა და მსახიობის გარდაცვალებას.

**— ეროვნული მოძრაობიდან მოყოლებული, აქტიურად ხართ ჩართული პოლიტიკურ პროცესებში. ყველაზე ხშირად 90-იან წლებში მოღვაწეობას გსაყვედურობენ...**

— ვინც ისტორიაში კარგად ჩაიხედავს, მიხვდება, რომ არანაირ გადატრიალებაში მონაწილეობა არ მიმიღია. არ უარვყოფ, რომ გამსახურდიას რეჟიმის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ პოზიცია და არანაირი სურვილი არ მქონდა, ისე ტრაგიკულად დასრულებულიყო ყველაფერი.

**— საქართველოში, როგორც იქნა, დაირღვა ხელისუფლების ძალისმიერი გზით გადაყენების ტრადიცია...**

— 2012 წლის ოქტომბერში ჩატარებული არჩევნები ნამდვილად იყო მშვიდობიანი გზით ხელისუფლების შეცვლის წარმატებული მაგალითი. რევოლუციურ ცვლილებებს ქვეყნისთვის კარგი არაფერი მოუტანია. პირიქით, ერთადერთი, რაც არ მომწონს, დღევანდელი ოპოზიციის დამოკიდებულებაა — კრიჭაში უდგანან ხელისუფლებას და ყველაფერს აკეთებენ, მუშაობაში ხელი შეუშალონ.

**— ანუ კოჰაბიტაცია არ შედგა?**

— ასე გამოდის.

**— თქვენს მაჟორიტარობას ზესტაფონის რაიონში მალე-ვე მოჰყვა ხმაური...**

— ზესტაფონის ბაზართან დაკავშირებულ ამბავს თუ გულისხმობთ, ყურადღებით მოვუსმინე ბაზრის მოვაჭრეებსაც და კერძო მესაკუთრესაც. არ მესმის, რატომ არ უნდათ ბაზრის მოვაჭრეებს ახალ, კომფორტულ ბაზარში შესვლა. ეს არის ძალიან ბინძური საქმე და ამ თამაშში მონაწილეობას არ მივიღებ!

**— ზესტაფონში თანამდებობებზე მართლა ინიშნებიან თქვენი ნათესავები?**

— შეიძლება, ვინმე ჩემი გვარის ადამიანი მართლაც დაინიშნა სადმე, მაგრამ ყველა მოგვარე ჩემი ნათესავი ხომ არ იქნება? არც ერთი ჩემი ნათესავი თანამდებობაზე არ დანიშნულა, თუმცა ნათესაობის გამო, ნამდვილად ვერ შევუშლი ხელს მათ, ვინც საქმეს გააკეთებს და რაიონს გამოადგება. არ მესმის, ვინ და რატომ მებრძვის? თუ მლანძღავენ და საკადრო პოლიტიკას მიწუნებენ, მითხრან, ჩემი კაბინეტის კარი ყველასთვის ღიაა. რამდენიმე დღის წინ ერთი კაცი მოვიდა, სათხოვარი ჰქონდა... რა თქმა უნდა, მოვუსმინე და ვუთხარი: ვერ შეგპირდებით, მაგრამ ყველანაირად ვეცდები დახმარებას-მეთქი. წასვლის წინ მადლობა რომ გადამიხადა, ვკითხე — ჯერ არაფრით დაგხმარებივართ და მადლობას რისთვის მიხდით-მეთქი? მიპასუხა, რომ მომისმინეთ და გულთან მიიტანეთ ჩემი სატკივარი, იმისთვისო. თქვენ წარმოიდგინეთ, მოსმენის დეფიციტიც კი არსებობდა წინა ხელისუფლების პირობებში. მართალია, გარდამტეხი ცვლილებებისთვის ჯერ ცოტა დროა გასული, მაგრამ ვცდილობ, ხალხს მდგომარეობა რაც შეიძლება მალე შევუმსუბუქო და ბატონი ბიძინაც უამრავ ექსპერიმენტს გვთავაზობს ვითარების გასაუმჯობესებლად.

**— დატვირთული რეჟიმის ფონზე, თეატრალური საქმიანობის გაგრძელება არ გიძნელდებათ?**

— ვცდილობ, დეპუტატობით, თეატრსაც წავადგე. 2014 წლისთვის, ბიძინა ივანიშვილი ზესტაფონის თეატრის გარემონტებას დაგვპირდა. სანდრო მრევლიშვილს, ზესტაფონის მოსახლეობისთვის რამდენიმე სპექტაკლის ჩამოტანა ვთხოვე. გადავწყვიტე, ვისარგებლო „აკრეფის“ პრინციპით და თეატრში ე.წ. ღია კარის დღე დავაწესო. წელს, ზესტაფონს 140, ფეროშენადნობ ქარხანას კი — 80 წელი უსრულდება. ქალაქში დიდი ზეიმის მოწყობას ვაპირებ. უამრავი საინტერესო იდეის განხორციელებას ვგეგმავ და იმედია, ზესტაფონელებიც გვერდით დამიდგებიან.

## ვერსიანიუსი

# აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში პეპლების გამოფენა გაიხსნება



16 მაისს, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში პეპლების გამოფენა გაიხსნება, სადაც დღის და ღამის 300-მდე პეპელა იქნება წარმოდგენილი. აბრეშუმხვევიას პეპლების გარდა, დამთვალიერებელი თითქმის ყველა კონტინენტის პეპელას იხილავს. მუზეუმის კოლექციაში პეპლების უმრავლესობა დაახლოებით, 110-130 წლისაა. ამასთან, გამოიფინება ზოგიერთი სახეობის ახალი ნიმუშებიც, რომელიც მუზეუმის თავდაპირველ კოლექციაში იყო, მაგრამ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში არსებული არასათანადო პირობებისა და მოვლის გამო განადგურდა. ბოლო წლებში, რამდენიმე ასეთი პეპელა მუზეუმმა საჩუქრად მიიღო ვალერი პეტროვისგან, რომელმაც ძველი კოლექციის პეპლებს რესტავრაცია ჩაუტარა. მუზეუმი 1887 წელს დაარსდა და მისი შენობის არქიტექტორია ალექსანდრე შიმკევიჩი. შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 1996 წელს მიენიჭა.

მუზეუმის ექსპოზიცია, პრაქტიკულად, ინარჩუნებს თავდაპირველ სახეს, ექსპონატების დიდი ნაწილი XIXს. განეკუთვნება, წარმოშობით კი 61 ქვეყნიდანაა. მუზეუმში დაცულია შემდეგი კოლექციები: თუთის ხე და მისი პროდუქტები, აბრეშუმის ჭიის ბიოლოგია, აბრეშუმის პარკი, პეპლები, აბრეშუმის ძაფი, ქსოვილი, აბრეშუმისგან დამზადებული მრავალგვარი ნაწარმი, საღებავები, შრომის იარაღები და დაზგები, მოდელები და თვალსაჩინოება, ფოტოარქივი. გამოფენაზე, პეპლების კოლექციასთან ერთად, გამოიფინება 16 ფურცელი XIX საუკუნის ცნობილი ენტომოლოგის, ალბერტ ზეიცის (Albert Seitz) რარიტეტული ალბომიდან „მსოფლიოს პეპლები“. გამოფენა მუზეუმების საერთაშორისო დღეს ეძღვნება, რომლის სლოგანიც არის „მუზეუმები (ხსოვნა-კრეატიულობა) — სოციალური ცვლილება“. გამოფენა მხოლოდ ერთ თვეს გაგრძელდება, ვინაიდან პეპლებს დღის შუქი აზიანებს. მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულში, აბრეშუმის მუზეუმი მნახველებს სხვა ღონისძიებებსაც სთავაზობს, ძირითადად, ვორქშოპების სახით.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ონკოლოგიური საავადმყოფო სახელმწიფოს უბრუნდება?!

**რატომ ვერ შეასრულა კანადურმა „პეგასუსმა“ აღებული ვალდებულება, რატომ არ გზავნიან სადაზღვევო კომპანიები პაციენტებს ონკოლოგიურში და რას სთხოვენ ახალ ხელისუფლებას სიმსივნით დაავადებულები**




ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**ამიერკავკასიაში ერთ დროს, პირველ ადგილზე მყოფი ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი დღეს გაჩანაგებულია. ეზოს შესასვლელში უშველებელი ბანერია განთავსებული, სადაც ინფორმაციაა იმ კომპანიის შესახებ, რომელმაც ონკოლოგიური საავადმყოფო შეისყიდა. ბანერზე ვკითხულობთ, რომ Canada pegasus parmaceptical grup დაფუძნებულია კანადაში; მისი პროფილია კიბოს საწინააღმდეგო მედიკამენტებისა და ჯანმრთელობის გასაუმჯობესებელი პროდუქტების გამოკვლევა-განვითარება-წარმოება.**

**ცენტრალურ კორპუსში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებია დაწყებული. მეტალოპლასტმასის ფანჯრები კია ჩასმული, მაგრამ სამშენებლო სამუშაოები შეჩერებულია და მუშების ჭაჭანებაც არ არის. პაციენტები „ბე“ ფლიგელში არიან, სადაც ასევე არასახარბიელო ვითარება — თანამედროვე რემონტითა და ახალი ინვენტარით ვერც იქაურობა მოიწონებს თავს. მხოლოდ ბავშვთა განყოფილებაა შედარებით მოვლილი.**

**განყოფილებები აქ შემდეგნაირადაა განაწილებული: მეხუთე სართული — მამოლოგია-გინეკოლოგია, მეექვსე — ბავშვთა განყოფილება და უროლოგია, მეშვიდე — პროქტოლოგია და რბილი ქსოვილები, მერვე — ყელ-კისრისა და ფილტვის განყოფილება.**

**საავადმყოფოს შემოვლას ბავშვთა განყოფილებიდან ვიწყებთ: მხოლოდ ორი პაციენტი წევს — ირაკლი და გიორგი.**

**ნათია, ირაკლის დედა:** „5 წლის ირაკლის ყბაყურა ჯირკვლის სიმსივნე აქვს. ოპერაცია გაუკეთეს, ჯირკვალი ამოაცალეს, 2 წელია ვმკურნალობთ... ქიმიოთერაპიის 5 კურსი ჩაუტარდა. აღდგომის დღეებში პატარა პაციენტები ცნობილი ადამიანებიდან არავის გახსენებია, არავინ მოსულა მათ სანახავად...“

**16 წლის გიორგის რბილი ქსოვილებისა და ძვლის სიმსივნე აქვს. ქიმიოთერაპიისგან თმა გასცვივდა და გაფერმკრთალებულია. პაციენტს თავზე დედა და და ადგას.**

**მადონა თამლიანი, გიორგის დედა:** „ჯანდარაში ვცხოვრობთ. გიორგი ხანდახან მუხლს იტკიებდა. გარდაბანში ვმკურნალობდი, მითხრეს — მალების დაწევა აქვსო, მერე კიბო აღმოაჩნდა. ქიმიოთერაპიის მე-4 კურსი დავამთავრეთ. ბავშვმა არ იცის, რომ კიბო აქვს. უფროს გოგოსაც შუასაყარში სიმსივნე აღმოაჩნდა. 5 წელია სხვა კლინიკაში ვმკურნალობთ. ექიმმა მითხრა, გართულებულია და თურქეთში წაყვანაა საჭიროო, რისი საშუალებაც 5 შვილის დედას არ მაქვს. დაზღვევა მაღალ ტექნოლოგიურ გამოკვლევებსა და ექიმთან ვიზიტს არ აფინანსებს; იძულებული გავხდი, საქონელი გამეყიდა. ბერი ანდრიას დედა, მილედი გვეხმარება... ხშირად მოდის. სააღდგომოდ, მილედის გამოგზავნილი ბერი იყო მოსული, ეს პატარები სხვა არავის გახსენებია“.

**პაციენტთა ნაკლებობას ბავშვთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი შანიძე გვიხსნის:**

„ლეიკოზის გარდა, ჩვენთან, ყველა სახის სიმსივნით დაავადებული ბავშვები მკურნალობენ. ადრე, ბავშვთა განყოფილებაში 20-30 პაციენტი თუ იყო, ახლა 6-7-ია. პაციენტები ჩვენთან მოდიან, მაგრამ სადაზღვევო კომპანიები სხვა კლინიკებში გზავნიან, 100 პაციენტიდან შეიძლება 1-2 გამოგზავნონ, ისიც — პაციენტის სურვილით. სადაზღვევო კომპანიებს თავისი კლინიკები აქვთ და ურჩევნიათ, ნაკლები თანხა დახარჯონ. არადა, სოკოებივით გამრავლებულ პატარ-პატარა საავადმყოფოებში, არ მგონია, ჩვენისთანა სპეციალისტები ჰყავდეთ. საბოლოოდ, იქ არასწორად ნამკურნალები პაციენტები, ჯანმრთელობის გართულებული მდგომარეობით მოდიან ჩვენთან. ბავშვებში ძირითადად ლეიკემია, თირკმლის, ძვლის, თავის ტვინის, ღვიძლის, კანის ლოკალიზაციის და ნეიროგენული სიმსივნეებია გავრცელებული. პატარა ონკოპაციენტებთან ხშირად მოდიან და მოაქვთ საჩუქრები. კახი კალაძე იყო ახალ წელს, უკვე 4 წელია დადის და თითოეულ ბავშვს ასაჩუქრებს. ბავშვთა განყოფილებას 17 000 ლარიც გადაურიცხა. სხვა ცნობადი სახე არ მოსულა. რამდენიმე ხნის წინ, ორი ქალი და ერთი კაცი იყო, ვინაობა არ გაამხილეს, პაციენტებს ფული დაურიგეს. აღდგომის დღეებში კი არავინ მოსულა“.

**ონკოლოგიურის თანამშრომელი, ექთანი ნინო ბერძენიშვილი გვიამბობს:** „დიდებთან არავინ მოდის, მხოლოდ ბავშვთა განყოფილებაში მოდიან ხოლმე საჩუქრებით... ქიმიოთერაპიის ერთი კურსი 500-2000 ლარი ჯდება, ონკოავადმყოფს კი 3 კურსი აუცილებლად სჭირდება, უმეტესობა 6-10 კურსს იტარებს... გვყავდა პაციენტი, რომელსაც 12 კურსი დასჭირდა და ამისთვის, ყველაფერი გაყიდა, რაც ებადა“.

*დასასრული მე-15 გვერდზე*

## 400 ოჯახის ბედი და საძოვრებზე დამოკიდებული მომავალი

სენაკის რაიონის თეკლათის თემის მოსახლეობა, საძოვრების დაბრუნების მოთხოვნით, უკვე მესამე დღეა საპროტესტო აქციას მართავს. ისინი აპროტესტებენ 2010 წელს ეკონომიკის სამინისტროს მიერ თეკლათის თემის ტერიტორიაზე 190 ჰა მიწის გასხვისებას.

მოსახლეობა აცხადებს, რომ ეკონომიკის სამინისტრომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი პირდაპირი მიყიდვის წესით გაასხვისა სენაკის სააქციო საზოგადოება „ტყირზე“ — მეცხოველეობის ფერმაზე, რომლის ხელმძღვანელები შვედებთან ერთად, იყვნენ სენაკელი ძმები ალანიები. როგორც აქციის მონაწილეები ამბობენ, მეწარმემ სანდრა რულოვსის ფონდში მოპოვებული გრანტით, ჩამოიყვანა ჰოლანდიური ძროხები. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელებს 3 მილიონის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინათ, ასევე უნდა დაესაქმებინათ 30 ადგილობრივი მუშახელი.

აღნიშნული მიწის ნაკვეთის 50 ჰა მიწას მოსახლეობა საძოვრად იყენებდა. ამ საძოვარზეა დამოკიდებული 400 მეტი ოჯახი. მოსახლეობა მიწის გაყიდვაზე ინფორმირებული არ იყო. როგორც საპროტესტო აქციის მონაწილეები აცხადებენ, 190 ჰა მიწა გაიყიდა 1000 ლარად. მოსახლეობის განცხადებით, ამ შესყიდვებს ლობირებს „ქართული ოცნების“ სამეგრელოს რეგიონის კოორდინატორი გაიოზ მონიავა.

თეკლათის თემის მოსახლეობის განცხადებით, საპროტესტო აქციის დროს, ხალხი პოლიციას გამოაყვანინეს მონიავას მითითებით. სამართალდამცველებმა ორი ახალგაზრდა, კახა ლაშქარავა და ბადრი ჯანაშია დაიკავეს, მაგრამ უფლებადამცველების ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს.

კომენტარისთვის **გაიოზ მონიავას** დავუკავშირდით.

**— ბატონო გაიოზ, სენაკის რაიონის თეკლათის თემში საპროტესტო აქცია მიმდინარეობს, ხალხი საძოვრის დაბრუნებას ითხოვს. აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ თქვენი მითითებით ისინი პოლიციის ძალით გაიყვანეს აღნიშნული ფართობიდან, აქციის ორი მონაწილე კი დააკავეს.**

— მე რა შუაში ვარ, ინვესტორმა მიმართა სენაკის პოლიციის უფროსს და მან გამოუშვა სამართალდამცველები. მე არაფერ შუაში ვარ ამ საქმესთან არც ახლა და არც არასდროს არანაირი კავშირი არ მქონია. მხოლოდ ის ვიცი, რომ შემოვიდა ინვესტორი, რომელსაც უნდა მესაქონლეობა განავითაროს, შემოჰყავს საქონელი, უნდა ხალხი დაასაქმოს, სასწავლო ცენტრს აშენებს, მიწა შეიძინა, მოსახლეობა კი არ აძლევს ამ მიწის დახვნისა და ათვისების უფლებას. მოსახლეობა ამ ფართობში შევარდა და არ მისცეს დახვნის საშუალება, ამიტომაც ინვესტორმა უჩივლა. ვიმეორებ, არაფერ შუაში ვარ, ჭორია, თითქოს ამ საქმესთან რაიმე კავშირი მქონდეს, ვიღაც ბინძურ ჭორებს მივრცელებს, მეტი არაფერი.

აქციაზე მოსახლეობასთან რაიონისა და თემის ხელმძღვანელებიც მივიდნენ. თეკლათის თემის გამგებელმა ზურაბ ტყებუჩავამ განაცხადა, რომ ეს მიწა ეკონომიკის სამინისტროს მიერ პირდაპირი მიყიდვის წესითაა გასხვისებული და მოსახლეობა ნამდვილად არ იყო ინფორმირებული ამის თაობაზე.

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ საპროტესტო აქციებს ახლა უკვე ქუთაისში, პარლამენტის წინ გააგრძელებენ. ისინი მიმართვას ამზადებენ პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის სახელზე და დახმარებას სთხოვენ.

*„გურიანიუსი“*

# რეფერალური სამსახურისა და სადაზღვევო კომპანიის ურთიერთობებს პაციენტები ეწირებიან

**33 წლის ნათია თოდრაძემ, რომელიც სამი შვილის დედაა, გასულ კვირას, ღამით, სახლში იმშობიარა და მკვდარი ნაყოფი შობა. ნათიას დედა, მაყვალა ბურკაძე ამბობს, რომ ნაყოფის დაღუპვის მიზეზი ჩოხატაურის საავადმყოფოს მედპერსონალის გაფიცვაა: „ერთი კვირის წინ მივიდა საავადმყოფოში, გაციებული იყო. გაფიცულები ვართო და ოზურგეთის საავადმყოფოში გადაამისამართეს. სხვის სახლში ცხოვრობენ და საშუალება არ აქვთ, ამიტომ ოზურგეთში ვერ წავიდნენ. ვიფიქრეთ, მუცელი ატკივდება და სასწრაფოთი წავიყვანთო“. ქალბატონი მაყვალასვე თქმით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას, გართულებული კომუნიკაციის გამო, მოსვლა დააგვიანდა:**

— 112-ზე უნდა დარეკო, მერე აქეთ უნდა დაგირეკონ და ამასობაში, დრო გადის და სასწრაფო რომ მოვიდა, უკვე გვიანი იყო. ჩოხატაურის საავადმყოფოში მიყვანილ ახალნამშობიარებ ქალს კი, ოზურგეთის საავადმყოფოში გადაყვანაში, სადაზღვევო კომპანია „ალფამ“ 250 ლარი მოსთხოვა. ფულზეა ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებული? საავადმყოფოში მითხრეს, ემოციებს ნუ აყვებითო. 9 თვე მუცლით რომ შვილს ატარებ და დაგელუპება, მერე შენ სიცოცხლესაც რომ საფრთხის ქვეშ დააყენებენ ფულის გამო, რეაქცია არ უნდა გვქონდეს? იქნებ, ვერ ასწრებს ადამიანი ოზურგეთში ჩასვლას, სად იმშობიაროს?!

**— ფიქრობთ, საავადმყოფოს გაფიცვამ განაპირობა თქვენი შვილიშვილის დაღუპვა?**

— დიახ, ექიმებს შეეძლოთ ეთქვათ, იყო და თუ არა სტაციონარში ადგილი, მაგრამ განუკითხაობა, უპატრონობა და უყურადღებობაა მთელ საქართველოში.

**ის, რომ სადაზღვევო კომპანიამ დაზღვეული პაციენტის გადასაყვანად ფული მოითხოვა, ჩოხატაურის საავადმყოფოს მეან-გინეკოლოგმა, მაია პაიჭაძემაც დაადასტურა:** „როგორც კი მითხრეს ამ ფაქტის შესახებ, მაშინვე მოვედი. მაღალი წნევა ჰქონდა პაციენტს და გადაყვანას საჭიროებდა. როგორც ვიცი, სადაზღვევო კომპანიამ 250 ლარი მოითხოვა“.

**პაიჭაძის თქმით, ნათია თოდრაძე გაფიცვის დროს მასთან კონსულტაციისთვის არ მისულა. რა რეჟიმშიც უნდა ვიყო, გამორიცხულია, ორსული მოვიდეს და მას ყურადღება არ მივაქციოო.**

**ნათია თოდრაძის ოზურგეთში გადაყვანა ჩოხატაურის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ უზრუნველყო. პაციენტის დედის ინფორმაციით, სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელმა, ზოია კუჭავამ გადაყვანაში 80 ლარი მოითხოვა და თანხის გარეშე გადაყვანაზე უარი თქვა.**

**ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს ზოია კუჭავა. მისი თქმით, სასწრაფოს გადაყვანის უფლება არ აქვს და გადაუდებელ შემთხვევაში, შიდა სტანდარტით, კილომეტრზე 10 ლარია გადასახდელი:** „როგორც ვიცით, სადაზღვევომ დიდი თანხა მოითხოვა. შემდეგ ჩვენ გადავიყვანეთ. თანხა, მართალია, გადასახდელია, თუმცა საუბარი იმაზე, რომ თუ თანხას არ გადაიხდიდნენ, მისი გადაყვანა არ მოხდებოდა, ტყუილია. პაციენტის სიცოცხლე არანაირ თანხად არ ფასდება“.

**კომპანია „ალფაში“, სადაც თოდრაძე იყო დაზღვეული, ამბობენ, რომ პაციენტის გადაყვანის თანხა რეფერალურმა სამსახურმა კანონდარღვევით მოითხოვა.** „პაციენტი ჩვენი დაზღვეულია. გადაყვანის თანხა რეფერალურმა სამსახურმა მოითხოვა ხელზე, რაც კანონდარღვევაა და როგორც მითხრეს, აღნიშნული სამსახურის მხრიდან მსგავსი შემთხვევები ხშირია. ჩვენი პაციენტების ყველა ხარჯს ვანაზღაურებთ. ქალბატონი ნათიას ოზურგეთში გადაყვანის ხარჯს, რომელიც სასწრაფო დახმარების სამსახურმა განახორციელა, კომპანია „ალფა“ დაფარავს“, — **განაცხადა „ალფას“ პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, ლალი ბრეგვაძემ.**

**რეფერალურ სამსახურში კი ყველაფერს „ალფას“ აბრალებენ.**

რეფერალური სამსახურის წარმომადგენელი **კახა ჩიხრაძე**:

— თანხა პაციენტს კი არა, „ალფას“ მოვთხოვეთ ჩვენ. ოჯახს თანხას როგორ მოვთხოვდით, ძალიან გაჭირვებულები იყვნენ. ბოლოს ისევ ჩვენი გადასაყვანი გახდა.

**— როგორც „ალფაში“ გვითხრეს, ხშირია შემთხვევა, როდესაც თქვენი სამსახური პაციენტს თანხას ხელზე სთხოვს...**

— მათთან ურთიერთობა არ მინდა საერთოდ. „ალფას“ 4 თვის თანხა აქვს გადმოურიცხავი. რა ვქნათ ახლა?

**— პაციენტებს თანხა ხელზე უნდა მოსთხოვოთ?**

— რა ვქნათ, აბა?! ვაძლევთ ქვითარს და შემდეგ „ალფა“ გადაუხდის, თუ შესაძლებელია.

**— თუ ეს შეუძლებელია და ადამიანი კვდება, თანხის ხელზე გაცემის გარეშე, არ უნდა გადაიყვანოთ?**

— როგორ არ შეიძლება, ისედაც გადაგვყავს და „ალფას“ დიდი ვალი აქვს იანვრიდან დღემდე.

**— „ალფას“ ვალი რომ პაციენტის ჯანმრთელობაზე აისახება, ეს არაფერს ნიშნავს? ამ კონკრეტული მაგალითითაც რომ ვიმსჯელოთ თუნდაც...**

— კონკრეტული შემთხვევით რომ ვიმსჯელოთ, ჩვენ მაგისთვის ფული არ მოგვითხოვია — „ალფას“ მოვთხოვეთ.

**— ორი წუთის წინ გვითხარით, რომ ადამიანებს ხელზე სთხოვთ თანხას და აძლევთ ქვითარს, რომელსაც ან გაუნაღდებს კომპანია, ან არა.**

— ამ შემთხვევაში პაციენტისთვის ფული არ მოგვითხოვია.

აღნიშნულ საქმეზე ძიება უკვე დაწყებულია. მოკვლევას მედიაციის საბჭოც აწარმოებს, რომელიც დაადგენს, გახდა თუ არა ნაყოფის დაღუპვის მიზეზი ექიმების გაფიცვა.

საავადმყოფოში გაფიცვა მას შემდეგ შეწყდა, რაც აღნიშნული ფაქტი გასაჯაროვდა. საავადმყოფოს მედპერსონალი ჩვენთან საუბარზე უარს ამბობს და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციის ბრძანებით, მათ ჟურნალისტებთან საუბარი აეკრძალათ, ადმინისტრაცია კი კონტაქტზე არ გამოდის — რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ჩოხატაურის საავადმყოფოს ხელმძღვანელმა, თემურ კოროშინაძემ ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

*„გურიანიუსი“*



# ონკოლოგიური საავადმყოფო სახელმწიფოს უბრუნდება?!

*მე-14 გვერდიდან*

**ონკოპაციენტები და მათი ოჯახის წევრები, ძირითადად, სახელმწიფო დახმარებას ითხოვენ.**

**22 წლის ბექას მელანომა აქვს. ავტოკატასტროფის შემდეგ თვალი დაუზიანდა. თავიდან ქუთაისში მკურნალობდნენ, დღეს კი, მკურნალობის კურსს დედაქალაქში იტარებს .**

**ხათუნა საღინაძე, ბექას დედა:** „ქიმიოთერაპიის პრეპარატები ისე ძვირი ღირს, ხალხს ყიდვა უჭირს, დაზღვევა კი მიზერული თანხით გვეხმარება. კარგი იქნებოდა, ძვირადღირებული წამლები უფასოდ გვქონდეს: ბექას კვირაში 2 ამპულა სჭირდება, რომელიც 140 ლარი ღირს, ხოლო გადასხმა, რომელიც 400 ლარამდე ჯდება, ყოველდღე უკეთდება, თავის ტომოგრაფია 520 ლარი ღირს. ახლა კი ბავშვს სჭირდება თავის, გულმკერდისა და მუცლის ტომოგრაფია, რასაც საკუთარი სახსრებით ვუკეთებთ... კარგი იქნება, თუ მოსახლეობას ამ მხრივ მაინც დაეხმარება სახელმწიფო. ავადმყოფი რომ გყავს, იძულებული ხდები, სახლი გაყიდო და როგორმე უშველო“.

**უროლოგიის განყოფილებასაც ვესტუმრეთ, სადაც არასახარბიელო მდგომარეობაა, პაციენტებსა და მათ ახლობლებს კი საერთო პრობლემა აქვთ — უფულობა.**

„ხობის რაიონიდან ვართ... 2 კვირაა აქ ვმკურნალობთ, გამოკვლევისთვის საჭირო თანხა კი ვისესხე — 1 000 ლარი საავადმყოფოში დაწოლამდე დაგვეხარჯა, დანარჩენს ჯანდაცვა დაგვპირდა. სახელმწიფო ასეთ პაციენტებს უნდა ეხმარებოდეს!“ — **გულისტკივილი გაგვანდო ონკოპაციენტის, რევაზ მიქაცაძის მეუღლემ, ციცო მიქაცაძემ.**

**58 წლის ცისანა კვერცხიშვილსა და მის მეუღლეს, 60 წლის ელგუჯა კვერცხიშვილს სიმსივნის დიაგნოზი თითქმის ერთდროულად დაუსვეს. ცოლ-ქმარმა უკვე ყველაფერი გაყიდა სიცოცხლის შესანარჩუნებლად... პალატაში შესულს ქალბატონი ცისანა საბუთებით ხელში დამხვდა. ჩაჰკირკიტებს ფურცლებს და ფიქრობს, საიდან იშოვოს საჭირო თანხა, რომ მეტად დაეხმაროს ახალნაოპერაციებ ქმარს, რომელსაც ხორხის კიბომ მეტყველების უნარი საერთოდ წაართვა.**

„მეც ონკოავადმყოფი ვარ. საშვილოსნო, საკვერცხეები, ძუძუ მოკვეთილი მაქვს. ჩიყვის ოპერაციაც გავიკეთე, დაზღვევამ მხოლოდ სხივები დააფინანსა... სწორედ იმ პერიოდში ჩემი მეუღლე სასწრაფოდ საოპერაციო გახდა. მცხეთის სახლი ბანკში ჩავდე, ვალი დროულად ვერ დავფარე და ბანკმა ბინა გამიყიდა... აღარაფერი გამაჩნია — სოფელი გვინახავს. ანალიზების ფულიც მეზობლებმა შემიგროვეს, მარტო ერთი წამალი, 25 აბი 100 ლარი ღირს. რომ არ დავლიო, ძვლებიც დამეშლება. სხვა წამლებზე აღარაფერს ვამბობ, მეორე ძუძუც მოსაკვეთი მაქვს, ჩვენ სასიკეთოდ კი არც ერთი ხელისუფლება არ მოსულა. ან მიშას რისთვის ვუკრავდი ტაშს ან ბიძინას?! არაფერი შეცვლილა, პირიქით, ახლა უარესობაა, პურის ფულიც არ მაქვს. პენსია აგვისტოს ჩათვლით წინასწარ ავიღე, უმწეოთა დაზღვევა ყველაფერს არ აფინანსებს — ტომოგრაფიაც კი ვერ გავუკეთე მეუღლეს... ესაა პრობლემა, თორემ აქ კარგად გვექცევიან, ექიმმა ტელევიზორიც შემოგვიტანა თავის კაბინეტიდან. მედპერსონალს სახლიდან მოაქვს საჭმელი და ავადმყოფებს გვიმასპინძლდებიან. ჩვენი ცოდვით იწვიან... სააღდგომოდ არავის გავახსენდით, მთავრობიდანაც კი არავინ მოსულა. ვის რაში ვედარდებით“, — **ცრემლები ძლივს შეიკავა ქალბატონმა ცისანამ.**

**შპს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის დირექტორი პროფესორი რევაზ გაგუა დამაიმედებელ პროგნოზს ვერ აკეთებს:** „ონკოლოგიური დაავადებების შემცირების ტენდენცია მთელ მსოფლიოში არ აღინიშნება — მსოფლიო სტატისტიკით, 2020 წლისთვის, ავთვისებიანი სიმსივნეები გულსისხლძარღვთა დაავადებულთა რიცხვს გადაასწრებს და პირველ ადგილზე გადაინაცვლებს — დღეს თუ კიბოს 7000 ახალი შემთხვევაა, 2020 წლისთვის 14 000 იქნება. კიბო, პირველ-მეორე სტადიაზე, განვითარებად ქვეყნებში იშვიათად, 20-25%-ში ვლინდება, განვითარებულ ქვეყნებში კი — 70-80%-ში. მიზეზი კი ისაა, რომ პაციენტი დროზე არ მიდის ექიმთან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჩამორჩება თანამედროვე სტანდარტებს. მსოფლიოში ფილტვის კიბო მამაკაცებში იყო გავრცელებული, ახლა კი ქალების დაავადებაც გახდა, რისი მიზეზიც თამბაქოს მოხმარებაა. ქალებში პირველ ადგილზე სარძევე ჯირკვლის კიბოა. სამწუხაროდ, ბევრი ქალი ცხოვრების ჯანსაღ წესს არ მისდევს“.

**რევაზ გაგუა „ვერსიასთან“ საუბრისას იმასაც აღნიშნავს, რომ კანადურმა კომპანიამ სახელმწიფოსთან დადებული პირობა ვერ შეასრულა:** „სახელმწიფო ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი აღარ არსებობს. ამჟამად ონკოლოგიური ცენტრი პრივატიზებულია კანადური ფირმა „პეგასუს ფარმაცეპტიკალ გრუპის“ მიერ, მათი ინვესტორები წარმოშობით ჩინელები არიან. საპრივატიზაციო კონტრაქტით, სარემონტო სამუშაოები და მშენებლობა მაისში უნდა დასრულებულიყო, თუმცა დამთავრებას ბევრი უკლია. ახლა ამ საკითხს ეკონომიკის სამინისტრო იხილავს და ინვესტორებთან მიმართებაში სახელმწიფო მიიღებს გადაწყვეტილებას“.

**ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ონკოლოგების ჩივილს, რომ მათ სადაზღვევო კომპანიები პაციენტებს არ უგზავნიან, ამგვარად ხსნის:** „შესთავაზონ პაციენტებს ნორმალური სერვისი და სადაზღვევო კომპანიები გაუგზავნიან პაციენტებს. ეს არის ონკოცენტრი და ალტერნატიული სამსახურები ძალიან ცოტაა. სხივური და ქიმიოთერაპიის ორი ალტერნატიული დაწესებულება გამოჩნდა საქართველოში, რომელსაც ბაზარზე მცირე სეგმენტით უნდა შესვლა. ახლა ხდება ფასისა და ხარისხის დაბალანსება. ეს გახდა აუტანელი მათთვის“.

**ჯანდაცვის მინისტრი იმასაც ადასტურებს, რომ „პეგასუს ფარმაცეპტიკალ გრუპმა“ ვერ შეასრულა აღებული ვალდებულება:** „კომპანია „პეგასუსს“ უნდა განეხორციელებინა 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია აღნიშნულ ინფრასტრუქტურაში. მონიტორინგის მეთოდით შესწავლილი ინვესტიცია არ აღემატება ნახევარ მილიონ ლარს. 2 კვირის წინ „პეგასუსის“ მენეჯმენტს შევხვდი, რომელთაც ჰქონდათ მცდელობა, წარმოეჩინათ ვითარება ისე, თითქოს სულ ცოტა დაუგვიანდათ და ვალდებულებას ასრულებენ. ჩვენი პოზიცია ცალსახაა — მათთან თანამშრომლობის გაგრძელებას რამდენიმე პირობით განვიხილავთ. კერძოდ: თუ ამაში ონკოცენტრის კოლექტივი მიიღებს მონაწილეობას; თუ მოხდება საინვესტიციო ვალდებულებების თეორიული განახლება განსხვავებული დამატებითი ვალდებულებების გათვალისწინებით და არა არსებულის გახანგრძლივებით. თუ ვერ მოვილაპარაკებთ კომპანიის ხელმძღვანელობასთან, ონკოლოგიის ცენტრს გადმოიბარებს სახელმწიფო და განაგრძობს დაწესებულების ოპერირებას, ან მონახავს ახალ ინვესტორს. „პეგასუსს“ გახარჯული ნახევარი მილიონი არ დაუბრუნდება. საბანკო გარანტიაში ჩადებული თანხა კი, სახელმწიფო ბიუჯეტში შემოვა“.

# ჰოროსკოპი
## 15 მაისი

**ვერძი** — დღეს არავითარ შემთხვევაში არ დაკარგოთ სიმშვიდე, შეეცადეთ, თავი აარიდოთ კამათს საყვარელ ადამიანთან, როგორი რთულიც უნდა მოგეჩვენოთ ამის შესრულება. სადამო მშვიდ გარემოში გაატარეთ, დღეს ეს აუცილებლად გჭირდებათ.

**კურო** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღე სულიერ წონასწორობასა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებას პპირდება, პრობლემების უმრავლესობაც მარტივად მოგვარდება. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობები კი — პარმონიული.

**ტყუპები** — კარგი დღეა ტეუუბებისთვის. არ არის გამორიცხული, მოულოდნელი წინადადება მიიღოთ ან ძველ ბიზნეს-პპარტნიორს შეხვდეთ. დღეს იმ ადამიანების მხარდაჭერასაც იგრძნობთ, ვინც აქამდე თქვენი მოკავშირე არ უოფილა.

**კირჩხიბი** — უკვე მოძველებული პრობლემების გადაჭრისთვის საინტერესო ხერხი მოიფიქრეთ. დღეს არ ღირს მოდუნება, რადგან გონებაგახსნილობა მთელი დღის განმავლობაში გესაჭიროებათ. გახსოვდეთ, რომ ძალების კონცენტრაცია შეცვლის სიტუაციას უკეთესობისკენ.

**ლომი** — დღეს უფროსობასთან კამათი გულით. პარტნიორთანაც დაგეძაბებათ ურთიერთობა, მაგრამ ნუ აუვებით ემოციებს და მეტი მოთმინება გამოიჩინეთ, ძალიან ძალე ეველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება.

**ქალწული** — არასელსაერელი დღეა ხელისუფლების წარმომადგენლებთან შესახვედრად. გახსოვდეთ, რომ რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია სიტუაციის ეურადღებით გაანალიზება. დაგეგმეთ დასვენება, შვებულება ან მოგზაურობა. საყვარელ ადამიანთან ერთად დროის გატარება სიმშვიდეს მოგვრით.

**სასწორი** — დღეანდელი სადამო ოჯახურ კავშირს უფრო პარმონიულს გახდის. გადაჭარბებულმა ამბარტავნობამ და იმპულსურობამ კი შეიძლება ნაჩქარევი ნაბიჯების გადადგმა გამოიწვიოს. დღე შესანიშნავი იქნება, რადგან ეველა საქმეში წარმატება გელით.

**ღრიანცალი** — კარგი დღეა ურთიერთობებისთვის, ცვლილებებისთვის. ბევრი ისეთი ადამიანისგან იგრძნობთ მხარდაჭერას, ვინც ადრე თქვენგან შორს იდგა. არ არის გამორიცხული, სამუშაომ დღეს ჩვეულებრივზე მეტი ეურადღება და ძალისხმეევა მოითხოვოს, თუმცა, შედეგები დახარჯულ ენერგიას „გამოისეიდის“.

**მშვილდოსანი** — დღეს საქმიან შეხვედრებს ნუ დაგეგმავთ და მივლინებაც გადადეთ. თუ არ აჩქარდებით, საქმის ბოლომდე მიეყვანის საშუალება მოგეცემათ. დღეს ფორტუნა არქიტექტორებისა და კონსტრუქტორების მხარესაა.

**თხის რქა** — უსიამოვნო დღეა, რომელიც თქვენგან სიმტკიცეს მოითხოვს. დაწეებულ საქმეს დიდი ძალისხმევა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღება სჭირდება. ემოციური გადატვირთულობის მიუხედავად, მაინც შეძლებთ ეველა წინააღმდეგობის გადალახვას, რაშიც საქმისადმი არასტანდარტული მიდგომა დაგეხმარებათ.

**მერწყული** — მერწეულებს დღეს სამსახურში მეტი სიფრთხილე და ეურადღება მართებთ. ოცნებები რეალობას უნდა შეესაბამებოდეს. სპირისპირო სქესთან ურთიერთობაში წარმატებები გელით, მოსალოდნელია ძველი სასიყვარულო ურთიერთობების განახლება.

**თევზები** — შესაძლოა, დღეს საკუთარი იღუზიებისა და ოცნებების ტყვეობაში აღმოჩნდეთ, თუმცა ეს ხელს არ შეგიშლით დასახული მიზნის მიღწევაში. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ კარშემოყოფებთან ურთიერთობაში ბევრ პრობლემას წააწყდებით, თუ კომპრომისზე არ წახვალთ.

# თურქეთში ულვაშის გადანერგვის ბუმია

ადგილობრივი მამაკაცებისთვის წვერ-ულვაში სიამაყისა და ღირსების დასტურია, ასე რომ, გასაკვირი არაა, მედიცინის ახალი მიმართულება — ულვაშისა და წვერის ტრანსპლანტაცია დიდი პიპულარობით სარგებლობს. ოპერაციის დროს, რომელიც თითქმის ხუთ საათს გრძელდება, თმის ფოლიკულების ექსტრაქციის მეთოდი გამოიყენება, ეს პროცედურა კი 5 ათას დოლარამდე ჯდება. ულვაში თურქეთში იმდენად მოთხოვნადი გახდა, რომ ზოგიერთი ტურისტული სააგენტო კლიენტებს, ეგრეთ წოდებულ ტრანსპლანტ-პაკეტს სთავაზობს, სადაც შედის პლასტიკური ოპერაცია, შოპ-ტური სტამბოლში და დასვენება ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ულვაშის გადანერგვის მსურველთა უმრავლესობა უცხოელია, თურქებს კი ეს საკითხი ნაკლებად აწუხებთ, რადგან სულ უფრო ნაკლები ახალგაზრდა მამაკაცი ატარებს ულვაშს.




## შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები.

მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

**ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.**

**რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.**

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# სუდოკუ

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | | | | 3 | | |
| | | 8 | 1 | | | | 7 | |
| | | | 9 | 4 | | 2 | | |
| 1 | | | 2 | | | | 5 | 6 |
| 6 | | | 7 | 1 | 5 | | | 9 |
| 5 | 2 | | | | 6 | | | 7 |
| | | 2 | | 9 | 8 | | | |
| | 3 | | | | 1 | 6 | | |
| | | 6 | | | | | | 2 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 9 | 5 | | 4 | | |
| | | | 4 | | | 8 | 6 | |
| 8 | 5 | | | 6 | | | | 9 |
| | | | | | | 3 | 5 | 6 |
| | 7 | | | | | | 4 | |
| 4 | 3 | 5 | | | | | | |
| 9 | | | | 8 | | | 1 | 2 |
| | 1 | 2 | | | 4 | | | |
| | | 8 | | 1 | 3 | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 2 | 6 | | | 7 | | |
| | | 5 | 3 | | | | | |
| | 6 | 4 | | 7 | | | | |
| | | 6 | 5 | | | | 9 | |
| | 1 | | | 8 | | | 7 | |
| | 4 | | | | 6 | 1 | | |
| | | | | 6 | | 9 | 4 | |
| | | | | | 1 | 3 | | |
| | | 8 | | | 2 | 5 | | 7 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 2 | | | | | |
| | | 8 | | 4 | | 5 | | |
| | | | 5 | | 1 | | 9 | |
| 3 | | 1 | | | | 4 | | 6 |
| | | | | 6 | | | | |
| 5 | | 7 | | | | 3 | | 9 |
| | 2 | | 3 | | 7 | | | |
| | | 5 | | 1 | | 7 | | |
| | | | | | 4 | | | 1 |



1. „ზღვისფერი“ ძვირფასი ქვა
2. გაფრთხილება ძიუდოში
3. ცოდვილთა ქალაქი ბიბლიაში
4. ისლამის დამაარსებელი
5. ბოშათა თეატრი მოსკოვში
6. ძველი ასურეთის დედაქალაქი
7. ცეკვის მუზა ბერძნულ მითოლოგ.
8. მთა თბილისში
9. აბატი „გრაფ მონტე-კრისტოში“
10. სიჭაბუკის ქალღმერთი რომაულ მითოლოგ.
11. კეთილშობილი მეტალი
12. მარჩიელი, მჩხიბავი
13. ამერ. ნობელიანტი მწერალი
14. იტალ. ნიღბების კომედიის პერსონაჟი
15. შიიტთა უმაღლესი სასულიერო პირი
16. მედლის უკანა მხარე
17. ბალერინა ... ნიორაძე
18. დახრილი კოშკით ცნობილი ქალაქი
19. საზაფხულო სა-ძოვარი
20. კუნთოვანი ქსოვილის სიმსივნე
21. მოძრაობა რაიმე მიმართულებით
22. მეოთხე მუსიკალ. ინტერვალი
23. სოფ. საგარეჯოს რაიონში
24. აბელის მკვლელი
25. ქიმიური ელემენტი, მეტალი
26. არასამუშაო, დასვენების დღე
27. აზერბაიჯანის ვალუტა
28. ძველბერძენი ფილოსოფოსი
29. ესპანეთის დედაქალაქი
30. მექანიკის ნაწილი
31. ფექვილანი და რძიანი ერბოკვერცხი
32. უკუზო აქლემი
33. ვარსკვლავთა კრებული
34. რემბრანდტის ცნობილი ნახატი
35. იაპონელთა ჯიბის ყუთი
36. მიწისქვეშეთი ბერძნულ მითოლოგ.
37. ჭადრაკის ფიგურა
38. იაპონ. ავტომობ. მარკა
39. შეპასუხე-ბა, წამოძახილი
40. ბიბლიური აბრაამის მეუღლე
41. ვაზის წყვილმტევნიანი რქა
42. ოქროს ურდოს სარდალი
43. რომის მეკობრეპაპი ბალთაზარ ...
44. ოსური ცეკვა
45. ცნობ. ფრანგი ფეხბურთელი
46. იგივეა, რაც ტალანტი
47. იგივეა, რაც ლოქი
48. სინათლე ბავშვის ენაზე
49. დიდი ქვა
50. შავი ფისი
51. მარგარიტა გოტიეს ყვავილი
52. კლასიკოსთა ნაშრომების გამოცემა
53. „ინდონეზიის გულად“ წოდებული კუნძული
54. ფანჯიკიძის რომანი „მეშვიდე
55. მოცარტის ოპერა „... ჟუანი“
56. ნახევარკუნძული ჩრდილოეთ ციმბირში
57. მატყუარა
58. იტალ. კომპოზიტ.
59. „დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
60. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
61. სახალხო პოეტმომღერალი ყაზახეთში
62. მე-13-19სს. ევროპული მონეტა
63. ირლანდიის რესპუბლიკა. არმია
64. ვოლტერის ნამდვილი გვარი
65. სახოტბო ლექსი
66. რუსეთის მრისხანე მეფე

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 9 | 3 | 7 | 6 | 2 | 1 | 8 | 5 |
| 6 | 1 | 5 | 9 | 4 | 8 | 7 | 3 | 2 |
| 8 | 2 | 7 | 1 | 5 | 3 | 4 | 9 | 6 |
| 7 | 3 | 2 | 8 | 1 | 9 | 6 | 5 | 4 |
| 5 | 8 | 6 | 2 | 7 | 4 | 3 | 1 | 9 |
| 1 | 4 | 9 | 6 | 3 | 5 | 2 | 7 | 8 |
| 9 | 7 | 4 | 5 | 2 | 1 | 8 | 6 | 3 |
| 3 | 6 | 8 | 4 | 9 | 7 | 5 | 2 | 1 |
| 2 | 5 | 1 | 3 | 8 | 6 | 9 | 4 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 5 | 3 | 7 | 4 | 6 | 2 | 1 |
| 7 | 6 | 2 | 1 | 9 | 8 | 4 | 3 | 5 |
| 4 | 1 | 3 | 6 | 5 | 2 | 9 | 8 | 7 |
| 6 | 8 | 1 | 2 | 4 | 9 | 7 | 5 | 3 |
| 3 | 5 | 4 | 8 | 6 | 7 | 2 | 1 | 9 |
| 2 | 7 | 9 | 5 | 3 | 1 | 8 | 4 | 6 |
| 1 | 4 | 6 | 9 | 8 | 5 | 3 | 7 | 2 |
| 9 | 2 | 7 | 4 | 1 | 3 | 5 | 6 | 8 |
| 5 | 3 | 8 | 7 | 2 | 6 | 1 | 9 | 4 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 9 | 2 | 8 | 5 | 3 | 7 | 6 | 1 |
| 7 | 8 | 6 | 4 | 1 | 9 | 5 | 3 | 2 |
| 1 | 3 | 5 | 2 | 7 | 6 | 4 | 9 | 8 |
| 5 | 1 | 9 | 7 | 4 | 8 | 6 | 2 | 3 |
| 8 | 2 | 7 | 6 | 3 | 1 | 9 | 5 | 4 |
| 6 | 4 | 3 | 5 | 9 | 2 | 1 | 8 | 7 |
| 3 | 7 | 8 | 1 | 6 | 5 | 2 | 4 | 9 |
| 9 | 5 | 4 | 3 | 2 | 7 | 8 | 1 | 6 |
| 2 | 6 | 1 | 9 | 8 | 4 | 3 | 7 | 5 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 4 | 3 | 9 | 1 | 8 | 6 | 5 |
| 3 | 6 | 1 | 8 | 7 | 5 | 4 | 2 | 9 |
| 9 | 8 | 5 | 2 | 6 | 4 | 3 | 7 | 1 |
| 1 | 5 | 6 | 4 | 8 | 7 | 2 | 9 | 3 |
| 4 | 9 | 3 | 6 | 5 | 2 | 7 | 1 | 8 |
| 7 | 2 | 8 | 1 | 3 | 9 | 5 | 4 | 6 |
| 8 | 3 | 2 | 9 | 4 | 6 | 1 | 5 | 7 |
| 6 | 1 | 7 | 5 | 2 | 8 | 9 | 3 | 4 |
| 5 | 4 | 9 | 7 | 1 | 3 | 6 | 8 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 1 | 6 | 3 | 7 | 5 | 4 | 2 |
| 7 | 4 | 6 | 2 | 1 | 5 | 9 | 3 | 8 |
| 2 | 5 | 3 | 9 | 8 | 4 | 1 | 7 | 6 |
| 5 | 1 | 4 | 8 | 9 | 3 | 6 | 2 | 7 |
| 3 | 7 | 8 | 5 | 6 | 2 | 4 | 1 | 9 |
| 6 | 9 | 2 | 7 | 4 | 1 | 3 | 8 | 5 |
| 8 | 3 | 5 | 4 | 7 | 6 | 2 | 9 | 1 |
| 1 | 2 | 9 | 3 | 5 | 8 | 7 | 6 | 4 |
| 4 | 6 | 7 | 1 | 2 | 9 | 8 | 5 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 6 | 5 | 7 | 9 | 4 | 3 | 8 |
| 8 | 4 | 9 | 6 | 3 | 2 | 5 | 1 | 7 |
| 3 | 7 | 5 | 4 | 1 | 8 | 9 | 6 | 2 |
| 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 5 | 8 | 4 | 9 |
| 5 | 8 | 4 | 9 | 6 | 1 | 7 | 2 | 3 |
| 9 | 3 | 2 | 8 | 4 | 7 | 1 | 5 | 6 |
| 4 | 5 | 8 | 2 | 9 | 3 | 6 | 7 | 1 |
| 6 | 2 | 7 | 1 | 8 | 4 | 3 | 9 | 5 |
| 1 | 9 | 3 | 7 | 5 | 6 | 2 | 8 | 4 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 2 | 6 | 5 | 7 | 8 | 1 | 4 |
| 4 | 8 | 1 | 3 | 2 | 9 | 7 | 6 | 5 |
| 6 | 7 | 5 | 1 | 8 | 4 | 2 | 3 | 9 |
| 2 | 6 | 7 | 9 | 4 | 5 | 1 | 8 | 3 |
| 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 6 |
| 8 | 1 | 9 | 7 | 3 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 1 | 5 | 8 | 4 | 9 | 3 | 6 | 2 | 7 |
| 9 | 3 | 6 | 8 | 7 | 2 | 4 | 5 | 1 |
| 7 | 2 | 4 | 5 | 6 | 1 | 3 | 9 | 8 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | 5 | 3 | 2 | 6 | 4 | 1 | 9 |
| 4 | 9 | 6 | 5 | 1 | 8 | 3 | 2 | 7 |
| 1 | 3 | 2 | 9 | 7 | 4 | 6 | 8 | 5 |
| 2 | 1 | 4 | 6 | 5 | 9 | 8 | 7 | 3 |
| 6 | 7 | 3 | 1 | 8 | 2 | 9 | 5 | 4 |
| 9 | 5 | 8 | 7 | 4 | 3 | 2 | 6 | 1 |
| 8 | 6 | 1 | 4 | 3 | 7 | 5 | 9 | 2 |
| 5 | 4 | 9 | 2 | 6 | 1 | 7 | 3 | 8 |
| 3 | 2 | 7 | 8 | 9 | 5 | 1 | 4 | 6 |

მე-17 გვერდი: 1. პანთეონი; 2. გრიფი; 3. ინტერლინგვა; 4. ჰარაკირი; 5. ენციკლოპედია; 6. ნოკაუტი; 7. ბრინჯი; 8. რვალი; 9. ტოგა; 10. ლია; 11. ნადირი; 12. ვერა; 13. იფქლი; 14. ავდარი; 15. ცუკერბერგი; 16. ირავადი; 17. ვაზა; 18. „აეკი“; 19. გეომეტრია; 20. ინსტიტუტი; 21. სადი; 22. ფალია; 23. კრუიფი; 24. ინგლისი; 25. აზრი; 26. ჯეინ; 27. ტავოტი; 28. ილო; 29. ქირა; 30. სკა; 31. იაპეტი; 32. ლოცია; 33. კინოლოგია; 34. ნეისმიტი; 35. ჯარი; 36. რაკია; 37. სრა; 38. სტიქსი; 39. სცილა; 40. პრაიდი; 41. ვაიო; 42. სიერა; 43. სმიტი; 44. კასპაროვი; 45. „რეინჯერსი“; 46. ადარნასე; 47. „მეტალიკა“; 48. ამერიკა; 49. „ნივა“; 50. ბის; 51. ოტიტი; 52. ემი; 53. ადიტი; 54. ახო; 55. იაიკი; 56. ბერკუტი; 57. ირა; 58. საკე; 59. ამპირი; 60. კი; 61. მი; 62. ხუტა; 63. ასი; 64. მე; 65. საარი; 66. ტირი; 67. თმა; 68. ლიტი; 69. ალა.

## ახალი კრემი ჭალარას გაგვიქრობს

ბრიტანელი, გერმანელი და ჰოლანდიელი სწავლულების ჯგუფმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ბაზარზე ახალი პრეპარატი გამოჩნდება, რომელიც ადამიანებს თმის გათეთრებისგან დაიცავს. ექსპერტთა მოსაზრებით, გაჭაღარავების საფუძველი სტრესია, რაც დიდი რაოდენობით წყალბადის ზეჟანგის დაგროვებას იწვევს და თმის პიგმენტაციაც ირღვევა. ახალი პრეპარატი კი სიტუაციას არსებითად ცვლის — კრემი მცირე რაოდენობით უნდა შეიზილოთ თმაში და შედეგად, წყალბადის ზეჟანგის დონე მნიშვნელოვნად შემცირდება. კრემს კიდევ ერთი დადებითი ეფექტი აქვს — ის შეიძლება კანის დეპიგმენტაციის საწინააღმდეგოდაც გამოიყენოთ.

# ჰოროსკოპი
## 16 მაისი

**ვერძი** — თქვენი პირადი ცხოვრება საახლეს საჭიროებს. მოუწევეთ სიურპრიზი საყვარელ ადამიანს, გაატარეთ ერთად დაუვიწყარი საღამო. ურთიერთობის გართულება ადვილია, ჰარმონიაში მოყვანა კი — რთული. სწორედ დღეს, ბედი გაძლევთ შანსს, გაამყაროთ ოჯახური და სასიყვარულო კავშირები.

**კურო** — დღე ბევრ საინტერესო და გასართობ მოვლენას გპირდებათ. გაოცებული დარჩებით, იმდენად ბევრი შეხვედრა და ახალი ნაცნობობა გელით. შეეცადეთ, არ ჩაერთოთ ხანგრძლივ დისკუსიებში და ზედმეტად ნუ ჩაუღრმავდებით რომელიმე თემას.

**ტყუპები** — დღეს ფინანსური მდგომარეობა იმდენად გაგახარებთ, რომ სხვა პრობლემები დაგავიწყდებათ. მთავარია, გააგრძელოთ საქმიანობა იმავე მიმართულებითა და ტემპით. არ არის გამორიცხული, საღამოს საყვარელმა ადამიანმა უწყვეულო სიურპრიზით გაგაოცოთ.

**კირჩხიბი** — დღეს ცდუნება საკმაოდ ბევრი იქნება, შეეცადეთ, თავი ხელში აიყვანოთ და კარგად გააანალიზოთ საკუთარი ქმედებები. მოძებნეთ საინტერესო საქმე, რომელიც პროგოკაციულ აზრებს დაგავიწყებთ.

**ლომი** — დღეს მკაცრად უნდა მიეგეთ საკუთარ გეგმებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში გელით წარმატება. თუკი ვინმე შეეცდება, სასურველ მიზანზე უარი გთქმევინოთ, არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდეთ. შედეგი დამოკიდებული იქნება მხოლოდ თქვენს ნებისყოფაზე.

**ქალწული** — ვარსკვლავები დღეს თავბრუდამხვევ რომანტიკულ შეხვედრას წინასწარმეტყველებენ ადამიანთან, რომელიც ცოტა ხნის წინ გაიცანით. წინასწარ მოემზადეთ ამ მნიშვნელოვანი მოვლენისთვის, შეეცადეთ, მოწოდების სიმაღლეზე იყოთ, მაგრამ ქედმაღლობას ნუ გამოიჩენთ.

**სასწორი** — დადგა დრო, ინტენსიური მუშაობა პროდუქტიული დასვენებით შეცვალოთ. ვარსკვლავებიც გპირდებიან ვითარების შეცვლას. კარგი იქნება, თუ წახვალთ თეატრში, ეწვევით გამოფენებს, შეიძენთ ლამაზ ნივთებს, მოხდენილ სამოსსა და სამკაულს.

**ღრიანკალი** — დაძაბულობა, რაც ბოლო დღეებში ამ ნიშნის წარმომადგენლებმა გადაიტანეს, დასასრულისკენ მიდის. თავს გაცილებით მშვიდად იგრძნობთ. მოგინდებათ ხელოვნების საშვაროს გაეცნოთ, შეგობრებთან დრო გაატაროთ.

**მშვილდოსანი** — დადგა დრო, გამოიჩინოთ ინიციატივა და ხელმძღვანელობას აჩვენოთ საკუთარი პროფესიონალიზმი და უნარები. არ არის გამორიცხული, ასეთი ქმედებები კარიერულ წინსვლაში დაგეხმაროთ.

**თხის რქა** — თქვენთვის დღეს მთავარი საპირისპირო სქესთან ურთიერთობა იქნება. ვარსკვლავები გირჩევენ, ყოველდღიურ რუტინას შეეშვათ და გრძნობებს მიეცემოთ.

**მერწყული** — კარგი იქნება, თუ დღეს იმიჯს შეიცვლით და გარშემომყოფების მიმართაც მეტ ლოიალობას გამოიჩენთ. ასე უფრო გაგიადვილდებათ ურთიერთობების დარეგულირება.

**თევზები** — თევზებს ვარსკვლავები ურჩევენ, გამონახონ დრო საყვარელ ადამიანთან შესახვედრად, დადებითი ენერგია, რომელიც ახლა ჭარბობს თქვენში, ურთიერთობას ახალ სიცოცხლეს შთაბერავს.

# განელი მეკუბოვე ორიგინალურ პროდუქციას ამზადებს

68 წლის მეკუბოვე განადან, პაა ჯო, საკუთარ ხელობას შემოქმედებითად უდგება და „კლიენტებს“ ლომების, ზვიგენების, თვითმფრინავების, ტანკებისა და კოკა-კოლას ბოთლების კუბოებს უმზადებს. სასახლის გარეგნული სახე გარდაცვლილის ინტერესებსა და გატაცებებზე მიანიშნებს. განაში უჩვეულო კუბოების დამზადების ტრადიციის დამყარება ჯოს მასწავლებელს ეკუთვნის — ოსტატები ხეზე კვეთის ხელოვნებასაც ფლობენ და ეგვიპტური სამარხების მდიდრული სახის წარმოჩენაც შეუძლიათ. შრომისმოყვარე მეკუბოვეს უკვე უამრავი სკულპტურული სასახლე აქვს შექმნილი, მის სახელოსნოს კი პრეზიდენტები — ჯიმი კარტერი და ბარაკ ობამა სტუმრობდნენ. ჯოს ნახელავს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმების კოლექციაშიც ნახავთ.

# გასახდომი მაკარონი შექმნეს

ამომავალი მზის ქვეყანაში გასახდომი მაკარონი შექმნეს, მას Zero Noodles უწოდეს, სულ 8 კალორიას შეიცავს და თავს იწონებს ცხიმისა და შაქრის 0%-იანი შემცველობით. მაკარონი, პირველ რიგში, დიეტაზე მყოფი ადამიანებისთვისაა განკუთვნილი და სრულიად უსაფრთხოა ორგანიზმისთვის. როგორც მწარმოებლები ამტკიცებენ, ეს სიახლე სისხლში ქოლესტერინის დონესაც ამცირებს. ამ სასწაული პროდუქტის მთავარი საიდუმლო ნატურალური კომპონენტებია.

# ყველაზე მოხდენილი მონარქები დაასახელეს

სამეფო ოჯახების წარმომადგენლები საჯარო ადამიანები არიან და ამიტომ ისინი იძულებულნი არიან, ნებისმიერი ღონისძიებისთვის ტანსაცმლის არჩევანს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ. ცნობილმა ამერიკულმა ჟურნალმა Vanity Fair ყველაზე მოხდენილი მონარქების რეიტინგი შეადგინა. სიის სათავეში იორდანიის დედოფალი რანია აღმოჩნდა, რომელიც აქტიურადაა დაკავებული ქველმოქმედებით. რეიტინგის მეორე ადგილზე კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინი ანუ კეიტ მიდლტონია — პრინც უილიამზე გათხოვების შემდეგ, მისი ნებისმიერი სამოსი ხალხში დიდ მოწონებას იმსახურებს და მსგავსი კოსტიუმები რეკორდულად მცირე დროში იყიდება. მესამე საფეხური დიდი ბრიტანეთის დედოფლის მეუღლეს — ედინბურგის ჰერცოგს ერგო. პრინცი ფილიპი, გამოცემის აზრით, შესანიშნავად გამოიყურება ნებისმიერ კოსტიუმში. ლიდერთა შორის მოხვდა ასევე, თავად დედოფალი ელისაბედიც — მასავით შლაპების არჩევა, მთელ მსოფლიოში, ალბათ, არავის შეუძლია. ცნობილია, რომ მას შარფებისა და თავსაფრების საკმაოდ შთამბეჭდავი კოლექციაც აქვს ერმესისგან. დანიის პრინცესა მერი, რომელიც რეიტინგში მეხუთე ადგილზეა, ყოველთვის ექცევა მედიის ყურადღების ცენტრში საკუთარი მოხდენილი სამოსის გამო. გამოცემის სიაში არიან ასევე, იაპონიის იმპერატორის მეუღლე მიტიკო, რომელსაც მოკრძალებულობის გამო დიდად აფასებენ და ესპანელი პრინცესა ლეტიცია — ჟურნალის რედაქტორები მას განსაკუთრებული ელეგანტურობისა და დახვეწილი გემოვნების გამო აქებენ.

# სუდოკუ

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | 8 | | | 2 | | |
| 7 | | 2 | | | 6 | | | |
| | 1 | 5 | | | | | | 6 |
| | | | | 9 | 7 | 6 | 1 | |
| | | 1 | | | | 5 | | |
| | 6 | 9 | 1 | 5 | | | | |
| 3 | | | | | | 4 | 6 | |
| | | | 9 | | | 7 | | 5 |
| | | 4 | | | 2 | 1 | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 2 | | 4 | 6 | | | 5 |
| 6 | | 9 | 5 | 3 | | | | |
| | | | | | 9 | | | |
| 2 | | | 9 | | | 8 | 4 | |
| 9 | | | | | | | | 2 |
| | 6 | 5 | | | 3 | | | 9 |
| | | | 3 | | | | | |
| | | | | 9 | 1 | 4 | | 8 |
| 4 | | | 7 | 8 | | 6 | | 3 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | 9 | | 5 | | |
| | | 1 | | | 3 | | | 9 |
| 4 | | | | 2 | | | 8 | |
| 8 | | | | | 4 | | | |
| | 6 | 5 | | | | 4 | 1 | |
| | | | 5 | | | | | 8 |
| | 9 | | | 7 | | | | 4 |
| 3 | | | 6 | | | 7 | | |
| | | 2 | | 3 | | | 9 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | 4 | 3 | 2 | | | 5 |
| | 6 | | 8 | | | | | |
| 3 | | | | | | | 9 | |
| | | 8 | 1 | | | | | 9 |
| 2 | 5 | | | | | | 6 | 7 |
| 6 | | | | | 3 | 4 | | |
| | 7 | | | | | | | 3 |
| | | | | | 7 | | 8 | |
| 8 | | | 3 | 9 | 4 | 7 | | |

# ყველაზე სასარგებლო სასმელი

ამერიკელმა ენდოკრინოლოგებმა ბაფალოს უნივერსიტეტიდან დაამტკიცეს, რომ ყველაზე სასარგებლო სასმელი ფორთოხლის ახალგამოწურული წვენია. ის ეხმარება ადამიანს ახალგაზრდობის შენარჩუნებაში, წონის გაკონტროლებაში და ამაღლებს იმუნიტეტს. მათ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში 20-დან 40 წლამდე ასაკის, 30 ადამიანი მონაწილეობდა. ყველა მოხალისე ერთნაირად იკვებებოდა — საუზმეზე სენდვიჩს, კარტოფილსა და ომლეტს მიირთმევდნენ, მათი ნაწილი საუზმეს ტკბილ წყალს აყოლებდა, მეორე ნაწილი — ჩვეულებრივ წყალს, მესამე კი — ფორთოხლის ახალგამოწურულ წვენს. ამის შემდეგ ყველა მონაწილეს სისხლის ანალიზს უკეთებდნენ. ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველაზე სასარგებლო ფორთოხლის წვენი აღმოჩნდა. სწავლულების მოსაზრებით, ფორთოხლის წვენი გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკს აქვეითებს, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში, ამცირებს დიაბეტის განვითარებისა და ჭარბი წონის ალბათობას. დიდი რაოდენობით ანტიოქსიდანტების გამო კი, ორგანიზმში ანთებითი პროცესების ნეიტრალიზებაც ხდება.

# უმუშევრები ვიტრინაში „გამოფინეს"

დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უმუშევრობა სერიოზული პრობლემაა და ამ მხრივ, გამონაკლისი არც დანია აღმოჩნდა, თუმცა სკანდინავიელები შეეცადნენ, ეს საკითხი ორიგინალური გზით მოაგვარონ. დანიური მარკეტინგული ფირმის Reputation Copenhagen ადმინისტრაციამ სამსახურის მაძიებლები კომპანიის ოფისის ვიტრინებში „გამოფინა" და ფანჯარაზე მათი კვალიფიკაციის ამსახველი ინფორმაცია განათავსა. ადმინისტრაციაში ვარაუდობენ, რომ ამ გზით კომპანიების მენეჯერებს დააინტერესებენ და უმუშევართა გარკვეული ნაწილი მაინც შეძლებს დასაქმებას. როგორც ფირმის ხელმძღვანელი აცხადებს, ამ აქციის შედეგით კმაყოფილია, რადგან ვიტრინაში „გამოფენილმა" რამდენიმე უმუშევარმა ორ დღეში სასურველი სამსახური იშოვა.

# თანამშრომლები ქუჩაში ახოხიადა

ჩინეთის ქალაქ ჩუნ-ცინში მდებარე ერთ-ერთი კოსმეტიკური კომპანიის უფროსმა საკუთარი თანამშრომლები აიძულა, შუა ქუჩაში, ხალხის თვალწინ დაჩოქილებს ევლოთ. ფირზე აღბეჭდილმა ამ კადრებმა საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, კომპანიის ხელმძღვანელს კი სურდა, ამ გზით ხელქვეითთა სრულ მორჩილებაში დარწმუნებულიყო. გამაოგნებელია ფაქტი, რომ ასეთი დამამცირებელი ბრძანების შესრულება არც ერთ თანამშრომელს არ გაუპროტესტებია.

# ცნობილ რეჟისორს ძრავალძვილიანობისთვის დაუჯარიმეს



მსახიობი, რეჟისორი, პროდიუსერი და სცენარისტი ჩჯან იმოუ ლეგენდარული პიროვნებაა არა მხოლოდ მშობლიურ ჩინეთში. მისი პირველი ფილმი „წითელი გაოლიანი" „ოქროს დათვის" მფლობელი გახდა ბერლინის კინოფესტივალზე, მსოფლიო აღიარება კი მას ფილმებმა — „გმირმა" და „მფრინავი ხანჯლების სახლმა" მოუტანა, თუმცა ამ დამსახურებებმა ვერ იხსნეს იმოუ კანონდარღვევის გამო სასჯელისგან. რეჟისორს დიდი ჯარიმა ელის მრავალშვილიანობის გამო — მას შვიდი შვილი ჰყავს, არადა, ყველამ იცის, რომ ქვეყანაში ჭარბ მოსახლეობას ებრძვიან და ერთ ოჯახში ორ შვილზე მეტის ყოლა აკრძალულია. 61 წლის იმოუს საქმეს სამთავრობო კომიტეტი განიხილავს და არაა გამორიცხული, რეჟისორს ბიუჯეტის სასარგებლოდ, 160 მილიონი იუანის ანუ დაახლოებით, 26 მილიონი დოლარის გადახდა მოუწიოს.

1. ფიგურული სახაზავი
2. პროფესიონალი მონადირე
3. გამოუწვავი აგური
4. ყნოსვის ორგანო
5. მასში „შუბი არ იმალება“
6.ფრთოსანი მწერის განვითარების ბოლო სტადია
7. სხვადასხვა რასის ადამიანთა შვილი
8. მელ გიბსონის ფილმი „... გული“
9. მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევა ძვ. რომში
10. სადაზღვევო კომპანია „... ბისიაი“
11.ბგერათა არაპარმონიული შეხამება
12. ევროპელი ებრაელების ენა
13.ციმბირის დამპყრობი კაზაკი
14. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის
15.გრძელყელიანი გოგრის ჯიში
16. მგალობელი ფრინველი
17. სამაგიდო თამაში
18. როკ-ენ-როლის მეფე
19. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
20. მსახიობი ... სმიტი
21. კრივის მოედანი
22. დურუ ხენჭუას ცოლი „რეკორდში“
23.ძალიან ბრაზიანი, აწბსლი
24.იაპონიის ფულის ერთეული
25.„ალისა საოცრებათა ქვეყანაში“-ავტორი
26. ქართული გაზეთი „... ტაიმი“
27. „ყველაფრის მკურნალი“
28. ქართ. ფილმი „... მიდის ჰოლივუდში“
29. მგლის ნაშიერი
30. „დედამიწის სახურავი“
31. რისამე მარაგი
32.ნიკოლოზ პავლეს ძე რაზიკაშვილის ფსევდონიმი
33. ფრანგი კომიკოსი
34.მეხიკოს ცნობილი სტადიონი
35.რუსული საინფორმაციო პროგრამა
36. ნახევარკუნძული ევროპაში
37. შხამიანი გველი
38. ერნესტო ... გევარა
39.ცნობილი რუსი ჰოკეისტი
40. ეპარქიის მღვდელმთავარი
41. სურნელოვანი ნივთიერება
42. არტურ ...-დოილი
43. გერმანული ავტომობილი
44. ირლანდიის ეროვნული სახელწოდება
45. დედალი ღორი
46. ჰექტრის მეასედი
47. უსირცხვილო ადამიანი
48. ხურდა ფული შვეიცარიაში
49.რისამე დამაგრება გარკვეულ მდგომარეობაში
50. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
51. საარჩევნო ყუთი
52.საქართ. აღმოს. და დას. ნაწილად გამყოფი ქედი
53. ტროპიკული ხილი
54. ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟი
55. მწერალი ... ფანჯიკიძე
56.ყოფილი ქართული დასახლება ბამ-ზე
57. რეჟისორი ... კუსტურიცა
58. იტალიური საწვავი
59. მედეა ჩახავას კინოროლი
60. ამერიკელი მწერალი
61. პერუს დედაქალაქი
62.ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული სხივი
63. ზრდილობიანი დასტური
64. მათემატიკური დებულება
65. სოფელი თუშეთში
66. დამუხტული ატომი
67. საფეხ. მწვრთნელი ... ვენგერი
68. შეიარაღებული ბრძოლა ქვეყნებს შორის
69. ავტომატური ელექტროხელსაწყო
70. პოეტი ... ხაიამი
71. შინაური ფეხაპკიანი ფრინველი
72. ადამის ნეკნიდან შექმნილი ქალი
73. დედამიწასთან უახლოესი ვარსკვავი
74. ლიტვის ვალუტა
75. კედლის ჭაღი
76. სასახლე ძვ. ქართულში
77. სოფელი ხობის რაიონში
78. ბოროდინის ოპერა „თავადი ...“
79. სამიზნე თოფის ლულაზე
80. ფრანგი იმპრესიონიოსტი
81. ორაგულების ოჯახის თევზი
82. გოგიას გვარი ფილმში „ხარება და გოგია“
83. მუხის ნაყოფი
84.მდინარის პირას გამომდინარე წყარო
85. ფეტვისნაირი კულტურული მცენარე
86. მუდმივა მათემა-ტიკაში
87. მსახიობი ... აირონსი
88. ბავშვების შესაშინებელი საფრთხობელა


# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.